ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali-Taoba

5 ნოემბრიდან!
ვფ[ფკ სფჯ,ფცსფყ4
ერთად
3hxtekbmfhsekbpqfght,bc4
vtjhtnjvb
№:კფჳფლ



[esif,fsb7 * yjtv,thb7 @)!@ 1266 (5956) afcb5 #) stshb

# ბაჩო ახალაია და გიგი კალანდაძე ჯარისკაცების ცემისთვის დააკავეს



დაკავებულების ადვოკატი „ქართული ოცნების“ წევრი, დავით დეკანოიძეა გვ.2

## ნაციონალებმა პარლამენტის სხდომების ბოიკოტირება დაიწყეს

გვ.3

საპარლამენტო ოპოზიცია თბილისში გამოიქცა



# გუშინ მეორე ბაჩო ახალაია დაიბადა გვ.5



## მიხეილ სააკაშვილი: საქართველოში მიმდინარე ბოლო მოვლენები ჩემთვის შეშფოთების წყაროა“

გვ.3



## შალვა ხაჭაპურიძე: ციხეში ბაჩო ახალაიას უსაფრთხოება დაცული უნდა იყოს!“

გვ.4

## ნაციონალები 1 ოქტომბრისთვის 6 საკანს ამზადებდნენ მასობრივი დაპატიმრებებისთვის გვ.6

## პროკურატურა დათა ახალაიას საქმითაც დაინტერესდება

გვ.5



## ქართული მხარე აფხაზური და სამხრეთ ოსური ე.წ. პასპორტების აღიარებას არ აპირებს

გვ.7




## რატომ უნდა ვაცალოთ ახალ ხელისუფლებას

გვ.4



9 771987 938006

2 საზოგადოებრივ მაუწყებელში“ შემოსავლების სამსახური შევიდა

7 რატომ ენინაალმდეგება მაია მიმინოშვილი 8+1“ სისტემას

5 დავით საგანელიძე: ოპოზიცია რამდენიმედღიანი უიქენდი“ მოიწყო“

7 ნატოსთან რთული მოლაპარაკებები გველოდება“

# ბაჩო ახალაია და გიგი კალანდაძე ჯარისკაცების ცემისთვის დააკავეს

## გისოსებს მიღმა აღმოჩნდა მე-4 ბრიგადის მეთაურიც

თეა მარხვაიძე

ცოტა ხნის წინ ალბათ ვერავინ წარმოიდგენდა, რომ ბაჩო ახალაია გისოსებს მიღმა აღმოჩნდებოდა. საპარლამენტო არჩევნები სხვა შედეგით რომ დასრულებულიყო ამაზე ერი ვერც კი იოცნებებდა. 7 ნოემბერს კი მოხდა ის, რასაც ბევრი ელოდა. ბაჩო ახალაია პროკურატურაში დაიბარეს დაკითხვაზე. საიდანაც ის ველარ გამოვიდა. ყოფილი მინისტრი წინასწარი დაკავების იზოლატორშია გადაყვანილი.

მის დაკავებას არჩევნების შემდეგ ყველა ელოდა. თუმცა ვერავინ წარმოიდგენდა თუ გისოსებს მიღმა გაერთიანებული შტაბის უფროსი გენერალი გიგი კალანდაძეც აღმოჩნდებოდა. მათთან ერთად მეოთხე ბრიგადის მეთაური შამათავაც დააკავეს.

ბაჩო ახალაია საქართველოდან ოქტომბრის დასაწყისში წავიდა. ამბობენ, რომ მან ევროპაში პოლიტიკური თავშესაფარი მოითხოვა. ყველა დარწმუნებული იყო, რომ ახალაიას ინტერპოლის დახმარებით ჩამოიყვანდნენ. 5 ნოემბერს ის თავად ჩამოვიდა საქართველოში.

ჩამოვიდა და თქვა, რომ უდანაშაულოა. განაცხადა, რომ მზად იყო ყველა კითხვაზე გაეცა პასუხი. კითხვებზე პასუხის გასაცემად ის მთავარ პროკურატურაში 6 ნოემბერს, საღამოს ცხრის ნახევარზე დაიბარეს.

ყოფილი მინისტრი პროკურატურაში ადვოკატის გარეშე მივიდა. მას თან დეპუტატები ნუგზარ წიკლაური და ეკა ხერხეულიძე ახლდნენ. მოგვიანებით იქ კიდევ რამდენიმე დეპუტატი მივიდა.

ახალაიას დაკითხვა რამდენიმე საათს გაგრძელდა. და მალე ადვოკატიც გამოჩნდა. მაშინ კი ნათელი გახდა, რომ ახალაიას ბრალს წაუყენებდნენ. პროგნოზი გამართლდა და ახალაია პროკურატურიდან წინასწარი დაკავების იზოლატორში გადაიყვანეს.

რამდენიმე საათში კი მისი ახლობელი, გენერალი გიგი კალანდაძეც დააკავეს. კალანდაძის გარდა გისოსებს მიღმა მეოთხე ბრიგადის მეთაურიც ჩასვეს.

დილის 10 საათზე მთავარმა პროკურორმა არჩილ კბილაშვილმა და თეა წულუკიანმა საგანგებო პრესკონფერენცია გამართეს, სადაც გაირკვა, რომ გიგი კალანდაძე უშუალოდ თეა წულუკიანის მოთხოვნით დააკავეს.

– საქართველოს შეიარაღებული ძალების გაერთიანებული შტაბის უფროსს, გენერალ გიორგი კალანდაძეს ბრალი სისხლის სამართლის კოდექსის 333-ე მუხლით ედება, რაც სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტებას გულისხმობს, – განაცხადა თეა წულუკიანმა.

მისი თქმით, კალანდაძე დაკავების შესაბამისი ოქმის გაფორმების შემდეგ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს წინასწარი დაკავების იზოლატორში გადაიყვანეს.

– კალანდაძის დაკავება მოხდა ნორმალურ, მშვიდ გარემოში და კალანდაძის ყველა უფლება დაკავებისას დაცული იყო. 2012 წლის 7 ნოემბერს, 05:20 საათზე საქართველოს იუსტიციის მინისტრის მიერ დაკავებულ იქნა საქართველოს შეიარაღებული ძალების გაერთიანებული შტაბის უფროსი გენერალი გიორგი კალანდაძე, რადგან მას ბრალი ედება დანაშაულში, რომელიც გათვალისწინებულია სისხლის სამართლის კოდექსის 333-ე მუხლით, რაც გულისხმობს სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტებას. ის დაკავებულ იქნა მთავარი პროკურორის თანდასწრებით. მას განემარტა ყველა ის უფლება, რომელიც აქვს ბრალდებულს, რომ ჰყავდეს ადვოკატი, შეინარჩუნოს დუმილი და ყველა სხვა უფლება, რომელიც მას კონსტიტუციით აქვს მინიჭებული. ამ უფლებების განხორციელება მოხდა ადგილზე, მისი დაკითხვა არ მომხდარა. მოხდა უბრალოდ მისი დაკავება და პირადი ჩხრეკა. მას მიეცა ორჯერ განმეორებითი წინადადება, რომ გამოეძახა დამსწრეები პირადი ჩხრეკის დროს, რაზეც მან განაცხადა უარი. იგეგმებოდა კალანდაძის ორივე სახლის ჩხრეკა, თუმცა მთავარ პროკურორთან ერთობლივი შეთანხმებით მივიღეთ გადაწყვეტილება, არ მომხდარიყო იმ სახლის ჩხრეკა, სადაც იმყოფებოდნენ კალანდაძის მეუღლე და ორი მცირეწლოვანი შვილი. ეს ჩხრეკა გადაიდო გათენებამდე, რათა ოჯახს არ მიეღო დამატებითი სტრესი. თავად დაკავებულს დაკავების შედეგად რაიმე სახის დაზიანება არ აღენიშნებოდა. მისი ყველა უფლება დაკავებისას და ჩხრეკისას იყო დაცული. მისი დაცვის უფლება დაკითხვისას და შემდგომი საპროცესო-საგამოძიებო ქმედებებისას, რა თქმა უნდა, ასევე იქნება ბოლომდე დაცული, – განაცხადა წულუკიანმა.

განცხადება გააკეთა არჩილ კბილაშვილმაც. მისი თქმით, გამოძიებით დადგინდა, რომ 2011 წლის ოქტომბერში, თავდაცვის მინისტრმა ბაჩანა ახალაიამ, გაერთიანებული შტაბის უფროს გიორგი კალანდაძესთან და მეოთხე ბრიგადის მეთაურ ზურაბ შამათავასთან ერთად, მინისტრის სამუშაო კაბინეტში ფიზიკური და სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენეს 6 სამხედრო მოსამსახურეს.

– ახალაიამ ერთ-ერთ სამხედროს დანის ტარი თავში ჩაარტყა. აღნიშნულის შემდეგ, ახალაიამ ეს სამხედროები ვაზიანში გადაიყვანა, სადაც ბრიფინგის ოთახში მათ კვლავ მიაყენეს ფიზიკური და სიტყვიერი შეურაცხყოფა, რაც გაგრძელდა მეოთხე ბრიგადის შემადგენლობის 20-30 კაცის წინაშე სიტყვიერი შეურაცხყოფით. გუშინწინ და გუშინ დილით გატა-



რებული ღონისძიებების შედეგად დაკავებულნი არიან: ბაჩანა ახალაია, ზურაბ შამათავა და გიორგი კალანდაძე, სწორედ სისხლის სამართლის 333-ე მუხლის შესაბამისად. მათ ბრალი კანონით გათვალისწინებულ ვადაში წარედგინებათ. ვინაიდან დაკავებული პირების მიმართ დიდი საზოგადოებრივი ინტერესი არსებობს, მოწმეთა ჩვენებები, რომლებიც დანაშაულის ჩადენაში ამხელენ აღნიშნულ პირებს, უახლოეს საათებში გასაჯაროვდება. მათი ჩვენებები განთავსდება იუსტიციის სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე. გარდა ამისა, დღეის მდგომარეობით, პროკურატურაში მრავალი განცხადებაა მრავალი ეპიზოდის შესახებ, რომელშიც მხილებული არიან დაკავებული პირები, თუმცა დაკავების საფუძველი გახდა ის, რაც მე მოგახსენეთ. სხვა ფაქტებზე მიმდინარეობს გამოძიება და დეტალებს ეტაპობრივად გაცნობებთ, – განაცხადა არჩილ კბილაშვილმა.

ჩვენებები მართლაც განთავსდა ოფიციალურ გვერდზე. ამ ჩვენებებს დიდი სჯა-ბაასი მოჰყვა სოციალური ქსელებით. ერთ-ერთ ჩვენებას „ახალი თაობა" უცვლელად გთავაზობთ:

– 2007 წელს ჩავირიცხე საქართველოს შეიარაღებულ ძალებში კონტრაქტის საფუძველზე. თავდაპირველად სამსახური დავიწყე შეიარაღებული ძალების სახმელეთო ჯარების მე-4 ქვეითი ბრიგადის 41-ე ბატალიონში . 2010 წლიდან 2011 წლის 1 ოქტომბრამდე ვმსახურობდი, ქ.თბილისში ვაშლიჯვრის დასახლებაში დისლოცირებულ სპეციალური ოპერაციების ძალების სპეციალური დანიშნულების რაზმში. სექტემბრის თვეში ჩაგვიტარდა ტესტირება, რის შემდეგაც ჩემმა ასმეთაურმა ზ.კ-მ გვითხრა, რომ დათხოვილი ვიყავით სამხედრო სამსახურიდან, ხოლო ვისაც სურვილი გვექნებოდა სამხედრო სამსახურს გავაგრძელებდით ქვეით ბრიგადებში, რაზედაც ჩვენ უარი განვაცხადეთ და წავედით სახლში. 2 საათის შემდეგ დამირეკეს ვინ არ მახსოვს და დამიბარა თავდაცვის სამინისტროში. თავდაცის სამინისტროში შეკრებილ სამხედრო მოსამსახურეს შეგვხვდა გაერთიანებული შტაბის უფროსის მოადგილე გიორგი კალანდაძე, მან თავისი შეხედულებით გაგვანაწილა ბრიგადებში რამოდენიმე ნაწილად. ბრიგადაში მისვლისას ბრიგადის მეთაურს ზურაბ შამათავას ვუთხარი, რომ ბრიგადაში სამსახური არ მსურდა და გავენთავისუფლებინე, რაზედაც უარი მივიღე. შემდეგ გაგვიშვეს შვებულებაში. 2011 წლის 16 ოქტომბერს ზურაბ შამათავას ბრძანებით, მიმავლინეს მე-4 ქვეითი ბრიგადის შტაბის სამსახურში. 2011 წლის 25 ოქტომბერს, საღამოს დაახლოებით 18:00 საათზე მე ბრიგადიდან გამიშვეს ყოველდღიურ დათხოვნაში. იმავე დღის დაახლოებით 23:30 წუთზე, ჩემს მობილურ ტელეფონზე, რომლის ნომერი იყო 8... დამირეკეს სამხედრო პოლიციიდან ჩემთვის უცნობმა პირებმა და მითხრეს, ვყოფილიყავი სახლში, მომაკითახვდნენ და წამიყვანდნენ სამხედრო პოლიციაში. თეთრი ფერის ნივით მოვიდა სამხედრო პოლიციის ორი თანამშრომელი, რომლებმაც მიმიყვანეს საქართველოს თავდაცვის სამინისტროში. მინისტრის მისაღების წინ დამხვდნენ ნ. ქ., დ. ხ. და გ. კ., ხოლო დ. დ. იჯდა იქვე გვერდით ოთახში. მინისტრის კაბინეტიდან გამოვიდა ზურა შამათავა, რომელმაც შემიყვანა თავდაცვის მინისტრის ბაჩანა ახალაის კაბინეტში. იქ იყვნენ – მინისტრი ბაჩანა ახალაია, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს გაერთიანებული შტაბის უფროსის მოადგილე გიორგი კალანდაძე, მე-4 ქვეითი ბრიგადის მეთაური ზურაბ შამათავა, და ი. ს და ჩემი თანამოსამსახურე ზემოთ ნახსენები შ. ბ. კაბინეტში ასევე იყვნენ ჩემთვის უცნობი პირებიც. მინისტრმა ბაჩანა ახალაიამ მითხრა რომ ჩვენ თითქოს მთვრალებს უნდა მოგვეწყო ბუნტი მე-4 ქვეითი ბრიგადის ტერიტორიაზე. მე მისი ნათქვამი ვიუარე. ამის შემდეგ ბაჩანა ახალაიამ მომასმენინა კომპიუტერიდან გინების ხმა. მე მას უთხარი, რომ არაფერ შუაში არ ვიყავი. ბაჩანა ახალაიამ მითხრა, რომ მომიყვანდა პიროვნებას, რომელიც პირზე დამადგებოდა. ამის შემდეგ, იქვე მდგომმა შ. -მ. ბაჩო ახალაიას შეკითხვაზე უპასუხა, რომ მგონი ესეც იქ იყოვო. ამის შემდეგ ჩემთან მოვიდა გიორგი კალანდაძე და დამიწყო ცემა სახის და თავის არეში ხელით, შემდეგ კაბინეტიდან გამომიყვანა გორგაძემ, ჩემომიყვანა ე.წ. ,,პლაცზე,, და კატეგორიულად მომთხოვა მეღიარებინა ის რასაც მეუბნებოდა ბაჩანა ახალაია, თან მირტყავდა ტანის არეში. ამ დროს მაიძულებდა მერბინა ,,პლაცის ირგვლივ, რამოდენიმე წრის დარტყმის შემდეგ, მაჩერებდა და ისევ მცემდა, დამაგდებდა დაბლა და მირტყავდა ფეხს ტანზე. ასე აგრძელებდა დაახლოებით 15-20 წუთის განმავლობაში. შემდეგ ჩამსვა თავის მანქანაში და ჩამომიყვანა მდინარე მტკვრის მარცხენა სანაპიროზე, სადაც დაგვხვდა შავი ფერის მიკრო ავტობუსი, მე გადამსვა აღნიშნულ მიკრო ავტუბუსში, რომლის საჭესთან იჯდა ბაჩანა ახალაია, გვერდზე ეჯდა გიორგი კალანდაძე, იქ სხვა პირებიც იმყოფებოდნენ, მაგრამ მე მათ არ ვიცნობ, ჩვენ წამოვედით მე-4 ქვეით ბრიგადაში. შევედით ყოფილ სასადილოში, იქ დაგვხვდა სამეთაურო რგოლი, თუ ვინ იყვნენ არ მახსოვს, მახსოვს მხოლოდ ვ. ჯ-ვა, ამ ხალხის გარდა იქვე იყვნენ შ. ბ., დ. ხ., ნ. ე, და გ. კ., მათგან გამორჩევით ცალკე იდგა შ. ბ. მინისტრმა ბაჩანა ახალაიამ, ჩვენი ანუ ჩემი, შ. ბ., ს. დ., ხ., ნ.ქ, გ. კ-ს მისამართით თქვა, რომ ჩვენ ვიყავით უსინდისო ადამიანები, ვაპირებდით დალევას, ბუნტის მოწყობას და დაგვიწყო გინება. ბაჩო ახალაიამ იქვე მდგომ შ. ბ-ს ყველას დასანახად თავში ჩაარტყა რაღაც წვრილი საგანი. ამის შემდეგ იგი წავიდა. ჩვენ გამოგვიყვანეს გარეთ, მე რამოდენიმეჯერ სახეში ხელი გამარტყა ზურაბ შამათავამ. ასევე დავინახე, რომ შ. ბ-ს ხელი და ფეხი რამოდენიმეჯერ გაარტყა გ-მ, ხოლო ნ. ქ-ს კი ზურა შამათავამ. ამის შემდეგ მე, ბ., ხ., ქ., და კ. სამხედრო პოლიციის ავტომანქანით წაგვიყვანეს სამხედრო პოლიციის დეპარტამენტში, იქ მეორე სართულზე ჩვენ ცალკ-ცალკე შევდიოდით ერთ-ერთ კაბინეტში. როდესაც შევედი, კაბინეტში დამხვდა ჩემთვის უცნობი ორი პიროვნება, დაახლოებით 35 წლამდე საშუალო აღნაგობის, მათი ვინაობა არ ვიცი. მათგან ერთმა-ერთმა მითხრა, რომ თუ არ დავწერდი ბუნტის შესახებ პროვოკაციას მოგიწყობ და შენ და შენი ოჯახის წევრებს ჩაგიდებთ წამალს და დაგიჭერთო. ამის შემდეგ, მესამე სართულზე ერთ-ერთ ოთახში სამხედრო პოლიციელმა გვარად მ-მ, ფურცელზე დამაწერინა განმარტება რომ ვაპირებდით დალევას და ბუნტის მოწყობას, ასევე დამაწერინა პატაკი რომლის მიხედვითაც მე ვითხოვდი საქართველოს შეიარაღებული ძალებიდან დათხოვნას, რომელიც დაიტოვა თვითონ. ასევე მითხრა რომ ჩემი თვითოეული გადაადგილება უნდა შემეთანხმებინა მასთან. ამის შემდეგ ოთახში მაძახებინეს გაუმარჯოს მეოთხე ქვეით ბრიგადასო. სამხედრო პოლიციაში მე დამტოვეს 26 ოქტომბრის საღამომდე, ხოლო შემდეგ წავედი სახლში. მეორე დღეს ვინაიდან ვიყავი დამცირებული და სამსახურიდან გათავისუფლების შემდეგ კრედიტს ველარ დავფარავდი ვცადე თავის მოკვლა, კერძოდ ავედი ელექტრო გადამცემი ხაზის ბოძზე და მაღალ ძაბვას შევახე მავთული. ამის შედეგად მოვხვდი საავადმყოფოში, დამწვრობის ცენტრში, სადაც გამიკეთეს ოპერაცია, გადამინერგეს ხორცი მკერდის მარჯვენა მხარეს და მარჯვენა ხელის თითებზე. აქვე ავღნიშნავ, რომ თვითმკვლელობის მცდელობამდე, ჩემს ტელეფონში ჩავწერე მესიჯი, რომელშიც მივუთითე ჩემი თვითმკვლელობის მიზეზები. ეს ტელეფონი დღეისათვის აქვს ბიძაჩემს ა. გ-. იგი არის ღვთისმსახური, – ვკითხულობთ ჩვენებაში.

ბაჩო ახალაიას ინტერესებს ადვოკატი დავით დეკანოიძე დაიცავს, რომელიც „ქართული ოცნების" წევრია.

### საზოგადოებრივ მაუწყებელში" შემოსავლების სამსახური შევიდა

„საზოგადოებრივ მაუწყებელში" შემოსავლების სამსახურის გეგმიური აუდიტი დაიწყო. ამის შესახებ არხის ხელმძღვანელმა გიორგი ჭანტურიამ საგანგებოდ გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა.

ჭანტურიას თქმით მსგავსი შემოწმება 2011 წელსაც განხორციელდა, მომდევნო შემოწმება კი გეგმის მიხედვით 2013 წელს უნდა მომხდარიყო.

მისივე განცხადებით, მან კონტროლის პალატის წარმომადგენლებს მოსთხოვა გეგმა, რომლის თანახმადაც არხის აუდიტი უნდა განხორციელდეს, თუმცა მათ ეს გეგმა ვერ წარმოადგინეს.

„აღნიშნულთან დაკავშირებით არსებობს მხოლოდ ფინანსთა მინისტრის გუშინდელი ბრძანებულება" – აღნიშნა ჭანტურიამ.

ჭანტურიას თქმითვე ის ეცდება აუდიტის პროცესი მაქსიმალურად გამჭვირვალედ წარიმართოს.

მისივე განცხადებით, აღნიშნული ვერანაირად ვერ შეუშლის ხელს საზოგადოებრივი მაუწყებლის სრულფასოვან მუშაობას და არხი ჩვეულ რეჟიმში გაანაგრძობს ფუნქციონირებას.

ნიუსპრესი

### თავდაცვის მინისტრმა სამხედრო ბაზებზე გეგმიური მონიტორინგი დაიწყო

საქართველოს თავდაცვის მინისტრი ირაკლი ალასანია გუშინ მუხროვანის სამხედრო ბაზაზე მომსახურე ჯარისკაცებს შეხვდა. თავდაცვის სამინისტროს პრესსამსახურის ინფორმაციით, მინისტრი სამუშაო რეჟიმში გაეცნო ბაზაზე არსებულ სიტუაციას და ჯარისკაცების სამუშაო გარემოს.



ალასანიას თქმით სპეციალური ოპერაციების ძალების მომზადება თავდაცვის სამინისტროს ახალ ხედვაში ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულება იქნება.

ირაკლი ალასანია მონიტორინგის ფარგლებში სამხედრო ნაწილებში არსებულ პრობლემებსაც შეისწავლის. მონიტორინგი კი საქართველოში არსებულ ყველა ბაზაზე ჩატარდება.

დღესვე თავდაცვის მინისტრმა მუხროვანის სამხედრო ბაზაზე სპეციალური ოპერაციების ძალების მეთაური, მაიორი დიმიტრი კიკნაძე წარადგინა.

2006-2008 წლებში მაიორ კიკნაძეს საქართველოს თავდაცვის სამინისტროს შეიარაღებული ძალების სპეციალური ოპერაციების დაჯგუფების მეთაურიის თანამდებობა ეკავა.

ის სხვადასხვა დროს მუშაობდა საქართველოს უშიშროების სამინისტროს ხელმძღვანელ თანამდებობებზე.

ნიუსპრესი

ახალი თაობა
www.atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru

## თავისუფალი საქართველო“ ხელისუფლებისგან 7 ნოემბრის მოვლენების სრულფასოვან გამოძიებას მოელის

პოლიტიკური პარტია „თავისუფალი საქართველო“ ახალი ხელისუფლებისგან 2007 წლის 7 ნოემბრის მოვლენების სრულფასოვან გამოძიებას მოელის.

როგორც პარტიის პოლიტიკური მდივნის განცხადებაშია ნათქვამი, ახალი ხელისუფლების პირობებში საზოგადოებას აქვს მოლოდინი, რომ მოხდება აღნიშნული მოვლენების სრულფასოვანი გამოძიება და უკლებლივ ყველა დამნაშავე – როგორც უკანონო ბრძანების გამცემი, ასევე ამ ბრძანების შემსრულებელი, სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიეცემა.

„ხაზგასმით აღვნიშნავთ, რომ „თავისუფალი საქართველოსთვის“, როგორც პოლიტიკური გუნდისთვის, რომელმაც საკუთარ თავზე გადაიტანა ყველა ის რეპრესია, რასაც მიხეილ სააკაშვილის რეჟიმი ახორციელებდა ოპოზიციურად განწყობილ საზოგადოებაზე და რაც განსაკუთრებით გამძაფრდა 7 ნოემბრის დარბევის შემდეგ, ყოვლად მიუღებელია დამნაშავეთათვის რაიმე მოსაზრებებით სამართლებრივი ამნისტიის გამოცხადება“-აცხადებს ომანაძე.

მისივე თქმით, 7 ნოემბრის მოვლენების პარალელურად, უნდა დაიწყოს გამოძიება 2009 წლის აპრილის გამოსვლებისას მიმდინარე პოლიტიკურ რეპრესიებზე, 2011 წლის 26 მაისის სისხლიან დარბევაზე და ყველა სხვა ფაქტზე, რომლებშიც ასევე იკვეთება ქვეყნის იმჟამინდელი ხელისუფლების პირველი პირების უმძიმესი დანაშაულები.

„ღრმად ვართ დარწმუნებულნი, რომ 7 ნოემბრის მოვლენების ობიექტური გამოძიების შედეგად დადგინდება პირადად მიხეილ სააკაშვილის, ივანე მერაბიშვილის, ზურაბ ადეიშვილის და სხვა მაღალჩინოსნების ბრალეულობა – აცხადებს პარტიის ერთ-ერთი ლიდერი.

2007 წლის 7 ნოემბერს სპეცდანიშნულების რაზმმა და პოლიციამ დაარბია ოპოზიციისა და სამოქალაქო საზოგადოების მიერ ორგანიზებული მანიფესტაცია. დარბევის შედეგად ასობით მომიტინგე დაშავდა, მათ შორის ოპოზიციის ლიდერებიც. ამავე დღეს სპეცრაზმი შეიჭრა ტელეკომპანია „იმედში“ და ძალის გამოყენებით შეაჩერა ტელევიზიის მაუწყებლობა. დარბევის შემდეგ, სააკაშვილი გადადგა და ვადამდელი საპრეზიდენტო არჩევნები დაინიშნა.

ნიუსპრესი

## უმრავლესობა ომბუდსმენის პოსტზე ნინა ხატისკაცს წარადგენს

საპარლამენტო უმრავლესობა სახალხო დამცველის თანამდებობაზე ნინა ხატისკაცის კანდიდატურას უჭერს მხარს. ამის შესახებ უმრავლესობის ლიდერმა დავით საგანელიძემ განაცხადა.

„უმრავლესობის სამივე ფრაქცია შევთანხმდით, რომ ჩვენი კანდიდატურა იქნება ნინო ხატისკაცი. ჩვენ მას ხვალ უმრავლესობის სხდომაზე მოვიწვევთ, გვექნება მასთან შეხვედრა. გვინდა გარკვეულ თემებთან დაკავშირებით მისი მოსაზრება მოვისმინოთ და იმედი მაქვს, რომ ამ შეხვედრის შემდეგ უმრავლესობა მას მხარს დაუჭერს“ – განაცხადა საგანელიძემ. ამ დრომდე სახალხო დამცველის პოსტზე სხვადასხვა საინიციატივო ჯგუფების მიერ ექვსი კანდიდატი იყო დასახელებული. ყოფილი სახალხო დამცველის გიორგი ტუღუშის უფლებამოსილების შეჩერებას პარლამენტი დღეს უყრის კენჭს.

ნიუსპრესი

# ნაციონალებმა პარლამენტის სხდომების ბოიკოტირება დაიწყეს

### საპარლამენტო ოპოზიცია თბილისში გამოიქცა

თეა მარხვაიძე

ვინ მოთვლის, უკვე რამდენი წელი გავიდა, რაც პარლამენტის სხდომის ბოიკოტირება აღარ მომხდარა. ეს მივიწყებული ტრადიცია გუშინ საპარლამენტო უმცირესობამ აღადგინა. სხდომის ბოიკოტირება მათ მას შემდეგ მოისურვეს, რაც უმრავლესობამ ლევან ბეჟაშვილის კანდიდატურა ჩააგდო.

მისი კანდიდატურა ნაციონალებმა იუსტიციის უმაღლეს საბჭოში წარადგინეს.

ლევან ბეჟაშვილის კანდიდატურას პარლამენტის გუშინდელ სხდომაზე 54-მა დეპუტატმა მხარი დაუჭირა, 58 კი წინააღდეგი იყო. კენჭისყრის წინ განცხადება გააკეთა დავით ბერძენიშვილმა, რომელმაც კოლეგებს სთხოვა, რომ მხარი დაეჭირათ უმცირესობის კანდიდატურისათვის.

მეოცნებეებმა თავიანთი თანამოაზრის რჩევა არ გაითვალისწინეს. რითიც ძალიან გაანაწყენეს უმცირესობა. მათ პროტესტის ნიშნად პარლამენტის სხდომას ბოიკოტი გამოუცხადეს.

საერთო სასამართლოების შესახებ კანონის გათვალისწინებით, იუსტიციის უმაღლეს საბჭოში პარლამენტს აქვს ოთხი ადგილი. აქედან ერთ ადგილს იკავებს იურიდიულ საკითხთა კომიტეტის ხელმძღვანელი, ხოლო დანარჩენი სამი ნაწილდება ოპოზიციასა და უმრავლესობას შორის. კერძოდ, სამი კანდიდატის წარდგენის უფლება აქვს უმრავლესობას, ხოლო ერთისა კი იმ ფრაქციებს, რომელიც არ არიან წარმოდგენილი უმრავლესობაში. შესაბამისად, კანონის ამ მოთხოვნის საფუძველზე ნაციონალურმა მოძრაობამ წარმოადგინა ლევან ბეჟაშვილის კანდიდატურა.

ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარე გოკა გაბაშვილი ლევან ბეჟაშვილის კანდიდატურის ჩაგდებას მეოცნებეთა შურისძიებად აფასებს.

– შეთანხმებულ კვოტებთან დაკავშირებით უმრავლესობის და უმცირესობის მიერ გადაწყვეტილებები მარტივად მიიღება – უმრავლესობა, როგორც წესი, არ მსჯელობს უმცირესობის მიერ წარდგენილ კანდიდატზე და ავტომატურად აძლევს მას ხმას და უმცირესობაც მხარს უჭერს უმრავლესობის კანდიდატურას. უმრავლესობა პარლამენტში პროცედურულ ომს იწყებდეს, მსგავსი სისულელე ჯერ არ მინახავს. იმედი მაქვს, საკუთარ გადაწყვეტილებას გადააფასებენ და მიხვდებიან, რომ კვოტირება კვოტირებაა, კვოტების განაწილება ხდება ავტომატურად და ეს პოლიტიკური საკითხი არ არის, – განუცხადა „ინტერპრესნიუსს“ გაბაშვილმა.

გუშინდელ სხდომაზე მეოცნებეებს ერთი კურიოზიც მოუვიდათ. უმრავლესობამ იუსტიციის უმაღლეს საბჭოში საკუთარი კანდიდატურის დამტკიცება ვერ შეძლო. საპარლამენტო უმრავლესობის მხრიდან იუსტიციის უმაღლეს საბჭოში წარდგენილი იყო შალვა შავგულიძისა და ზაქარია ქუცნაშვილის კანდიდატურა, თუმცა ქუცნაშვილის დამტკიცებას დე-



პუტატთა უყურადღებობის გამო ხმა არ ეყო.

კენჭისყრა ერთწუთიან რეჟიმში მიმდინარეობს. ეს ერთი წუთი კი მეოცნებეებმა მიმავალი ნაციონალების ცქერას შეალიეს. ისინი ანცად უყურებდნენ, თუ როგორ ტოვებდა უმცირესობა სხდომას. ამასობაში კი საკუთარი თანამოაზრის კანდიდატურა ჩააგდეს.

გუშინდელ სხდომაზე კიდევ ერთი კანდიდატურა ჩავარდა. ოღონდ ეს შეგნებულად გაკეთდა.

კერძოდ, უმრავლესობამ ოპოზიციის მიერ წარდგენილი კანდიდატი სასჯელაღსრულების სამინისტროს მუდმივმოქმედ კომისიაშიც ჩააგდო.

კენჭისყრა პარლამენტში მაშინ გაიმართა, როცა ოპოზიცია დაბრაზში არ იმყოფებოდა. მათ პროტესტის ნიშნად ჰქონდათ იქაურობა მიტოვებული. სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების სამინისტროს მუდმივმოქმედ კომისიაში პარლამენტისთვის განსაზღვრული კვოტიდან უმცირესობის მხრიდან ჩიორა თქათაქიშვილის კანდიდატურა იყო დასახელებული. თაქთაქიშვილს

ამ კომისიაში უმრავლესობის მიერ წარდგენილი იყო ეკა ბესელიას კანდიდატურა, რომელიც უმრავლესობამ 74 ხმით დაამტკიცა.

ბეჟაშვილის და ქუცნაშვილის კანდიდატურების ჩავარდნასთან დაკავშირებით საგანგებო განცხადება გააკეთა პარლამენტის თავმჯდომარემ დავით უსუფაშვილმა.

– იუსტიციის უმაღლეს საბჭოში წევრების დამტკიცების საკითხი პარლამენტის დღის წესრიგში ისევ შევა და რაკი დარჩა ორი ადგილი ვაკანტური, შესაბამისად კანდიდატურების წარმოდგენა ხელახლა მოხდება. ხაზგასმით უნდა ვთქვა, რომ ამ შემთხვევაში კანონმდებლობის გათვალისწინებით კანდიდატურების შეცვლა საჭირო არ არის, – განაცხადა სპიკერმა.

შესვენების შემდეგ დეპუტატები ისევ დაუბრუნდნენ სანატრელ სხდომათა დარბაზს. მათ შორის ცხადია არ იყვნენ ნაციონალები. ისინი ბოიკოტის რეჟიმში იმყოფებიან.

ბოიკოტის მაგვარი განწყობა დაეუფლა მეოცნებე დეპუტატებსაც. უნაციოლებოდ მუშაობა დაეზარათ და სხდომა აღარ გააგრძელეს. გუშინ განსახილველი საკითხები კი 9 ნოემბრისთვის გადაიტანეს.

მანამდე დავით უსუფაშვილი ამაოდ უხმობდა ნაცმოძელებს სხდომათა დარბაზში. მისი განცხადებით, პოლიტიკური ვნებათაღელვა და ემოციები საპარლამენტო საქმიანობაში ჩვეულებრივი მოვლენაა.

ნაციონალები კი სხვანაირად ფიქრობენ. მათ ქვეყანაში შექმნილი ვითარება გულს უხეთქავს, ამიტომაც პარლამენტში საქმიანობას დროებით აჩერებენ და დედაქალაქში ბრუნდებიან.

– დღეს ქვეყანაში რისკის ქვეშ დგას, როგორც პოლიტიკური ოპოზიციის მომავალი, ისე ქვეყნის დემოკრატიულად განვითარების პერსპექტივა და საპარლამენტო უმცირესობა მუშაობას ვერ გააგრძელებს ისე, თითქოს არაფერი ხდება. დღეს საზოგადოებამ რამდენიმე ადამიანთან მიმართებაში დაპატიმრებების პირველი ტალღა იხილა, სადაც არ არსებობს მკაფიო პასუხი, თუ რატომ, როგორ და რანაირად მოხდა ამ ფორმით მათთვის აღმკვეთი ღონისძიების შეფარდება. დღეს ჩვენმა საზოგადოებამ იხილა პირდაპირი ზეწოლა თავისუფალი ტელევიზიის წინააღმდეგ, როცა საზოგადოებრივ მაუწყებელში შემოწმების მიზნით შემოსავლების სამსახური შევიდა. ჩვენ კარგად გვახსოვს „რუსთავი 2“-ის მაგალითზე, რა ამოცანებსა და მიზნებს ემსახურებოდა ტელევიზიაში ასეთი ტიპის ფინანსური შემოწმებებით შესვლა. დღეს ყველამ იხილა უმრავლესობის გამოსვლები, რომელიც გაჟღენთილი იყო აგრესიით ოპოზიციის მიმართ, სადაც ჩვენი კოლეგები პირდაპირ საუბრობდნენ დასაჭერი ადამიანების სიაზე. ჩვენ ვერ გავაგრძელებთ მუშაობას, თითქოს ქვეყანაში არაფერი ხდება, – ამბობს ბაქრაძე.

# მიხეილ სააკაშვილი: საქართველოში მიმდინარე ბოლო მოვლენები ჩემთვის შეშფოთების წყაროა“

თეა მარხვაიძე

როგორც მოსალოდნელი იყო ბაჩო ახალაიას და გიგი კალანდაძის დაკავება ნაციონალებმა პოლიტიკურ ანგარიშსწორებად მიიჩნიეს. ამის გამო თავი თითქმის ყველა ჭეშმარიტმა ნაციონალმა გაინერვიულა.

უშიშროების საბჭოს მდივანმა გიგა ბოკერიამ ხელისუფლებას დაკავებულების გათავისუფლებისკენ მოუწოდა. დეპუტატმა აკაკი მინაშვილმა ორიგინალური ვარაუდი გამოთქვა. მისი თქმით, ყოფილი მაღალჩინოსნები იმიტომ დააკავეს, რომ აგვისტოს ომში რუსებს ებრძოდნენ.

ნუგზარ წიკლაურიც ორიგინალურად გამოვიდა. ის ბაჩო ახალაიას დაკავებას ზუგდიდში ირაკლი ალასანიას დამარცხებას უკავშირებს. იქ მისი კონკურენტი ბაჩოს მამა როლანდი იყო.

საპარლამენტო უმცირესობის ლიდერი დავით ბაქრაძე ეჭვობს, რომ შეიარაღებული ძალების გაერთიანებული შტაბის უფროსის, გიორგი კალანდაძის დაკავება დეკემბერში დაგეგმილ ნატო-ს სამიტზე საქართველოსთან მიმართებაში უარყოფითად აისახება.

– მინდა, შეგახსენოთ, რომ დეკემბერში დაგეგმილია ნატო-ს სამიტი, სადაც საქართველოსთვის მაპ-ის მინიჭების საკითხზეც იმსჯელებენ. მერწმუნეთ, ქვეყნის იმიჯზე მოქმედი გენშტაბის უფროსის და გენერლის დაკავება დადებითად არ აისახება. სჯობს, დამცინავად არ ისაუბროთ იმ ადამიანზე, რომელიც მართლაც არის აგვისტოს ომის გმირი. ეს ის ადამიანია, ვინც საკუთარი სიცოცხლის ფასად ქვეყანას იცავდა. დაიჭრა, მაგრამ საკუთარი ჯარისკაცები არ მიატოვა და ომიდან არ გამოსულა, – განაცხადა ბაქრაძემ პარლამენტის სხდომაზე გამოსვლისას.

პარლამენტის ვიცე სპიკერი, ზვიად ძიძიგური დარწმუნებულია, რომ მისი კოლეგები უმცირესობიდან ბაჩო ახალაიას დაცვით საკუთარ თავს იცავენ.



– მთავარი პროკურატურა არა ერთ სხვა საქმეზე დაიწყებს გამოძიების პროცესს, სადაც მაღალი პოლიტიკური თანამდებობის პირების პასუხისმგებლობის საკითხი იკვეთება. მათ შორის ეს პარლამენტის წევრებსაც ეხება. თქვენ ახლა ამ ფორმით იცავთ ახალაიას და ამით იცავთ საკუთარ თავს, რადგან დაიწყება სხვა საქმეების გამოძიება, მაგალითად დაიწყება 2008 წლის აგვისტოს მოვლენების გამოძიება, თუ რატომ წავაგეთ ომი და რა უნდოდა მაღალ პოლიტიკური თანამდებობის პირებს ამ ომში, როდესაც სამხედრო ოპერაციებთან დაკავშირებით აკეთებდნენ განცხადებებს და იძლეოდნენ სამხედრო შინაარსის დავალებებს. ამასთნ ინტერნეტით უკვე ვრცელდება გარკვეული ინფორმაციები ახალგორთან დაკავშირებით, სადაც იკვეთება სახელმწიფო ღალატის საქმე და ამ შემთხვევაშიც მაღალი პოლიტიკური თანამდებობის პირზეა საუბარი. ასევე, აუცილებლად დაისმება საკითხი თუ სად დაიხარჯა ის მილიარდები და როგორ მოხდა იმ თანხების ხარჯვა, რომელიც საქართველომ 2008 წლის ომის შემდეგ მიიღო. გამოძიება დაიწყება თუ რა ხდებოდა სამშენებლო მიმართულებით, თავად ამ პარლამენტის შენობის მშენებლობის საკითხიც გამოსაძიებელია, რადგან აქაც სერიოზული სამართლებრივი დარღვევები იკვეთება და პოლიტიკური თანამდებობის პირებზე მიუთითებს. თუკი ვინმეა დაინტერესებული ბაჩო ახალაიას საკითხის ობიექტურად გამოძიებით, ეს პირველ რიგში არის ხელისუფლება. აღნიშნული საქმე ყურადღების ცენტრში იქნება როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე ქვეყნის გარეთ. თუმცა, ზვიად ძიძიგური დარწმუნებულია იმაშიც, რომ ბაჩო ახალაიასთან მიმართებაში სხვა საქმეებიც გამოიკვეთება, – განაცხადა ძიძიგურმა.

საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი საქართველოში ბოლო დროს მიმდინარე მოვლენებით შეშფოთებულია.

ამის შესახებ მიხეილ სააკაშვილმა ვიდეო მიმართვაში განაცხადა, რომელიც პრეზიდენტის ,,ფეისბუქის“ გვედზე გავრცელდა.

– სულ ახლახან საქართველომ პირველად თავის ისტორიაში ერთი მთავრობის მეორეთი ჩანაცვლების მშვიდობიანი პროცესი განახორციელა. მე, როგორც კონსტიტუციის გარანტი, როგორც საქართველოს პრეზიდენტი, ვიყავი ამ პროცესის მონაწილე და ჩემი ყველაზე დიდი სურვილი და დიდი იმედი მთელი ამ პერიოდის განმავლობაში იყო და არის, რომ ჩვენ შევძლებთ ცივილიზებული დიალოგის ფარგლებში საქართველოს შემდგომი განვითარების შენარჩუნებას. თავისთავად არჩევნების თავისუფალი ჩატარება იყო საქართველოსთვის ძალიან დიდი მიღწევა. ამ მიღწევამ გაგვიხსნა ჩვენ ძალიან დიდი პერსპექტივები ქვეყნის შინგნით და საერთაშორისო არენაზე. ახლა დგება დრო დაპირებების შესრულების. ჩვენი ხალხი ამას ელოდება. იყო გაცემული უამრავი სოციალური დაპირება, რომელიც ეხებოდა უფასო ჯანდაცვას, უფასო სწავლას, კრედიტების შემცირებას, ტარიფების შემცირებას და ბევრ სხვას და ჩვენი ხალხი ბუნებრივია, ელოდება, რომ უახლოეს ხანებში ამ პროცესის განხორციელება დაიწყება. ამავე დროს დარწმუნებული ვარ, ჩვენი ხალხის დაკვეთა, ჩვენი ხალხის სურვილი არის ყველაფერი განხორციელდეს ცივილიზებული დიალოგის, საპარლამენტო მწვავე დებატების, მაგრამ საპარლამენტო ჩარჩოებში, კანონის ჩარჩოებში, თავისუფალი სასმართლოს, თავისუფალი მედიის და ზოგადი თავისუფლების და განვითარების პირობებში. საქართველოში მიმდინარე ბოლო მოვლენები ჩემთვის შეშფოთების წყაროა. იმიტომ, რომ დღეს, როგორც არასდროს გვჭირდება კანონის უზენაესობა. ევროპული ორიენტაცია, საქართველოს განვითარება და წინსვლა ეს არ არის ზოგადი კატეგორიები. ეს ეფუძნება კონკრეტულ კრიტერიუმებს. ეს კრიტერიუმები არის პირველ რიგში, ჩვენი მოქალაქეების უფლებების პატივისცემა, კანონის უზენაესობის დამკვიდრება ყველა დონეზე, ინსტიტუტების პატივისცემა. ინსტიტუტების პატივისცემაა– ჩვენი შეირაღებული ძალების პატივისცემა. ჩვენ გვესმოდა წინასარჩევნო კამპანიის დროს საქართველოს დადანაშაულება იმაში, რომ საქართველომ გააჩაღა ომი და საქართველო იყო 2008 წლის ომში დამნაშავე. ჩვენ ეს სამწუხაროდ არჩევნების შემდეგაც მოვისმინეთ. ამას არ მიიღებს არც ქართველი ხალხი და არც საერთაშორისო თანამეგობრობა, რომელმაც სიმართლე მშვენივრად იცის, – აღნიშნა სააკაშვილმა.

# შალვა ხაჭაპურიძე: ციხეში ბაჩო ახალაიას უსაფრთხოება დაცული უნდა იყოს!“

ნონა ცაბაძე

## ინტერვიუ ადვოკატ შალვა ხაჭაპურიძესთან



*— ბატონო შალვა, ნაციონალური მოძრაობის წევრებმა პოლიტიკური შოუ უწოდეს ბაჩო ახალაიას დაკავებას. თქვენ, როგორც იურისტი, როგორ შეაფასებდით ამ ფაქტს?*

— თქვენ იცით, რომ მე გახლავართ სახელისუფლებო პარტიის წარმომადგენელი, მაგრამ ეს ინტერვიუ მინდა მოგცეთ როგორც ადვოკატმა, იურისტმა და არა სახელისუფლო პარტიის წევრმა. მე ყოველთვის ვცდილობ ვეძებო ის მხარეები, რაც გაამყარებს მისი უდანაშაულობის პოზიციას. მაგრამ რაც შეეხება ამ კონკრეტულ ფაქტს, დაიბარეს ახალაია აბსოლუტურად ცივილური ფორმით, დაკითხეს და დაკითხვის შემდეგ, რომელიც ოთხ საათს გაგრძელდა, ის დააკავეს. ახალაიას დაკავების შემდეგ კიდევ დაკავებული იქნა სხვა პირებიც, სამხედრო მოსამსახურეები. ამ ხელისუფლების მოსვლის ერთ-ერთი მთავარი მესიჯი, როდესაც მოდიოდა ეს ხელისუფლება, მისი მთავარი ლოზუნგი გახლდათ ის, რომ ჩვენ ქვეყანაში მთავარ პრიორიტეტად დავაყენებთ ადამიანის უფლებების დაცვას და ქვეყანაში შევქმნით სამართლიან სასამართლოს და ვიბრძოლებთ იმისათვის, რომ ქვეყანაში იყოს კანონი და სამართლიანობა. მე რაიმე კანონსაწინააღმდეგო ქმედება, როგორც იურისტმა, ბაჩო ახალაიას და დანარჩენი პირების დაკავებაში ჯერჯერობით ვერ დავინახე. თუ დავინახავ, პირველი ვიქნები, ვინც ამის შესახებ იტყვის. ნაციონალების განცხადებები იმასთან დაკავშირებით, რომ თურმე ვაშლის თლის გამო, ადამიანს რომ სცემეს, ეგ რა დანაშაულია და ომის გმირი ამის გამო არ უნდა დაიჭირონ და ასე შემდეგ... სიმართლე გითხრათ, მე მათგან სხვა პასუხს არც მოველოდი. ეს ადამიანები ჯერ კიდევ არიან იმ მახინჯი სისტემის ტყვეობაში, რომლებშიც ისინი ნებსით თუ უნებლიეთ აღმოჩნდნენ. მე მათ განცხადებებზე მხოლოდ ერთი რეაქცია გამიჩნდა, ბევრ პატიმართან მქონია ურთიერთობა და ამას მთელი სერიოზულობით გეუბნებით, ამ ადამიანებს სერიოზულად ესაჭიროებათ ფსიქოთერაპევტთან კონსულტაციები მაინც, რომ ისინი გამოვიდნენ იმ მდგომარეობიდან, რა მდგომარეობაშიც იყვნენ. ცოტა გაკვირვებულიც კი ვარ, ბაჩო ახალაია მართლაც მათი ლიდერი ყოფილა. ამიხსნას ვინმემ, რა მნიშვნელობა აქვს, ადამიანს ვაშლის გათლის გამო მიაყენებ ფიზიკურ შეურაცხყოფას და სცემ მას თუ რაიმე სხვა გარემოებების გამო. ამაში განსხვავებას ვერ ვხედავ. ფაქტია, რომ ადამიანზე მიყენებულია ფიზიკური შეურაცხყოფა, სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების გზით. ბაქრაძის გამოსვლას ვუსმენდი და აცხადებს, ჩვენ ნატოს სამიტი გველოდება წინ და თქვენ თუ ასე, გენერლების დაჭერას დაიწყებთ, ეს კარგი არ იქნებაო... მაპატიეთ და კობალაძე, გენერალი არ იყო, რომ დააპატიმრეს? უკაცრავად და მაშინ ნატოში არ შევდიოდით? გმირი არ იყო ეს კაცი?1 რამდენი ღირსების ორდენით დაპატიმრებული ადამიანი ჰყავს სააკაშვილს და რამდენი ომის გმირები ჰყავს დაპატიმრებული? სავსეა, ხალხო, ციხეები. თუ კონკრეტული ფაქტები სჭირდებათ, კი ბატონო, ესეც იქნება.

*— თქვენ 15 საჩივარი შეიტანეთ პროკურატურაში, ძირითადად რას ეხებოდა ეს?*

— დიახ, შევიტანე. პარლამენტი რომ გაიხსნა, იმ დღეს გამოვიდა გოკა გაბაშვილი და ზუსტად ასე განაცხადა: ფაქტები, ბატონო, ფაქტები, ფაქტებით გვესაუბრეთო. ვესაუბრები, ბატონო, ფაქტებით. მაგათი ხედვიდან, მერე რა მოხდა, კაცო, ბეჟუაშვილმა არჩევნები თუ გააყალბა, ეს არაფერია, თუ გირგვლიანი მოკლეს, არც ეს არის დიდი პრობლემა... არჩევნების დროს ზონდერებმა იცით რა მითხრეს? ახლა გირგვლიანი რომ არ მოეკლა, ვაზაგაშვილი რომ არ მოეკლათ და ეს ხალხი რომ არ ჩაეხოცათ, ისე სააკაშვილი წესრიგს ვერ დაამყარებდა ქვეყანაშიო. მთელს ევროპაში წესრიგია დამყარებული, მაგრამ ხალხს ქუჩაში არ ხოცავენ. ჩვენ არა ვართ მოტივირებული იმისთვის, რომ ადამიანები დააპატიმრონ პოლიტიკური ნიშნით, ყველა ციხეშიო, რაც გააკეთა სააკაშვილმა. ღმერთმა დაგვიფაროს ამისგან. გამოძიება უნდა იყოს ობიექტური. დღეს გამოძიება თავის საქმეს აკეთებს და სასამართლოც თავის საქმეს გააკეთებს. რაც შეეხება ჩემს მიერ შეტანილ საჩივრებს, ერთ-ერთი საჩივარი ეხებოდა 26 მაისს, ოღონდ სულ სხვა კუთხით დანახული. ფაქტობრივად გაირკვა, რომ იმ ორი ადამიანისთვის დენს არ დაურტყამს და ისინი არიან მოკლულები. გაცემულია მათზე ყალბი ექსპერტიზის დასკვნები, რომ თითქოს დენმა დაარტყა. ბევრი გარემოება გამოჩნდა ამ ბოლო დღეების განმავლობაში. მე მოვითხოვე საჩივარში, პირველი, ვინც უნდა მიეცეს პასუხისგებაში, ამ მიტინგის დარბევის ბრძანების გამცემი პირი, ანუ ამ შემთხვევაში სააკაშვილზეა საუბარი. შემდეგ მას მოყვებიან მერაბიშვილი, ადეიშვილი, ძმები ახალაიები და ასე შემდეგ. ჩემი აზრით, თუ ახალაია ითანამშრომლებს გამოძიებასთან, რასაკვირველია, ეს ყველაფერი თავისუფლად მივა სააკაშვილამდე. პირადად მე მარტო კონკრეტული დანაშაულის ჩადენის ორი ფაქტი წარვადგინე გუშინ ბაჩანა ახალაიაზე.

*— კონკრეტულად რა დანაშაულებებზეა ლაპარაკი?*

— იქ იმას კი არ ვწერ, რომ შეიძლება მან ჩაიდინა, ეს არის კონკრეტული ფაქტები. ერთი პატიმრის წამების ფაქტი, რომელი საქმეც სტრასბურგშია გაგზავნილი, ფაქტიურად გავლილი აქვს ყველა ეტაპი და განხილვის სტადიაშია. სტრასბურგმა ეს ყველა მტკიცებულება მისაღებად ჩათვალა და მეორე ფაქტი, განსაკუთრებით დიდი ოდენობით თანხის გატაცების ფაქტზე. გუშინ შევიტანე მე ეს სარჩელები და ეს ალბათ გაუერთიანდება მის საქმეს, რის გამოც არის ჯერჯერობით დაკავებული პატივცემული ბაჩანა ახალაია. წავა გამოძიება და ამ ორ ფაქტში, ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ ახალაიას ჩადენილი აქვს სხვადასხვა ტიპის დანაშაულებები. აქ არ არის მარტო სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება. არის წამება, არაადამიანური მოპყრობა და ასე შემდეგ. ასეთი ფაქტები კიდევ ბევრი გამოჩნდება. თუ წლების მანძილზე შენ ადამიანებს ულახავდი ღირსებას, ისინი ხმას აუცილებლად ამოიღებენ. გამოიძიებენ და დავინახავთ ახალაიას ნამდვილ სახეს. საიდან მოდიოდა ეს აგრესია, ვინ აძლევდა ამ ადამიანს ამ ყველაფრის კეთების უფლებას?! აკო მინაშვილი ჰქვია იმ კაცს, ხომ, დაფეთებული რომ იყურებოდა გუშინ? მე არ ვიცი ამ კაცის იურიდიული განათლების დონე და პოლიტიკური შეზღუდულობის დონეს კი ვხედავ, რა მდგომარეობაშიცაა. მართლა შემეცოდა. ამ ადამიანებს სერიოზული ფსიქიკური პრობლემები აქვთ. ახალაია თუ ითანამშრომლებს გამოძიებასთან, რასაკვირველია, ეს ყველაფერი მივა სააკაშვილამდე. თუ ის არ ითანამშრომლებს, ჩემი შეტანილი საჩივრები მიდის სააკაშვილამდე, ასე რომ, ის პასუხისმგებლობას ვერ აიცილებს.

*— როგორ ფიქრობთ, რამდენად დაცული იქნება ციხეში ბაჩო ახალაია მაშინ, როცა უამრავი ადამიანი ჰყავს თუნდაც იქ გამწარებული?*

— ეს არის ძალიან მძიმე თემა. ბაჩო ახალაია, როგორც სამხედრო პირი, მოთავსებული უნდა იყოს პოლიციელების საკანში. ჯერ სასამართლომ უნდა მიიღოს გადაწყვეტილება, აპატიმრებს თუ არ აპატიმრებს.

## ახმეტის საკრებულოს თავმჯდომარედ ზაქარია ქინქლაძე აირჩიეს

ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ალექსანდრე მაილაშვილი თანამდებობიდან გადადგა. საკრებულოს წევრებმა ახალ თავმჯდომარედ „ქართული ოცნების“ ახმეტის შტაბის ყოფილი უფროსი, რესპუბლიკური პარტიიდან საკრებულოს წევრი ზაქარია ქინქლაძე აირჩიეს. გუშინდელ სხდომაზე საკრებულოს რამდენიმე წევრმა თანამდებობიდან გადადგომისკენ მოუწოდა საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილეს ჯარაფ ხანგოშვილსაც, რომელმაც უარი განაცხადა.



უარის მიღების შემდეგ საკრებულოს წევრებმა ჯარაფ ხანგოშვილი თანამდებობიდან გადააყენეს. მოადგილის თანამდებობაზე საკრებულოს ყოფილი თავმჯდომარე ალექსანდრე მაილაშვილი დაინიშნა. „მაილაშვილი შეუთანხმდა, რომ საკრებულოს თავმჯდომარეობიდან გადავდგები თუ მოადგილედ დამტოვებთო. ამათაც ადგილი გაუთავისუფლეს და მე გამიშვეს. აქამდე წინააღმდეგი იყო მაილაშვილი, თავს იკლავდა, არ მიდიოდა, ბიჭებს აქეზებდა საკრებულოს სხდომაზე არ მიხვიდეთო და ეხლა რა შეიცვალა? გუშინ მოილაპარაკეს, დღეს განახორციელეს და გამიშვეს სახლში. საკრებულოს სხდომას 20 წევრი ესწრებოდა და 17-მა დაუჭირა მხარი ჩემს გადაყენებას“, — განუცხადა ჯარაფ ხანგოშვილმა კახეთის საინფორმაციო ცენტრს. შეგახსენებთ, საპარლამენტო არჩევნების შემდეგ ახმეტის საკრებულოს სხდომა, სადაც გუშინ განხილულ საკითხებზე უნდა ემსჯელათ, რამდენჯერმე ჩაიშალა.

**კახეთის საინფორმაციო ცენტრი**

# რატომ უნდა ვაცალოთ ახალ ხელისუფლებას

თამარ ნინიძე

სახალხო პარტიის თავმჯდომარე მამუკა გიორგაძე საქართველოში დაპირისპირებებისა და დაუსრულებელი პოლიტიკური კრიზისების მიზეზად წარსული პოლიტიკური მოვლენების შეუფასებლობას მიიჩნევს, მისი ინიციატივაა, რომ შეიქმნას 2003-2012 წლების მოვლენების შემსწავლელი სახელმწიფო კომისია, რომელიც პოლიტიკურ შეფასებას მისცემს იმ პერიოდში განვითარებულ პროცესებს. „ახალ თაობას“ მამუკა გიორგაძე ესაუბრა.

*— თქვენი აზრით, რატომ დაბრუნდა ბაჩო ახალაია საქართველოში?*

— ბაჩო ახალაია, არა მგონია ის გულადი ვაჟკაცი იყოს, რომ ერთბაშად მიიღო გადაწყვეტილება სახელმწიფოს ბედზე ზრუნვით და როგორც მართალი კაცი, თავისუფლად მოგზაურობს და მოძრაობს. ასეთ დანაშაულს არ ჩაიდენდა, როგორი ეჭვებიც არის მასზე, ვფიქრობ, რაღაც პოლიტიკურ გადაწყვეტილებასთან გვაქვს საქმე.

*— მაინც რა ვარაუდები და ეჭვები გაქვთ?*

— ბევრი ვარაუდი შეიძლება მქონდეს, სამწუხაროდ, ამ პროცესების შუაგულში არ ვტრიალებთ, ამიტომ ზუსტი ინფორმაცია ნაკლები გვაქვს, ბევრი ვარაუდი შეიძლება გამოითქვას ამასთან დაკავშირებით.

*— ითქვა, რომ განადგურებულია ყველა სამხილი, რომელიც ახალაიას რაიმე დანაშაულებრივ ქმედებას წარმოაჩენს და ციხეში საბოტაჟის, ბუნტის მოთავე ბაჩოა და დაბრუნდა საქართველოში, რომ მის მიერ დაწყებული არეულობა ციხეებში გააკონტროლოს.*

— ასეთი მებრძოლი გგონიათ თქვენ ან ვინმეს ახალაია, რომ ჩამოვიდა ღიად აქ პოლიტიკური ბრძოლების საწარმოებლად და აქვს შესაბამისი იდეოლოგიური მოტივაცია? მე ეს უფრო პოლიტიკური გადაწყვეტილება მგონია, თვითონ ის ფაქტი, რომ ახალაია ასე თავისუფლად ბედავს ინტერვიუების მიცემას და დიდაქტიკური განცხადებების გაკეთებას, ეს ყველაზე უფრო შემაშფოთებელია. თუ საზოგადოებამ ჩათვალა, რომ უკვე ყველაფერი დამთავრდა და შეიძლება ფეხი-ფეხზე შემოვდოთ და მშვიდად ვიყოთ, არ ვიცი. არის თუ არა დამამტკიცებელი მასალები, ამ მასალების მეტი რა იქნება? ამას რა გაანადგურებს. ჩემთვის ის უფრო შემაშფოთებელია, რომ ნაცმოძრაობის ლიდერები ასე თავისუფლად ახერხებენ საკუთარი პოზიციების და აზრების გამოთქმას, თითქოს არც არაფერი მომხდარა საქართველოში. მეორეც, იქმნება ისეთი შთაბეჭდილება, რომ გარკვეულწილად მოქმედი ხელისუფლებაც დაინტერესებულია იმით, რომ ოპოზიციაში სწორედ ნაცმოძრაობის წარმომადგენლები ჰყავდეს, იოლი გასამარჯვებელი არიან ეს ადამიანები, სიბრძნეც რომ თქვან გაბაშვილმა, მინაშვილმა და სხვებმა, ამათგან თქმული ნებისმიერი ფრაზა მიუღებელია ქართული საზოგადოებისთვის. სჯობს ხელისუფლებამ უფრო მკვეთრი ნაბიჯები გადადგას იმ კრიტერიუმების შესამუშავებლად, რომელიც უნდა დაინერგოს საქართველოში, კერძოდ, რა კრიტერიუმებს უნდა აკმაყოფილებდეს საქართველოში პოლიტიკური ფიგურა იმისათვის, რომ რომ მას ჰქონდეს მორალური უფლება იწოდებოდეს პოლიტიკური სპექტრის წარმომადგენლად. ეს თუ არ დაინერგა, საქართველოში ჩვენ კვლავ მივიღებთ ძალიან მძიმე სურათს. ეს იქნება სტიმულირება ნებისმიერი ადამიანისთვის, რომ შეგიძლია ჩაიდინო ნებისმიერი ქმედება და არავინ ამის გამო არ მოგთხოვს პასუხს. მე არ ვარ იმის მომხრე, რომ მოხდეს მასობრივად დასჯა, მაგრამ საქართველოში ოთხჯერ-ხუთჯერ შეიცვალა წყობა და სახელმწიფოებრივი აღმშენებლობის ვექტორი, მაგრამ პოლიტიკური პასუხისმგებლობა არავის არასოდეს არაფერზე აუღია. თუ ახლა მაინც არ იქნა ტირანია შეფასებული, ეს იქნება ნებისმიერი ადამიანისთვის სტიმული, რომ ჩაიდენს პოლიტიკური მოტივით დანაშაულს, ეპატიება და შერჩება. ასევე, ახალაიასავით ჩამოვა საქართველოში და მზადყოფნას გამოთქვამს, რომ უპასუხოს პროკურატურის კითხვებს. როგორ არის, რომ უბრალო დანაშაულზე ადამიანს მძიმე პასუხი მოეთხოვება და იმის გამო, რომ ადამიანმა მძიმე დანაშაული ჩაიდინა, რასაც ტრაგედია მოჰყვა, დაუსჯელი რჩებოდეს. ეს ადამიანები პარლამენტში და პარლამენტის გარეთ თავისუფლად დანავარდობენ და ჭკუას გვარიგებენ. ამას უნდა დაესვას წერტილი. თუ ივანიშვილის ხელისუფლებას სურს იყოს წარმატებული, უპირველეს ყოვლისა, ამ მიმართულებით უნდა გამოიჩინოს მან აქტიურობა. იმიტომ, რომ სხვა პროცესებიც დამოკიდებული იქნება საქართველოში სამართლიანობის აღდგენასთან.

*— როგორც მე გავიგე, თქვენ ახალ ხელისუფლებას საყვედურობთ უმოქმედობის გამო,*



*ამ კონტექსტში ხომ არ იზიარებთ ზოგიერთი პოლიტიკური ძალის მოსაზრებას, რომ ნაცმოძრაობა უნდა გაუქმდეს, მაგალითად, ამაზე ბურჯანაძის დემოკრატიულმა მოძრაობამ და სახალხო კრებამ გამოთქვეს ინიციატივა?*

— მე მივესალმები ამ ინიციატივას, მაგრამ არასერიოზულია ასეთი განცხადებები. ჩვენ ჯერ უნდა შევაფასოთ, რა მოხდა 2003 წელს. რაც მოხდა 2003 წელს, იმის შედეგია 2012 წელი, 2007 წლის 7 ნოემბერი, 2008 წლის აგვისტოს ომი, 26 მაისის დარბევა, ჩვენ პოლიტიკური შეფასება უნდა მივცეთ იმ მოვლენას, რომელიც მოხდა 2003 წელს. შემდეგ ეს მოვლენა განვითარდა კლასიკური გაგებით, როგორც ვითარდება ბევრ ქვეყანაში, ტირანიის ფორმით. ახალაიაზე მოქმედებს უდანაშაულობის პრეზუმპცია, მაშინ მართალი ყოფილან ნაციონალები, როცა ამბობენ, კაცი ჯერ არ არის სასამართლოს მიერ დამნაშავედ მიჩნეული და მის ქმედებებს რატომ აძლევთ შეფასებებსო. თუ პოლიტიკურ შეფასებებს არ მივცემთ ამ მოვლენებს, საქმე გადავა სამართლებრივ ჭრილში, იქ მხოლოდ დოკუმენტურ მასალაზე იქნება საუბარი. ჩვენ კონკრეტული პიროვნებების რევანში კი არ გვაინტერესებს, ჩვენ გვაინტერესებს მოვლენების პოლიტიკური შეფასება. ეს არ უნდა განმეორდეს მომავალში. გერმანელებს დღესაც რცხვენიათ, როცა ფაშიზმზე საუბრობენ. ჩვენ ეს არც ერთხელ არ გავაკეთეთ. ჩვენ დღეს ვსაუბრობთ ბოლშევიზმზე, როგორც ჩვეულებრივ მოვლენაზე. ჩვენ დღეს ვსაუბრობთ, როგორც დაპყრობილი დამპყრობელზე, ჩვეულებრივად, თითქოს ბუნებრივ მოვლენაზე გვქონდეს საუბარი არა იმიტომ, რომ ვიღაც კომუნისტი გავასამართლოთ, არამედ იმიტომ, რომ ბოლშევიზმი, როგორც არსი, დამღუპველია ჩვენთვის. შევარდნაძის საქართველოში ბოლშევიზმი ჩქეფდა, ჩვენ ეს არ გავასამართლეთ, პირიქით, შევარდნაძე ყოველ ორშაბათს ჭკუას გვარიგებს „ასავალ-დასავალის“ ფურცლებიდან. რევოლუცია მოვაწყვეთ, მაგრამ არ მივეცით შეფასება ამ მოვლენას, რაც იყო ამ რევოლუციის გამომწვევი. ცხოვრების ათვლა დავიწყეთ 2003 წლის ნოემბრიდან, მაგრამ რა იყო მანამდე, ამას არ მივეცით დოკუმენტური შეფასება. დღესაც სიტყვით ვსაუბრობთ ტირანიაზე, 1 ოქტომბრამდე სხვა საქართველოზე, მაგრამ არ ვცდილობთ, რომ მივცეთ ამას შესაბამისი შეფასება.

*— როგორ უნდა მივცეთ შეფასება, უფრო კონკრეტულად რა გაქვთ მხედველობაში?*

— დღეს პარლამენტში მიდის ჭიდილი იმაზე, ვინ უნდა ჩაუდგეს სათავეში საგამოძიებო კომისიას. მე გამოვდივარ ინიციატივით, შეიქმნას სახელმწიფო კომისია, რომელიც შეისწავლის 2003-2012 წლების მოვლენებს. ამ კომისიაში უნდა შევიდნენ ის ადამიანები, რომლებსაც წვლილი არ მიუძღვით ამ წლების მოვლენებში. ქვეყნის დამაქცევარი როლანდ ახალაია რატომ ზის პარლამენტში, ჩემთვის გაუგებარია. ეს ერთ-ერთი კლანის წარმომადგენელი თავხედურად აცხადებს, რომ კანონიერად არჩეულია ხალხის მიერ. ამას სჭირდება შეფასება. ჩამოვიდა ქვეყანაში სწორედ იმიტომ, რომ მამა დეპუტატი ჰყავს. პარლამენტში დეპუტატები არიან ის ადამიანები, რომლებიც ღიად მონაწილეობდნენ უკანონობებში. შეიძლება ნაყოფია და სხვები ისხდნენ პარლამენტში და ჩვენს ბედს განსაზღვრავდნენ? როცა ასეთი მამა დეპუტატია, რატომ გვიკვირს, რომ მისმა შვილმა თავისუფლად ინავარდოს თბილისში?!

***— როგორია თქვენი აზრი სამთავრობო კაბინეტზე? აქვე მინდა გკითხოთ, რომელი მინისტრების მიმართ გაქვთ შენიშვნები და პირიქით, რომელი მინისტრები იწვევენ თქვენში დადებით დამოკიდებულებას?***

გაგრძელება მე-5 გვერდზე

## დავით საგანელიძე: ოპოზიციამ რამდენიმედღიანი უიქენდი" მოიწყო"

საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერი დავით საგანელიძე მიიჩნევს, რომ მისმა ოპო-



ზიციონერმა კოლეგებმა „პარლამენტის დახურულ, უჰაერო სივრციდან თავის დასაღწევად გამოსავალი მოძებნეს და რამდენიმედღიანი „ვიქენდი" მოიწყვეს.

ასე აფასებს საგანელიძე უმცირესობის გადაწყვეტილებას, რამდენი დღით საპარლამენტო საქმიანობის შეჩერების შესახებ.

„ჯერ იყოს საუბარი იმის შესახებ, თუ როგორ მოხდა და ბაჩო ახალაია დაკითხვაზე დაიბარეს და რატომ არ დახვდნენ მას პროკურატურაში ვარდებით. დაკავებები მე ცოტა სხვანაირი მახსოვს, ეს კაცი კი ადვოკატებით, ნათესავებით, ტელეკამერებით და ლამის პურმარილით გამოცხადდა და თურმე როგორ დააკავეს ადამიანი, რომლის შესახებაც უამრავ დანაშაულზეა საუბარი", – განუცხადა „ინტერპრესნიუსს" საგანელიძემ, რომელიც დარწმუნებულია, რომ მის ოპოზიციონერ კოლეგებს „ახალ პარლამენტში ყოფნას, სახლში ყოფნა ურჩევნიათ".

ინტერპრესნიუსი

## საქართველოს გენერალთა კლუბი გიორგი კალანდაძის დაკავებას ეხმაურება

საქართველოს გენერალთა კლუბი გაერთიანებული შტაბის უფროსის, გიორგი კალანდაძის დაკავებას ეხმაურება და განცხადებას ავრცელებს.

განცხადებაში ნათქვამია, რომ გენერალთა კლუბი კალანდაძის დაკავებას პოლიტიკურ ანგარიშსწორებად არ განიხილავს.

„ვიმედოვნებთ, რომ ხელისუფლება დაიცავს ქართული სახელმწიფოს და საერთაშორისო ყველა ნორმას, რათა კანონიერად გაირკვეს ყველაფერი და ამავდროულად დაკავებულმა გენერალმა კალანდაძემ ისარგებლოს ყველა იმ უფლებით, რომელიც გათვალისწინებულია საქართველოს კანონმდებლობით, რათა არ მოხდეს მისი უფლებების შელახვა. წლების განმავლობაში წინა ხელისუფლების მხრიდან სახელმწიფოს უმაღლესი რანგის ოფიცრები და გენერლები იყვნენ დევნის ობიექტები. ვიმედოვნებთ, რომ დღევანდელი ხელისუფლება სახელმწიფოებრივად მიუდგება ამ პროცესს, რათა უმაღლესი სამხედრო წოდების – გენერლის სტატუსმა და პრესტიჟმა არ განიცადოს დევალვაცია", – ნათქვამია განცხადებაში.

ინტერპრესნიუსი

## გუშინ მეორე ბაჩო ახალაია დაიბადა

კონსტუტუციური უსაფრთხოების დეპარტმენტის ყოფილ უფროსს დათა ახალაიას და მის მეუღლეს, ანი ბენიძეს ვაჟი შეეძინათ.

ახალშობილს ბიძის, ბაჩო ახალაიას პატივსაცემად, ბაჩო დაარქვეს.

ოჯახის ახლობლების ინფორმაციით, ბავშვისთვის ბაჩოს დარქმევა ოჯახს დიდი ხნის წინ ჰქონდა გადაწყვეტილი.

დათა ახალაიამ და ანი ბენიძემ 2012 წლის ივნისში იქორწინეს. ბაჩო მათი პირველი შვილია.

მედიანიუსი

# პროკურატურა დათა ახალაიას საქმითაც დაინტერესდება

ნონა ცაბაძე

## ინტერვიუ მამუკა არეშიძესთან

***– ბატონო მამუკა დღევანდელი დღის მთავარი თემა ბაჩო ახალაის და კიდევ რამდენიმე მაღალჩინოსნის დაკავებაა. მე მინდა თქვენი, როგორც ექსპერტის შეფასებები აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით. მისი თანაგუნდელები აცხადებენ, რომ მისი დაკავება პოლიტიკური ნიშნით მოხდაო. რამდენად არის ეს ასე?***

– ვითარებამ ისე მოიტანა, რომ მე რაღაც ექსპერტი გავხდი ამ ბაჩო ახალაიას საკითხში, რაც, მართალი გითხრათ, არ მახარებს. საკმაოდ ბევრი მეკითხება აზრს. ბაჩო ახალაიამაც კი ფილოსოფიურად და არასერიოზულად შეაფასა ჩემი გამონათქვამები. განსაკუთრებით ფილოსოფიურზე მეცინება. მე მას პოლიტიკურ დევნილად ვერავითარ შემთხვევაში ვერ მივიჩნევ. სხვათა შორის, უნდა ითქვას, რომ ეს რომ ასე იქნებოდა, მე ვიწინასწარმეტყველე და ვთქვი, რომ აუცილებლად მოინდომებს მავანი, რომ მას პოლიტიკური დევნილის მანტია მოასხასმეთქი და პრინციპში თვითონაც ამას აპირებდა. ადამიანს, რომელსაც ამდენი გახმაურებული დანაშაული აქვს ჩადენილი, არა აქვს უფლება, რომ პოლიტიკაზე ილაპარაკოს საერთოდ. ეს კაცი ჩემს თვალში პოლიტიკური დევნილი ნამდვილად არ არის. მე არა ვარ ბუნებით აგრესიული ადამიანი, მაგრამ სამართალი ხომ უნდა აღსრულდეს. მოდით, ასე დავაყენოთ საკითხი, რატომ მაინცდამაინც ბაჩო ახალაიაზეა ამდენი ლაპარაკი და რატომ არ არის თუნდაც სხვა წევრზე, ნაციონალური მოძრაობის ხელმძღვანელობაში ვინც არის. შეიძლება ვიღაცას ფინანსური დანაშაული აქვს ჩადენილი, ვიღაცას გადაცდომა აქვს, ვიღაცას – სხვანაირი ტიპის დანაშაული, მაგრამ ამაზე, სისასტიკით ცნობილი დანაშაულებია. შავ პიარს უგორებდნენ საკუთარი გუნდის წევრები თუ რა იყო, ადრე როცა ის ხელისუფლებაში იყო? რატომ გადაჰყავდა ერთი კრიზისული ადგილიდან მეორე კრიზისულ ადგილას ახალაია თავის დროზე? ზუსტად იმიტომ, რომ განთქმული იყო თავისი სისასტიკით და ნებისმიერი წინააღმდეგობის ჩახშობის უნარით. კრიზისის მომგვარებელი კი არ იყო, ჩამხშობი იყო. ხან იყო ციხეების უფროსი, ხან იყო შინაგან საქმეთა მინისტრი, ხან – თავდაცვის მინისტრი და რა ვიცი.

***– როგორ ფიქრობთ, კიდევ დამძიმდება მისი მუხლი? ბევრი თვლის, რომ ამ ეტაპზე მსუბუქი ბრალდება აქვს წაყენებული, იმ ფონზე, რა დანაშაულობებიც აქვს მას ჩადენილი...***

– რასაკვირველია, აუცილებლად დამძიმდება. მე ყოველთვის ვამბობდი და გავიმეორებ, ასეთი ტიპის ფიგურეს როცა აკავებ და თან საქმე გაქვს ისეთ ორგანიზებულ ძალასთან, როგორიც არის ნაციონალური მოძრაობა, აუცილებლად უნდა გქონდეს პაკეტი წარდგენილი ბრალეულობისა. დამტკიცებული უნდა იყოს ყველაფერი. იქ რომ იმან სადღაც რაღაცა თქვა, ეს არ არის მტკიცებულება. 48 საათში მას უნდა შეეფარდოს ორთვიანი პატიმრობა. თუ 48 საათში არ გაამართლეს დაკავების პროცედურა, რისთვის არის დაკავებული, ნებისმიერი მოსამართლე, რომელიც ჯერ კიდევ კუბლაშვილის გავლენის ქვეშ არის, მას აუცილებლად გაათავისუფლებს, ან გირაოს შეუფარდებს. დარბაზიდან გათავისუფლებული ახალაია კი სხვა წონის პოლიტიკური ფიგურა იქნება, ამის დაშვება არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება.

***– ალბათ, აქვთ საკმარისი მტკიცებულებები, თორემ ისე ხომ არ დააკავებდნენ?***

– ზუსტად ეს მომეწონა, როცა ვუსმენდი წულუკიანს და კბილაშვილს, გამოიკვეთა, რომ ძალიან ფუნდამენტურად იყვნენ მომზადებულები ამ კონკრეტული ეპიზოდის მიმართ. ახალაიას ადვოკატსაც წამოსცდა, რომ ფინანსურ დარღვევებთან დაკავშირებით ახალაიასთვის კითხვა არ დაუსვიათო. მე ვგულისხმობ თავდაცვის სამინისტროში არსებულ ფინანსურ დარღვევებს. უზარმაზარ თანხებზეა საუბარი, იქ არ არის ათი მილიონი, ბევრად მეტია და ჩემთვის ცნობილია ის ციფრი, რა ფულიც არის დაკარგული იმ სამი თუ ოთხი მინისტრის მმართველობის პერიოდში. ეს არის სერიოზული თანხა, მაგრამ ამ მოკლე დროში ბუნებრივია ამის დადგენა ძალიან ძნელია, ეს თანხა მილიარდს ურტყამს და ვინ სად წაიღო ეს თანხა, ამ ეტაპზე ძნელი დასადგენი იქნებოდა. მით უმეტეს, იქ ყველანაირი დოკუმენტები განადგურებულია. სწორედ ამიტომაც არ იყო ამ ფულზე ლაპარაკი. თუმცა აუცილებლად იქნება. ამაშია საქმე, რომ მოემზადნენ და მერე ჩაატარეს ეს ოპერაცია და დააკავეს სუყველანი. მე ასევე ხშირად გამიგონია იმ შამათავას მიერ ჩადენილი დანაშაულები, სისასტიკის თვალსაზრისით. ჯარისკაცებთან მოქცევის თვალსაზრისით, უმცროს ოფიცრებთან მოქცევის თვალსაზრისით.

***– ბატონო მამუკა, ბაჩო ახალაია ქვეყანაში თავისი ფეხით დაბრუნდა. ითქვა ისიც, რომ ახალაის სურდა, რომ დაეპატიმრებინათ, რადგან სხვაგან თავს დაცულად ვერ გრძნობდაო. ეს რამდენად რეალურად გეჩვენებათ?***

– დღეს რთულია ამაზე ლაპარაკი, თუ არა გაქვს სრული ინფორმაცია. სრული ინფორმაცია ბუნებრივია, არა გვაქვს. ვერსიების თვალსაზრისით რასაკვირველია, ესეც იკვეთება, რომ ის დაბრუნდა იმიტომ, რომ არ დაედგომებოდა არსად. რაც არ უნდა პარადოქსულად ჟღერდეს, ყველაზე დაცულად დღევანდელი ხელისუფლების ციხეში შეიძლება იგრძნოს თავი. საზღვარგარეთ ვერ იგრძნობს თავს დაცულად, საქართველოშიც ვერ იქნებოდა მშვიდად. საკუთარ გუნდშიც, ხელმძღვანელობასთანაც არ ჰქონდა დალაგებული ურთიერთობა.

***– ეს რეალურ მოტივად გეჩვენებათ თუ არის სხვა მოტივებიც?***

– მე არ ვილაპარაკებ, ეს რეალურია თუ არარეალური, ეს არის ერთ-ერთი მოტივი. ერთი მოტივე ეს არის, მეორე ის არის, რომ ამ ჩამოსვლით მან ძალიან დიდი ქულები დაიწერა საკუთარ გუნდში. განსაკუთრებით მეორე-მესამე ეშელონში ნაციონალური მოძრაობისა. არც იმას გამოვრიცხავ, რომ მან უცებ ნაციონალური მოძრაობის ლიდერის მანტია მოინდომა. იმიტომ, რომ მიშასთან დაკავშირებით მას გარკვეული პრეტენზიები აქვს. არც იმას გამოვრიცხავ, რომ აი, ამ ფონზე ძველ ხელისუფლებასთანაც და ახალთანაც ვაჭრობის ფორმატის შექმნა მოინდომა. ბევრი ვარიანტი შეიძლება იყოს, მაგრამ კომპლექტში, პრინციპში ეს არის მისი ჩამოსვლა და მთლიანად ამ კომპლექტს დავარქვათ ბაჩო ახალაიას დაბრუნება. კლასიკური დემარში.

***– ითქვა ისიც, რომ თუ წავა თანამშრომლობაზე, შეიძლება საპროცესო შეთანხმებით გაათავისუფლეონ. როგორ ფიქრობთ, დაასახელებს ის სხვა დამნაშავეებსაც თუ რა იგულისხმება ამ საპროცესოში?***



– საპროცესოთი ძალიან რთული იქნება მისი განთავისუფლება. 48 საათში რისი თქმა უნდა მოასწროს. აქედან გამომდინარე, მას აუცილებლად შეუფარდებენ ორთვიან წინასწარ პატიმრობას. თეა წულუკიანი ისეთი ადამიანია, ისეთი წყობის ფიგურაა, რომ ზუსტად იმ კანონებით იმოქმედებს, რა კანონებიც მიიღო ნაციონალურმა მოძრაობამ, მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ ყველანი ვთვლით, რომ ეს არის მანკიერი კანონები, მაგრამ ზუსტად იმ კანონებით იმოქმედებს, რასაც იყენებდა ნაციონალური მოძრაობა იურისპოდენციაში. რაც შეეხება გათავისუფლებას, მე ნაკლებად სავარაუდოდ მეჩვენება, რომ ის გაათავისუფლონ ასეთი გადაწყვეტილებით. მე ამას საერთოდ გამოვრიცხავ, რადგან ეს საზოგადოების დიდ უკმაყოფილებას გამოიწვევს. კიდევ ერთხელ ვიმეორებ, მისთვის უკეთესია, რომ ციხეში იჯდეს, ცალკე კამერაში, ვიდრე იყოს ქუჩაში, იმიტომ, რომ ვინ რას დამართებს, კაცმა არ იცის.

***– ითქვა ისიც, რომ კანონიერი ქურდების გარდა მას ჩეჩნებიც ემტერებიან...***

– ასეთი ინფორმაციის ფრაგმენტებიც არის, რასაკვირველია, რომ კრიმინალური სამყაროც ემტერება, ჩეჩნებიც ემტერებიან და გარდა ამისა, ემტერებიან ის ბიზნესმენები, რომლებიც მის გამო აქედან იყვნენ გაქცეულები.

***– ყველამ კარგად ვიცით, რომ ძალიან დიდ ინფორმაციას ფლობს ბაჩო ახალაია, როგორ ფიქრობთ, მისი დაკავებით რამდენად დგებიან საფრთხის ქვეშ ხელისუფლების უფრო მაღალი ეშელონების წარმომადგენლები?***

– რასაკვირველია, თუ მან მოინდომა კარგად ვაჭრობა, როგორც თვითონ წარმოუდგენია, მისი პიროვნებიდან გამომდინარე, მე არ გამოვრიცხავ, რომ მან ვაჭრობა მოინდომოს, როგორც ძველ, ისე ახალ ხელისუფლებასთან. თუ მან მოინდომა ახალ ხელისუფლებასთან თავისი მდგომარეობით ვაჭრობა, მე არ გამოვრიცხავ, რომ ის ძალიან ბევრ რამეს მოყვეს. ეს რასაკვირველია, სერიოზულ საფრთხეს შეუქმნის უზენაეს ხელისუფლებას და პირველ რიგში, მიხეილ სააკაშვილს.

***– შეგვიძლია იმის თქმა, რომ ბაჩო ახალაიას დაკავებით დაიწყო სამართლიანობის აღდგენა ჩვენს ქვეყანაში?***

– მოდით, ასე ვთქვათ, ყოველ შემთხვევაში, ჩვენ იმედი გვაქვს, სამართლიანობის აღდგენა ამ პროცესით დაიწყება და ბევრი სხვა მიჰყვება მას.

***– უნდა ველოდოთ ძველი ხელისუფლებიდან ყოფილი მაღალჩინოსნების დაკავებას?***

– მოდით, ასე ვთქვათ, დამნაშავეების დაკავებას. ახლა მაღალჩინოსნების დაკავება დაიწყო, ჩვენ ვხედავთ, რომ მინისტრის მოადგილეები თავიანთ პოსტებზე დარჩნენ. 30% მინისტრის მოადგილეებისა კვლავ მაღალჩინოსნები არიან და ბევრი პოლიციელი უსამართლოდ დარჩა შინაგან საქმეთა სამინისტროს შემადგენლობაში. ასე რომ, მე ვთვლი, სამართლიანობა უნდა იყოს ყველა დონეზე. აუცილებლად ყველას უნდა მოეკითხოს თავისი. შეიძლება დღეს ვიღაც გაგეპაროს, ვინც გუშინ ჩვენს მიტინგებს არბევდა და ადამიანებს აწამებდა და საქმეებს უთითხნიდა. ეს არის დღეს, ხვალ კიდევ შეიძლება საზოგადოებამ გაპატიოს, მაგრამ ზეგ აღარ გაპატიებენ. ყველა უნდა დაისაჯოს, ჩვენიანიც, ხაზგასმით ვამბობ, თუ არის დამნაშავე და არაჩვენიანიც.

***– რამდენად სახიფათო ტენდენციაა, როდესაც ასეთი მაღალი თანამდებობის პირებს ტოვებენ თავიანთ თანამდებობაზე?***

– საკმაოდ სახიფათოა, რასაკვირველია. ასეთი ადამიანი, რომელზედაც მის ყოფილ თანაგუნდელებს კომპრომატები აქვთ, შეიძლება მარტივად გამოიყენონ დღევანდელი ხელისუფლების წინააღმდეგ და ამის ნათელი მაგალითები ციხესთან დაკავშირებით ჩვენ უკვე გვაქვს.

***– კადრების დეფიციატია თუ რატომ მიდიან ასეთ ნაბიჯებზე?***

– ციხესთან დაკავშირებით, რასაკვირველია, კადრების დეფიციტია, ეს ახლა უნდა განვაცხადო, რომ ნამდვილად ასეა. ყველას არ უნდა ამ ციხეში მუშაობა. გინდ ზედამხედველად და გინდ ციხის უფროსად. რაც შეეხება სხვა სისტემებს, მე საქართველოში უზარმაზარ რესურსს ვხედავ ადამიანებისა, ნებისმიერ თანამდებობაზე და ნებისმიერი მიმართულებით. ამათი მოძებნა და გამოყენებაა საჭირო.

***– როგორ ფიქრობთ, დადგება ბაჩო ახალაიას ძმის, დათა ახალაიას პასუხისმგებლობის საკითხიც?***

– რასაკვირველია, დადგება ამ ადამიანის პასუხისმგებლობის საკითხი, იმიტომ, რომ მის კისერზეც არის დანაშაულეობები და ჯერ ერთი მთავარი დანაშაული, ერთ-ერთ ყველაზე გახმაურებულ საქმეში აქვს მონაწილეობა მიღებული, გვირგვლიანის მკვლელობას ვგულისხმობ. ამას კითხვაც არ უნდა, რომ ამ საკითხთან დაკავშირებით, რომელიც მე არ ვთვლი, რომ დამთავრებულია და უამრავი ადამიანი შეეწირა ამ საქმეს და პირველ რიგში ირინა ენუქიძე. ამ საქმეს სჭირდება სერიოზული გამოძიება და ყველა კითხვაზე პასუხის გაცემა. მე ვიცი, რომ მაგალითად გოგა ხაინდრავა, ვიდრე ცოცხალია ამ საქმეს მაინც არ მოეშვება და არავის არ მოასვენებს. აქედან გამომდინარე, ეს საქმეც ყურადღებამისაქცევია. ახლა როგორ არის იცით, არის გახმაურებული საქმეები, რომლებიც მოითხოვს დამთავრებას და არის საქმეები, რომებლიც დღეს არის გადასაწყვეტი. თეა წულუკიანი და არჩილ კბილაშვილი ყველაფერს გააკეთებენ იმისთვის, რომ პარალელურ რეჟიმში მოხდეს მუშაობა და ეს ყველა საქმე გამოძიებული იქნეს. დღევანდელი კრიზისული სიტუაციების პრევენციაც უნდა მოხდეს და ამ საქმეების ბოლომდე გამოძიებაც უნდა მოხდეს.

***– რამდენად მიზანშეწონილი იქნება იმ ფონზე, თუკი ორივე შვილი ციხეში იქნება, მამა პარლამენტის დეპუტატი იყოს?***

– ეს ზღაპარია საერთოდ. როლანდ ახალაია და კიდევ 7-8 დეპუტატი, მე სხვებს აღარ ჩამოვთვლი, ვიტყვი ერთს, ჩემი კონკურენტი თემურ ფეიქრიშვილი, რომლებმაც ტოტალურად გააყალბეს არჩევნები. იმან თუ ზუგდიდში გააყალბა, ამან გარდაბანში გააყალბა. ასეთი ადამიანები პარლამენტში აღარ უნდა იყვნენ. მე ასე ვთვლი, მაგრამ ესეც გამოძიების საგანია. ჩემი განცხადებების საფუძველზე კი არ უნდა ხდებოდეს ეს ამბავი. სწორედ თქვა გუშინ ირაკლი ალასანიამ, პოლიტიკურ ფიგურებს არა აქვთ უფლება, ვინმეზე თქვას, დამნაშავეა ან არ არის დამნაშავე. ამის პრეროგატივა აქვს სამართალდამცავ უწყებებს და სასამართლოს, პირველ რიგში. მართალია ჩვენ ჯერ არ გვჯერა სასამართლოსი, იმიტომ, რომ არ გაწმენდილა, არ მომხდარა იქ ისეთი რეფორმა, როგორიც სჭირდება დემოკრატიულ ქვეყანას. მე პირადად მაქვს ჩვენი იუსტიციის მინისტრის და მთავარი პროკურორის იმედი, რომ კანონის დარღვევების გარეშე, ყველა საქმე მიყვანილ იქნება ფინალამდე.

# რატომ უნდა ვაცალოთ ახალ ხელისუფლებას

დასაწყისი მე-4 გვერდზე

– აქ პერსონალური საკითხი არ დგას. ყველამ კარგად ვიცით, რომ ქართველი საზოგადოების ინტერესის სფეროს წარმოადგენს მხოლოდ პრემიერ-მინისტრი, რომელმაც აიღო პირადი პასუხისმგებლობა საქართველოში მიმდინარე პროცესებზე. იკვეთება ჩემთვის შემაშფოთებელი ტენდენციები, მაგრამ მთლიანობაში რომ ავიღოთ, არაობიექტურები უნდა ვიყოთ და ადამიანებს, რომლებიც მოვიდნენ ხელისუფლებაში, არ მიყვარს სიტყვა ვაცალოთ, მაგრამ მაინც უნდა მივცეთ დრო.

***– შს მინისტრ ღარიბაშვილის მოადგილეების ლაშა ნაცვლიშვილისა და ალეკო ტაბატაძის მიმართ არის კრიტიკული მოსაზრებები. ამიტომ გკითხეთ. ეს ადამიანები შევარდნაძის მმართველობასთან არიან გაიგივებულები, ნაცმოძრაობას მიეცა სალაპარაკო, რომ ივანიშვილი კაბინეტს ძველი კადრებით აკომპლექტებს.***

– კარგია, რომ ეს კითხვა დამისვით. მივედით იმ თემამდე, რასაც ჰქვია შევარდნაძის პერიოდი. რატომ არის ასე გამოყოფილი და ვინ შეაფასა, როგორც უარყოფითი პერიოდი საქართველოში? ჩვენ ეს დასკვნა არ გაგვაჩნია. ამიტომ ყველა განიხილავს მისი გემოვნების მიხედვით. თუ არ შევაფასებთ სააკაშვილის პერიოდის მოვლენებს, ხვალ ისევ გაჩნდება უარყოფითი დამოკიდებულებები. ვიღაცას მიაჩნია, ესა თუ ის პიროვნება კარგი სპეციალისტია, ვიღაცას მიაჩნია პირიქით. არ შეიძლება მისი გაკარება ნებისმიერ სამინისტროსთან.

# ნაციონალები 1 ოქტომბრისთვის 6 საკანს ამზადებდნენ მასობრივი დაპატიმრებებისთვის

გულიკო ბალაძე

ლამის მთელი მსოფლიოსთვის ცნობილი იყო საქართველოს სასამართლო სისტემაში გამეფებული უსამართლობა. მოსამართლეები პროკურატურის ნოტარიუსებად იყვნენ გადაქცეული და გამამართლებელი განაჩენები 1%-საც კი არ შეადგენდა. ნაციონალები აცხადებდნენ, რომ წარმატებული სასამართლო რეფორმა ჩაატარეს და ყველაფერი კარგად იყო. რამდენიმე დღის წინ, საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარე მამია ფხაკაძემ 7 მანდატური გაათავისუფლა. თამაზ სარალიძე, გიორგი უშვერიძე, ზურაბ ღულუნიშვილი და სხვები მას შემდეგ გაათავისუფლეს, რაც მანდატურებმა ტელეკომპანია „კავკასიაში" ისაუბრეს იმ ზეწოლაზე, რასაც მათ მიმართ სასამართლოს ხელმძღვანელობა ახორციელებდა განსხვავებული პოლიტიკური მრწამსის გამო.

როგორც საქალაქო სასამართლოს გათავისუფლებული მანდატურები აცხადებენ, სასამართლოს მაღალჩინოსნები მანდატურებს ეუბნებიან, ნაციონალური მოძრაობა ხელისუფლებაში 6 თვის შემდეგ მობრუნდებაო.

გათავისუფლებულებმა „უფლებადამცველთა გაერთიანებას" უკვე მიმართეს, მაგრამ მთავარი ისაა, რომ მათ ისაუბრეს იმ ფაქტებზე, რასაც პროკურატურისა და სს სამინისტროს სპეციალური ორგანოები სასამართლო სისტემაში ახორციელებდნენ. საქმე ეხება მოსმენებს, ზეწოლას, ასევე არჩევნების წინ მანდატურების სპეციალურ ფიზიკურ და ფსიქოლოგიურ მომზადებას არჩევნების შემდეგი პერიოდისთვის. ასევე საკნების მომზადებას, რომელიც საჭირო იქნებოდა არჩევნებში ნაციონალების გამარჯვების შემთხვევაში განხორციელებული დაჭერების გამო.

ამის თაობაზე საქალაქო სასამართლოდან გათავისუფლებულმა მანდატურებმა გუშინ „უფლებადამცველთა გაერთიანების" წარმომადგენლებთან ერთად გამართულ პრესკონფერენციაზე ისაუბრეს.

– თბილისის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარემ მამია ფხაკაძემ სასამართლოდან მანდატურები გაათავისუფლა 5 ნოემბერს, მას შემდეგ, რაც სასამართლოს მანდატურებმა ის დანაშაულებრივ ქმედებებში ამხილეს. 1 ნოემბერს მათ გამოთქვეს პროტესტი, რომ სასამართლოში მიმდინარეობს განსხვავებული პოლიტიკური მრწამსის დევნა-შევიწროება. მანტატურებს ეუბნებოდნენ, რომ რეალურად 6 თვეში დაბრუნდება სააკაშვილი და თქვენ შეგრცხვებათ ჩვენთვის თვალებში შეხედვა. საბოლოოდ წერტილი დაესვა ყველაფერს მას შემდეგ, რაც ამ მანდატურებმა პირდაპირ ეთერში ისაუბრეს იმ ქმედებებზე, რასაც ახორციელებდნენ ქალაქის სასამართლოს სამსახურები. ეს ქმედებები ასახულია წერილში, რომელიც არის გაგზავნილი. მანდატურების განცხადებით, სასამართლოში ე.წ. ჟუჩოკები ყენდებოდა ადვოკატების, ნაფიცი მსაჯულების მაგიდების ქვეშ, იწერებოდა მათი საუბრები. წინასაარჩევნო პერიოდში მანდატურები გადიოდნენ წვრთნებს, რაც კანონით მათთვის განსაზღვრული არ იყო. სასამართლოს შენობის დაბლა კეთდებოდა 500-600 კაცზე გათვლილი საკნები, რადგან არჩევნების შემდეგ იგეგმებოდა პოლიტიკური პარტიების წარმომადგენელთა დაპატიმრება. ეს ადამიანები ხედავდნენ იმ ზეწოლას, რომელსაც ახორციელებდა უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილე მიხეილ ჩინჩალაძის კადრი ვანო ზარდიაშვილი, ავიწროებდა ადამიანებს, ვერ იტანდა განსხვავებულ აზრს. ეს გრძელდებოდა 1 ოქტომბრის შემდეგაც. ყველაფერი დამთავრდა იმით, რომ ეს ხალხი უკანონოდ იქნა გათავისუფლებული დაკავებული თანამდებობიდან, რითაც დაირღვა საჯარო სამსახურის შესახებ კანონის 95-ე მუხლი. გათავისუფლების ბრძანებები უკვე გამოეგზავნათ და ჩვენ მას გავასაჩივრებთ და მივითხოვთ მანდატურების დაუყოვნებლივ აღდგენას, – განაცხადა ნიკოლოზ მჟავანაძემ.

„უფლებადამცველთა გაერთიანება ასევე მოითხოვს: „სასამართლოში იმ განუკითხაობის დასრულებას, რომელიც უკვე კარგა ხანია სუფევს".

– რაოდენ პარადოქსულიც არ უნდა იყოს, მამია ფხაკაძე, რომელიც არის სასამართლოს თავმჯდომარე, იღებს უსამართლო გადაწყვეტილებებს, ანუ ადამიანებს ათავისუფლებს უკანონოდ თავიანთი პოლიტიკური შეხედულების გამო, – აცხადებს ნიკოლოზ მჟავანაძე, – სასამართლო, რომელიც უნდა იდგეს კანონიერების სადარაჯოზე, უკანონო გადაწყვეტილებებს იღებს საკუთარი თანამშრომლების მიმართ.

**გიორგი უშვერიძის განცხადებით:**

– ჩვენ გაგვიშვეს სამსახურიდან უსამართლოდ. ჩვენ მათ გაშვებასაც მოვითხოვდით და ვთვლიდით, რომ მორალურად არ ჰქონდათ სამსახურის გაგრძელების უფლება. ესენი იყვნენ მამუკა თურქაძე, მენეჯერი ვანო ზარდიაშვილი და დავით პატიაშვილი. ჩვენ გაგვიშვეს, ისინი კვლავ იქ მუშაობენ, რადგან ბატონ კოტე კუბლაშვილის პროტეჟე არის მამუკა თურქაძე, ბატონ მიხელ ჩინჩალაძის პროტეჟე არის ბატონი ვანო ზარდიაშვილი და ბატონ მამია ფხაკაძის პროტეჟეა ბატონი დავით პატიაშვილი.

გიორგი უშვერიძე ამხელს, რა ვითარებაში მუშაობდნენ და რა კავშირები ჰქონდათ ნაციონალების მიერ საქვეყნოდ ნაქებ ნაფიც მსაჯულებს სასამართლოსთან. რა ვითარებაში მუშაობდნენ თვით მოსამართლეები.

– სასამართლოში ასეთი უსამართლობები ხდებოდა, როცა პროცესები იწყებოდა, მოსასმენი აპარატები ყენდებოდა არა მხოლოდ სასამართლო დარბაზებში მათ სასამართლო პროცესებზე, არამედ მათ სათათბირო ოთახშიც და სასადილო ოთახშიც. მოსასმენების დაყენება ხდებოდა არა მხოლოდ ნაფიც მსაჯულთა სასამართლო პროცესებზე, არამედ მნიშვნელოვან სასამართლო პროცესებზეც, როცა მოსასმენი აპარატების დაყენება ხდებოდა ასევე ადვოკატისა და განსასჯელის მაგიდის ქვეშაც. მაგალითად, ასე იყო ებრაელი ბიზნესმენების ფუქსისა და ფრენკელის პროცესზე.

**თამაზ სარალიძის თქმით:**

– წინასაარჩევნო პერიოდში ჩვენზე ხორციელდებოდა ზეწოლები ჩვენი პოლიტიკური შეხედულებების გამო, ყოფილი ხელისუფლების წარმომადგენლების მხრიდან. ძველი ხელისუფლების წარმომადგენლები დღესაც არიან სასამართლო ხელისუფლებაში დარჩენილები. ისინი კვლავ ახორციელებენ ჩვენზე გარკვეულ ზეწოლებს. ჩვენ თითქოს მცდარი შეხედულება გვქონდა და მცდარი არჩევანი გავაკეთეთ. ქართველი ერის მიერ გაკეთებულ არჩევანს და შედეგად შექმნილ სხვა რეალობას ისინი მტკივნეულად აღიქვამენ.

***– კონკრეტულად ვისი მხრიდან ხორციელდება ზეწოლა?***

– პირველ რიგში, ეს ჩვენი სასამართლოს მენეჯერისაგან და მისი საახლობლო წრისაგან მოდის. მთლიან ვერტიკალში თუ ავიღებთ, ეს ხალხი უშუალოდ მეგობრები და ნათესავები არიან. უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილის მიხეილ ჩინჩალაძის მეჯვარე, მისი საახლობლო და სამეგობროა. მენეჯერი ახალი თანამდებობაა. ადრე აპარატის უფროსად იწოდებოდა. ბატონმა ვანო ზარდაშვილმა პირადად მე გამკილავად მითხრა, შენ ყოველთვის მცდარი პოლიტიკური შეხედულებები გქონდა, ახლაც ასეთი გაქვს, შენი გამოსწორება, ალბათ, არ იქნებაო და, საერთოდ, ჩემი ქალაქიდან რაიონში გაშვება მოინდომა. როგორც შემდეგ გავარკვიე, ყველა სასამართლოში მათი საახლობლოა წარმოდგენილი.

***– პრეტენზია უშუალოდ თქვენი სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებასთან დაკავშირებით არ იყო?***

– არა. ვანო ზარდიაშვილმა თათბირი ჩაატარა და პირდაპირ ჩემგან მოითხოვდა, დამედო პირობა, რომ ალარასოდეს ვისაუბრებდი პოლიტიკურ თემებზე. მე განვუცხადე, ორი თემა არსებობს, ფეხბურთი და პოლიტიკა, რაზეც ადამიანები ხშირად ვსაუბრობთ-მეთქი და დავუკონკრეტე, სამეგობრო წრეშიც არ ვისაუბრო-მეთქი? არაო. ამას შევაფასებ, როგორც სიტყვის თავისუფლების შეზღუდვა-მეთქი. ამაზე ძალიან უცენზურო სიტყვით მომმართა, შენ და შენი სიტყვის თავისუფლება, წადი საერთოდ აქედანო და პროტესტის ნიშნად თათბირი დავტოვე.

***– გაგათავისუფლეს მას შემდეგ, რაც თქვენი პოლიტიკური შეხედულებების თაობაზე ტელევიზიით ისაუბრეთ?***

– ვერ წარმოუდგენიათ, სასამართლოდან როგორ შეიძლება ასეთ თემებზე გარეთ ისაუბრო, მაგრამ იქ ჩვენ ვერანაირ სამართალს ვერ ვპოულობდით. ბატონი თავმჯდომარეც ჩავაყენეთ საქმის კურსში, მაგრამ რეაგირება არ ჰქონდა, ამიტომ დავიწყეთ იქ არსებული ვითარების ფართო საზოგადოებამდე მიტანა, ხომ უნდა დაინახოს საზოგადოებამ, რომ ეს ხალხი იმავე ეიფორიით აგრძელებს მუშაობას. ყველაზე აღმაშფოთებელი ისაა, რომ ბატონმა ვანო ზარდიაშვილმა პირადად თავის კაბინეტში როცა შეგვიყვანა მე და ჩემი თანამოაზრე და მეგობარი გიორგი უშვერიძე, პირდაპირ გვითხრა, ერთი წელი იქნება თუ წელიწადნახევარი, ჩვენ კვლავ დავბრუნდებით ხელისუფლებაში და მერე რალა პირით გინდათ ჩვენთან იმუშაოთო. ჩვენ მათთვის არასაიმედო და შავ სიაში შეტანილი ხალხი ვიყავით, რადგან ჩვენ მრავალჯერ დავაფიქსირეთ მათგან განსხვავებული აზრი 26 მაისის მოვლენებთან დაკავშირებით.

**ზურაბ ღულუნიშვილი:**

– ნაფიცი მსაჯულების შერჩევა ხდებოდა ძირითადად საახლობლო წრიდან. ამის მაგალითია ნაფიცი მსაჯულების უფროსი, რომელიც აღმოჩნდა ის პიროვნება, ვისმა ფირმამაც გაიმარჯვა ტენდერში და ვინც გვიკერავს ფორმებს. ისინი 1 ოქტომბერს ელოდებოდნენ გამარჯვებას. ამის დასტურია ის, რომ 2012 წლის 27 აგვისტოდან ჩვენთან დაიწყო მანდატურების სერიოზული ფიზიკური მომზადება. მოიყვანეს ინსტრუქტორი, რომელიც ჩვენ გვამზადებდა ფიზიკურად. ასევე მოყვანილი ჰყავდათ ფსიქოლოგი, რომელიც ფსიქოლოგიურად გვამუშავებდა, რაც მანდატურის სამსახურს არანაირად არ გვჭირდება.

ისინი გამარჯვებას ელოდებოდნენ და ამისთვის ემზადებოდნენ. ისინი ფიქრობდნენ, რომ 1 ოქტომბერს ნაციონალების გამარჯვებას ქართული ოცნების მხრიდან მოჰყვებოდა საპროტესტო აქციები. ამ პროცესისთვის სასამართლოს შენობაში ამზადებდნენ ახალ საკნებს. ჩვენთან არსებობს საკნები, რომელსაც არ იყენებდნენ, მაგრამ 1 ოქტომბრის შემდეგ ყველა ეს საკანი უნდა გამოყენებულიყო. პატიმრებისთვის აწესრიგებდნენ საკნებს, აკეთებდნენ განათებას, გაჰქონდათ ზედმეტი საგნები, რადგან 1 ოქტომბრის შემდეგ დაიწყებოდა ფართომასშტაბიანი დაკავებები. ამიტომ ეს საკნები თავისუფალი უნდა ყოფილიყო. 26 მაისის დარბევის შემდეგ სასამართლოში მოხდა ძალიან დიდი რაოდენობის პატიმრების შემოდინება. ეს საკნები ძირითადად სწორედ ასეთ შემთხვევებში გამოიყენება.



**სასამართლოებში ყველა მნიშვნელოვან პროცესზე მოსასმენ აპარატებს აყენებდნენ და კუდის თანამშრომლები ეზოში მდგარ ჯიპში უსმენდნენ ადვოკატებს, მოსამართლეებსა და პატიმრებს.**

ასევე ყველა პროცესი 20 ოქტომბრამდე უნდა გადადებულიყო. ტარდებოდა ისეთი პროცესები, რომელსაც ვადები გასდიოდა.

***– არჩევნების შემდეგაც ხდებოდა ე.წ. ჟუჩოკების დაყენება?***

**გიორგი უშვერიძე:**

– არჩევნების შემდეგ მე მგონი პროცესები არ ჩატარებულა და ასეთ რაღაცას ადგილი არ ჰქონია. მას შემდეგ, რაც გავიმარჯვეთ, „ჟუჩიკებს" ვინც აყენებდა, ის ხალხი სასამართლოში არ გამოჩენილა.

***– „ჟუჩოკებს" რომ აყენებდნენ, მოსამართლეები ხედავდნენ?***

– არა.

***– ან გებულობდნენ, რომ მოსასმენი აპარატი იყო დაყენებული?***

– არა მგონია.

***– ამის გამო შეურაცხყოფილად არ გრძნობდნენ თავს?***

– ვერ გეტყვით, მოსამართლე რა მდგომარეობაში იყო. სანამ სასამართლო პროცესი დაიწყებოდა, 1 საათით ადრე მოდიოდნენ და იქ არავინ არ უნდა შესულიყო. მე ვიდექი იქ და არავინ არ უნდა შემეშვა უცხო. არავის არ უნდა დაენახა. ამბობდნენ, რომ უსაფრთხოებას ემსახურებოდა.

**გათავისუფლებული მანდატურების განცხადებით:**

– მანდატურების მომზადებას მოსამართლეებიც ხედავდნენ ფანჯრებიდან და ეს ყველასათვის ცნობილი იყო. როცა ვემზადებოდით, უშუალოდ ჩამოვიდნენ საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარე მამია ფხაკაძე და მენეჯერი ბატონი ვანო ზარდიაშვილი, რომლებიც ჩვენს წვრთნას ესწრებოდნენ. ამუშავებინებდნენ ისეთ ილეთებს, რომლითაც ფაქტობრივად, პიროვნების გაუვნებელყოფა ერთი დარტყმით შეგვძლებოდა, რომელიც სიცოცხლისათვის საშიში იქნებოდა.

უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე არა მარტო საქმის კურსში იყო, არამედ კოტე კუბლაშვილის ხელდასმით ხდებოდა ყველაფერი. უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის პროტეჟე და მეზობელი, ბატონი მამუკა თურქაძე მივლენილი იყო პავლე კუბლაშვილის საარჩევნო შტაბში დასახმარებლად.

**ზურაბ ჩიკვაიძე:**

– გვიტარებდნენ ზომბირების კურსებს. ხანდახან დაგვცინოდნენ კიდეც, ჩვენ კი საფრთხედ აღვიქვამდით.

***– მოსასმენი აპარატებიდან პირდაპირ ისმენდნენ თუ პროცესის გადაცემა ხდებოდა?***

– თუ ადვოკატი თავის პატიმარს რაღაცას ჩურჩულით ელაპარაკებოდა, მოსასმენი ეყენათ, რას ელაპარაკებოდა და რას ჩურჩულებდნენ, ამათ რომ გაეგოთ. ამას უსმენდნენ.

**თამაზ ზურაშვილი:**

– გარეთ იდგა შავი ჯიპი, რომელშიც ისხდნენ კუდის თანამშრომლები და ნაუშნიკებით ისმენდნენ ყველაფერს. როცა დავინტერესდით და ვიკითხეთ, რატომ ხდებოდა, ჩუმად ხომ არ ხდებოდა, სასამართლოს თავმჯდომარემ და ვანო ზარდიაშვილმა პირდაპირ განგვიცხადეს, რომ ეს მოსმენები ხდებოდა უზენაეს სასამართლოსთან შეთანხმებით და პირადად ბატონი კუბლაშვილი საქმის კურსშიაო. აქტიური პროცესი როცა მიმდინარეობდა, ეს მანქანა გარეთ იდგა. ჩვენმა თანამშრომელმა პირდაპირ დაინახა, როგორ ეკეთა ყურსასმენები და როგორ ისმენდნენ.

რამდენჯერმე მანდატური მივიდა და უთხრა, მანქანა გადააყენეო. ისეთ ადგილზე იდგა, იქ არ უნდა მდგარიყო. მერე უკვე ხელმძღვანელობა გვპასუხობდა, გამოდით, თავი დაანებეთ, კუდის თანამშრომლები არიანო. შავი ჩაბურულშუშებიანი ჯიპით („ტუქსონით) შემოდიოდა.

ნიკოლოზ მჟავანაძის ინფორმაციით, მოსამართლეებიც აპირებენ იგივე ნაბიჯების გადადგმას, რაც მანდატურებმა გადადგეს და იმ სიტუაციის მხილებას, რაც წლების განმავლობაში სასამართლოებში სუფევდა და მათ მიმართ ხორციელდებოდა. მანდატურები კი არიან თვითმხილველნი და მოწმეები იმისა წლების განმავლობაში როგორ ხდებოდა მოსასმენი აპარატების დაყენება, ნაფიცი მსაჯულების შერჩევა, ადვოკატების შეურაცხყოფა.

## პრემიერ-მინისტრი აშშ-ში ვიზიტისთვის ემზადება

საქართველოს პრემიერ-მინისტრი ბიძინა ივანიშვილი ამერიკის შეერთებულ შტატებში ვიზიტისთვის ემზადება.

როგორც მან ჟურნალისტებთან საუბრისას განაცხადა, უახლოეს დღეებში შეატყობინებენ, როდის უნდა გაემგზავროს ვაშინგტონში.

პრემიერის ინფორმაციით, ამერიკელები საქართველოს დიდი მეგობრები არიან და „რესპუბლიკელებიცა" და „დემოკრატებიც" საქართველოს ეხმარებიან.

„მე უახლოეს დღეებში გამაგებინებენ, როდის დამინიშნავენ ამერიკის ხელისუფლებასთან შეხვედრას. თუ გაიმარჯვებდა ობამა, მაშინ მალევე მომიწევდა წასვლა, თუ – „რესპუბლიკელები" მაშინ დროში გაიწელებოდა ეს პროცესი, რადგან ხელისუფლების გადაბარებას დიდი დრო უნდა. ამერიკელები ჩვენი მეგობრები არიან. „დემოკრატებიც" და „რესპუბლიკელებიც" ჩვენი მეგობრები არიან. „დემოკრატების წელია" და „ქართულ ოცნებას" დემოკრატიული სახელი გვქონდა და ფერებიც",-განაცხადა ბიძინა ივანიშვილმა.

ინტერპრესნიუსი

## მთავრობა შრომითი ურთიერთობებისა და სოციალური დიალოგის საკითხთა კომისიას ქმნის

ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრი გიორგი კვირიკაშვილი პრემიერ-მინისტრის დავალებით განცხადებას ავრცელებს.

მასში ნათქვამია, რომ ბოლო პერიოდში საქართველოს რამდენიმე რეგიონში, მათ შორის დედაქალაქშიც, ადგილი აქვს გაფიცვებს. განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობაა შექმნილი ფოთის პორტში, სადაც ნავსადგურის ფუნქციონირება ამ დრომდე პარალიზებულია.

საქართველოს პრემიერ-მინისტრის გადაწყვეტილებით იქმნება სამთავრობო კომისია, რომელსაც ბიძინა ივანიშვილი უხელმძღვანელებს.

„გადაწყდა, რომ კომისიას ეწოდოს „შრომითი ურთიერთობებისა და სოციალური დიალოგის საკითხთა კომისია." მისი შექმნის მიზანი დამსაქმებელთა და დასაქმებულთა შორის დღესდღეობით არსებული პრობლემების გადაწყვეტისა და მხარეთა მორიგების ხელშეწყობა იქნება.

მინდა, გაფიცულებს გადავცე ბატონი ბიძინა ივანიშვილის ადამიანური თანადგომა და მისი სურვილი, პირადად გაერკვეს პორტის თანამშრომელთა პრობლემებში.

მივმართავ ფოთის პორტის ხელმძღვანელობას, სიტუაციის გამოსასწორებლად ყველა ძალისხმევა იხმაროს – გაფიცვის ყოველი დღე უარყოფითად აისახება ქვეყნის ეკონომიკურ მდგომარეობაზე. ქვეყნისათვის სტრატეგიულად მნიშვნელოვანი ტვირთების შემოსვლა შეფერხებულია. ამიტომ გაფიცულებს ვთხოვ, შეწყვიტონ გაფიცვა და დაუბრუნდნენ სამუშაო ადგილებს", – აცხადებს ეკონომიკის მინისტრი და დასძენს, – საქართველოს მთავრობის სახელით პირობას ვაძლევთ მათ, რომ კომისია ბიძინა ივანიშვილის ხელმძღვანელობით ყველაფერს იღონებს, რათა საქართველოს თითოეული მოქალაქის შრომითი და სოციალური უფლებების დაცვის საკითხი უმოკლეს ვადებში გამოსწორდეს.

აღნიშნული საკითხი მთავრობის უმთავრესი პრიორიტეტი იქნება.

მედიანიუსი

# რატომ ეწინააღმდეგება მაია მიმინოშვილი 8+1“ სისტემას

მერი ნამორაძე

განათლების სამინისტრო მე-11 კლასელების ფსიქიკას ერთობ გაუფრთხილდა, როცა ოთხ საგანში გამოცდების ჩაბარება გაისად, შემოდგომით შესთავაზა. მართალია ქიმია-ფიზიკის, ბიოლოგიის და გეოგრაფიის სწავლას მე-11 კლასში ამთავრებენ, მაგრამ რადგან მშობლიან-მოსწავლიანად არავინ იყო შეგუებული მეთერთმეტე კლასის დამთავრებისთანავე გამოცდის ჩაბარებას, სამინისტრომ ტრადიცია არ დაარღვია და 2013 წლის შემოდგომაზე, ანუ მე-12 კლასში გადასვლისას შესთავაზა დასახელებულ საგნებში გამოცდის ჩაბარება. მომდევნო თაობები კი, უკვე სიახლეებს შეგუებულნი, სასწავლო წლის დამთავრებისთანავე „მოიცილებენ“ ამ საგნებში გამოცდებს. ფსიქოლოგიური შემზადებისათვის დრო მომავალ მე-11 კლასელებს საკმარისად ექნებათ და ეცოდინებათ, რომ ამა თუ იმ საგნის სწავლების დასრულებისთანავე ჩააბარებენ საატესტატო გამოცდას.

გუშინ ეს საკითხი კიდევ ერთხელ განმარტა პრაიმ-ტაიმის პრეს-კლუბში გამოცდების ეროვნული ცენტრის ხელმძღვანელმა, მაია მიმინოშვილმა. მისი თქმით, წელს, საატესტატო გამოცდების ჩაბარებასა და მის ფორმატზე სრულიად იღებენ საკუთარ თავზე პასუხისმგებლობას საჯარო სკოლები. ისინი, რომლებიც უმაღლეს სასწავლებლებში აპირებენ სწავლის გაგრძელებას, ტრადიციულად ივლისში ჩააბარებენ ერთიან ეროვნულ გამოცდებს.

მაინც რატომ იქნა მიღებული ასეთი გადაწყვეტილება? ამის ასახსნელად მიმინოშვილი მოკლე ისტორიას მოჰყვა, როცა 2011 წელს ეროვნულმა ცენტრმა პირველად ჩაატარა კომპიუტერზე ადაპტირებული ტესტირების სახით გამოსაშვები გამოცდები. ეს იყო პილოტირების წელი და მნიშვნელოვანი იყო როგორც ეროვნული ცენტრისათვის, ასევე მოსწავლეთათვის. შემოღებული იქნა რთული და კომპლექსური სისტემა, როცა ურთულესი ალგორითმი ახორციელებს მთელი ამ კომპლექსის წარმართვას და იგი ეროვნულ ცენტრში შეიქმნა.

– 2011 წელი ჩვენი ორგანიზაციისათვის მაინც პილოტირების წელი იყო. მოვახერხეთ იმაზე შეთანხმება, რომ ძალიან დაბალი იყო ბარიერი, რათა მოსწავლეებს მოეხერხებინათ ადაპტაცია ახალ პირობებთან. 2012 წელსაც ჩავატარეთ ანალოგიური სისტემით, თუმცა არ იყო მთლად სრულყოფილი, რადგან ასეთი ფართო მასშტაბით ურთულესი სისტემის დანერგვას 4-5 წელი მაინც სჭირდება. სრულყოფილ დავალებათა ბანკის შექმნას სწორედ ამდენი წელი სჭირდება, – აღნიშნა მიმინოშვილმა.

მისი თქმით, 2012 წელს კიდევ უფრო დაიხვეწა ალგორითმი, რამაც დასავლელი ექსპერტების ყურადღებაც მიიპყრო. 2012 წლის ზაფხულში დაგეგმილი იყო საერთაშორისო კონფერენცია, სადაც უნდა განხილულიყო, თუ როგორ მოხდა ასეთი ფართო მასშტაბით კომპიუტერზე ადაპტირებული ტესტის გამოყენება, თუმცა მიზეზთა გამო, ეს კონფერენცია აღარ ჩატარდა. მას შემდეგ, რაც მიმინოშვილი კვლავ დაუბრუნდა ეროვნულ ცენტრს, აქტუალური გახდა კომპიუტერზე ადაპტირებული ტესტით გამოცდის ჩაბარება მე-12 კლასში, ნაცვლად „8+1“ სისტემისა.

მაინც რატომ იწუნებს ქალბატონი მაია „8+1“ სისტემას, როცა მოსწავლეებს 8 საგანში სკოლებში უნდა ჩაებარებინათ გამოცდა, ამას დაემატებოდა ზოგადი უნარების ტესტის ჩაბარება მათ მიერ, ვინც უმაღლესში მოინდომებდა სწავლის გაგრძელებას.

– ასეთი ფორმატის წინააღმდეგი ადრეც ვიყავი, ვიდრე დავტოვებდი გამოცდების ეროვნულ ცენტრს, – აღნიშნა მიმინოშვილმა. ეს გახლდათ 2012 წლის თებერვალი, როცა მაშინდელმა განათლების მინისტრმა საკონსულტაციო საბჭო შეკრიბა, რომლის მსჯელობის საგნად საგამოცდო სისტემის რეფორმირება იქცა. მიმინოშვილი დაგეგმილ ფორმატს შეეწინააღმდეგა, რადგან იმ ფორმატით, როგორითაც გამოსაშვები გამოცდები ტარდება, არ შეიძლება უმაღლეს სასწავლებელში იქნას მოსწავლე ჩარიცხული. ეს სისტემა აფასებდა მხოლოდ ძალიან მინიმალურ სტანდარტს და არ იძლეოდა საშუალებას შეფასებულიყო აბიტურიენტის მნიშვნელოვანი სააზროვნო პროცესი, როგორიცაა წერითი მეტყველება, ლოგიკური მსჯელობა, მათემატიკური მსჯელობა:



– აუცილებელია მოსწავლემ, როცა მას ვაფასებთ და ვირჩევთ უმაღლესი სასწავლებლისთვის, საკუთარი ხელით დაწეროს ერთი წინადადება მაინც და არა მხოლოდ შემოსახაზი დავალებებით შემოვიფარგლოთ, – ამ მოსაზრებით იწუნებდა ქალბატონი მაია „8+1“ სისტემას, რაც ძველ მინისტრთან პიროვნულ შეუთავსებლობად გაფორმდა. უკვე მოგვიანებით, მიმინოშვილმა აღმოაჩინა, რომ „8+1“ სისტემაში საერთოდ უარი იყო ნათქვამი ალგორითმზე, რომლის შექმნას სერიოზული ენერგია შეალია გამოცდების ეროვნულმა ცენტრმა.

კომპიუტერზე ადაპტირებულ სისტემასთან დაკავშირებით მიმინოშვილმა აღნიშნა: – მე ვფიქრობ, რომ ეს მართლაც ძალიან ეფექტური სისტემაა, რადგან შესაძლებლობას გვაძლევს, მართლაც მაქსიმალური სიზუსტით შევაფასოთ კონკრეტული მოსწავლის შესაძლებლობა და მე პირადად და ჩემი კოლეგები, არაფრით არ ვიტყოდით უარს ამ სისტემის დანერგვაზე, რომლის დანერგვა დაიწყო 2011 წლიდან და მეტი დახვეწა სჭირდება.

გარდა იმისა, რომ „8+1“ სისტემას არაფერი საერთო ჰქონდა კატის სისტემასთან და ჩვეულებრივი ტესტური დავალებები მიუვიდოდა მოსწავლეს კომპიუტერის მეშვეობით. კიდევ უფრო გაურთულებდა მათ საქმეს ქართულ ენასა და ლიტერატურაში წერითი ნაწილის დამატება, რადგან ჯერ კომპიუტერში უნდა ეპასუხათ ტესტური დავალებებისთვის, შემდეგ წერითი დავალება შეესრულებინათ. წერითი დავალების დამატებას აპირებდნენ უცხო ენაშიც.

მიმინოშვილის თქმით, არსებობს ორი ტიპის გამოცდა – სასერთიფიკაციო, რომლის მიზანია მოსწავლის ცოდნისა და უნარების შედარება კონკრეტულ სტანდარტთან; დგება ბარიერი, რომელიც უნდა გადალახოს მოსწავლემ და არ აქვს მნიშვნელობა, რამდენი ნაბიჯით გადალახავს. სხვა არის სასელექციო გამოცდა, დგება სასელექციო ტიპის ტესტი, რომლის გამოყენება ერთიან ეროვნულ გამოცდებზე ხდება და აბიტურიენტთა შორის კონკურსია უმაღლეს სასწავლებელში ჩასარიცხად. ამ შემთხვევაში აბიტურიენტები ერთმანეთს ეჯიბრებიან და საუკეთესოები აირჩევიან. მიმინოშვილის თქმით, სელექციური და სასერთიფიკაციო ტესტების ერთმანეთში აღრევა დაუშვებელია, რადგან ამ შემთხვევაში რადიკალურად განსხვავებულ ორ მიზანს ემსახურებიან.

მოკლედ, გარდამავალი წელი ერთგვარი მოსამზადებელი წელი იქნება გამოცდების ეროვნული ცენტრის თანამშრომლებისთვის, რათა მაქსიმალურად კარგად მოემზადონ და აღადგინონ კომპიუტერზე ადაპტირებული ტესტირება, მეორე მხრივ კი, მოულოდნელი სიურპრიზები არ შესთავაზონ მე-12 კლასელებს. რა თქმა უნდა, რთულია, როცა 8 საგანს აბარებენ სკოლაში, შემდეგ 4-ს უმაღლეს სასწავლებელში და ერთდროულად 12 გამოცდაა ჩასაბარებელი. სწორედ ამ სიტუაციის განსამუხტად დაიგეგმა არსებული სასწავლო გეგმით მე-11 კლასში გამოცდები იმ ოთხ საგანში, რომლის სწავლებაც მთავრდება. ეს ერთგვარად განმუხტავს მე-12 კლასში უხვ გამოცდებთან დაკავშირებულ დაძაბულობას. მე-12 კლასში მოსწავლეები მხოლოდ ქართულში, ისტორიაში, უცხო ენასა და მათემატიკაში ჩააბარებენ გამოცდას.

ქალბატონმა მაიამ აღნიშნა, რომ ქვეყანას შეიძლება კიდევ დიდხანს დასჭირდეს ცენტრალიზებული საგამოცდო სისტემა. მთავარია, სკოლებმა გააცნობიერონ ის, რომ მათ მნიშვნელოვანი ბერკეტი უჭირავთ ხელში, რომ მათზე უკეთესად და ობიექტურად ვერც ერთი ორგანიზაცია და ტესტი ვერ შეაფასებს მოსწავლეს. სკოლამ უნდა დაიბრუნოს ძირითადი ფუნქცია და დაიბრუნოს ის ვალდებულებები, რაც სახელმწიფოს წინაშე აქვს. სკოლებს უნდა გაუჩნდეთ განცდა, რომ მათ ძალიან მნიშვნელოვანი ფუნქციის შესრულება ევალებათ. გამოცდების ეროვნული ცენტრი კი მზად არის ამ ფუნქციის განხორციელებაში დაეხმაროს და გაინაწილოს პასუხისმგებლობა.

# ნატოსთან რთული მოლაპარაკებები გველოდება“

ნათია ხურცილავა

### ინტერვიუ პოლიტოლოგ სოსო ცინცაძესთან:

***– ბატონო სოსო, რუსეთთან ურთიერთობების დარეგულირების მხრივ ახალი ხელისუფლება გარკვეულ ნაბიჯს დგამს და პრემიერი სპეციალურ წარმომადგენელს ნიშნავს, რას უნდა ველოდეთ?***

– პირველ რიგში უნდა აღვნიშნო, რომ გადაჭარბებული მოლოდინი არ უნდა შევიქმნათ. რასაკვირველია, სწორი ნაბიჯი არის გადადგმული. თუმცა, ვიმეორებ, ეიფორიას არ უნდა მივეცეთ. ეს სწორი ნაბიჯი არ ნიშნავს იმას, რომ ხვალ, ზეგ დადებითი შედეგი მოჰყვეს, ვინაიდან ძალიან გრძელი და რთული გზა არის გასავლელი. – რა შეიძლება მოჰყვეს ჩვენს ნაბიჯს რუსეთის მხრიდან? უახლოეს მომავალში შეიძლება ველოდოთ ჩვენი სურსათის შესვლას რუსეთის ბაზარზე.

***– ღვინოს შეტანას არა?***

– ღვინოც და მინერალური წყლებიც. სხვას არაფერს არ უნდა ველოდოთ ამ ეტაპისთვის. რუსეთის პოზიცია ასეთია: ისინი ჩვენგან ელოდებიან შემხვედრ ნაბიჯებს. ეს უკვე ზურაბ აბაშიძეზე აღარ არის დამოკიდებული. შემხვედრი ნაბიჯების გადადგმა სხვა უწყებებზეა დამოკიდებული. მხოლოდ აბაშიძე უძლური იქნება.

***– კონკრეტულად რომ გვითხრათ...***

– საგარეო საქმეთა სამინისტრო, მთავრობა მთლიანად, ახალი ხელისუფლების პოლიტიკური ნება, მთელი კომპლექსი უნდა ჩაერთოს. რუსეთის პოზიციაა, რომ საქართველოდან დაელოდონ შემდეგ ნაბიჯებს, რადგან რუსეთის ფედერაცია აცხადებს, რომ საქართველომ გაწყვიტა დიპლომატიური ურთიერთობა. ზურაბ აბაშიძეს ფონის შექმნა შეუძლია. ამას ნამდვილად გააკეთებს მისი პროფესიონალიზმიდან გამომდინარე.

***– პერსონის დონეზე გადაწყვეტილებაზე საუბარი რთულია, თუმცა გარკვეული ფაქტორი შეიძლება იყოს აბაშიძე თუ მის კონტაქტებს, ნაცნობთა წრეს გავითვალისწინებთ?***

– რასაკვირველია, აბაშიძეს თავისი კონტაქტები აქვს. პიროვნული ფაქტორიც, რასაკვირველია, არსებობს, მაგრამ აბაშიძე ვერ მიიღებს გადაწყვეტილებას, რომ მაგალითად, რუსეთის მოქალაქეები განთავისუფლდნენ პატიმრობიდან. აბაშიძე ვერ მიიღებს გადაწყვეტილებას, რომ სარკინიგზო და საავტომობილო მიმოსვლა აღდგეს. ხოლო რუსეთი თხოულობს, რომ შემხვედრი ნაბიჯები გადაიდგას. საქართველოდან კომპრომისებს თხოულობს. კომპრომისები კი, ვიმეორებ, აბაშიძეზე არ არის დამოკიდებული.

***– ხელისუფლების მხრიდან გარკვევით ითქვა წითელ ხაზებზე, რაზეც ყურადღება ზურაბ***



***აბაშიძემაც გაამახვილა...***

– წითელი ხაზები არსებობს და ეს არის არაღიარება და ოკუპაცია, ჩვენი ქვეყნის სუვერენიტეტი, მაგრამ ეს ჩვენთვის არის წითელი ხაზები, რუსეთსაც აქვს წითელი ხაზები.

***– მაგალითად, რას არ დათმობს რუსეთი?***

– რუსეთი არასდროს უკან არ წაიღებს აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის აღიარებას. იქიდან არ გაიყვანს სამხედრო ჯარებს. მე იმედი მაქვს, რომ ჩვენი სურსათი შეიძლება თავის ბაზარზე ავანსად შეუშვას, მაგრამ როდესაც რუსეთი ჩვენგან შემხვედრი ნაბიჯების მოთხოვნას დაიწყებს, მაშინ დაიწყება დიპლომატიური ვაჭრობა, გნებავთ, კომპრომისების ძიება.

***– რუსეთს თუ აქვს გააზრებული, რომ ჩვენ არ დავთმობთ ქვეყნის სუვერენიტეტს, ტერიტორიებს?***

– დიახ, მაგრამ ჩვენც ვიცით, რომ რუსეთიც არ დათმობს. დიპლომატიის ხელოვნება სწორედ აქ არის საჭირო. ძალიან ბევრი რამ დამოკიდებული იქნება საგარეო საქმეთა სამინისტროზე. ის უნდა ჩაერთოს.

***– ამ ფონზე რას იტყვით ახალ საგარეო საქმეთა მინისტრზე?***

– ვერაფერს ვერ გეტყვით, რადგან მე არ ვიცნობ ქალბატონ ფანჯიკიძეს. ვიცი, რომ ელჩი იყო დიდი ხნის განმავლობაში. გამოცდილება აქვს, მხოლოდ ის ვიცი, რომ ამ საქმის დილეტანტი არ არის.

***– როგორც თავად განაცხადა, 16-წლიანი გამოცდილება აქვს...***

– დიახ, ეს დიდი გამოცდილებაა.

***– როგორ ფიქრობთ, ახალი ხელისუფლებისთვის ყველაზე რთული მიმართულება მაინც რუსეთი დარჩება თუ...***

– არა, ერთნაირი სირთულის არის რუსეთიც და ნატოც. ახლა ნატოს მინისტერიალი იქნება და რეალური ნაბიჯების მოლოდინი უკვე არსებობს. აქამდე ნატოს პოლიტიკა იყო ჩვენ მიმართ, ყველაფერი, გარდა გაწევრიანებისა.

***– თუმცა, ბუქარესტის სამიტის ჩანაწერით საქართველო გახდება ნატოს წევრი, თქვენ არ გჯერათ?***

– კი, მაგრამ როდის გახდება? როდესაც ასეთი ჩანაწერები ქრონიკულ ხასიათს ღებულობს, მაშინ ქვეყნის მოსახლეობას, ბუნებრივია, რომ სხვა გრძნობებიც გაუჩნდეს.

***– ამას თუ გრძნობს ნატო, ნატოს წევრი ქვეყნები?***

– გრძნობს, მაგრამ რუსეთის ფაქტორი ნატოსთვის ძალიან მნიშვნელოვანია. ნატოსთვის არ არის რუსეთის ფაქტორი ხელწამოსაკრავი, რომლის იგნორირებას ის მხოლოდ იმის გამო შეძლებს, რომ საქართველოში სხვა ხელისუფლება მოვიდა.

***– ბატონო სოსო, რას უნდა ველოდოთ რუსეთისა და ნატოს მიმართულებით ახალი რეალობის გათვალისწინებით?***

– ნატოს მიმართულებით ყველაფერი კარგად მიდის და ჩვენ ალბათ წევრი ქვეყანა გავხდებით, მაგრამ როდის, ამას არ გვეტყვიან, ამ მხრივ გარღვევას არ ველოდები. რუსეთის მიმართულებით კი სავაჭრო ურთიერთობების აღდგენას.

***– ეკონომიკური ემბარგოს მოხსნას?***

– სრულ მოხსნას თუ არა შემცირებას, შესუსტებას.

***– მეტს არაფერს უნდა ველოდოთ?***

– ჯერჯერობით მხოლოდ ეს იქნება. გადაჭარბებული მოლოდინი, როგორც საშინაო, ისე საგარეო პოლიტიკაში ძალიან სახიფათოა.

***– წინა ხელისუფლება, უმაღლესი რანგის მოხელეები ასეთ მოლოდინს პირდაპირ ქმნიდნენ საზოგადოებაში...***

– ახლაც შეიქმნება, მაგრამ სახიფათოა. რაც შეეხება ნატოს, ბრიუსელში მშვენივრად ესმით, რომ მათ სტანდარტულ განცხადებებსაც აქვს ლოგიკური რესურსი და დასასრული. თუმცა, ბარამიძის მსგავსად შეიძლება ახალი მინისტრი გამოვიდეს და გვითხრას, რომ მაპზე მეტი მივიღეთო. ბუქარესტის სამიტის შემდეგ ბარამიძემ ხომ გახსოვთ, როგორ გვითხრა, რაც ბუქარესტის სამიტზე მოგვცეს, გაცილებით მეტია, ვიდრე მაპიო.

# ქართული მხარე აფხაზური და სამხრეთ ოსური ე.წ. პასპორტების აღიარებას არ აპირებს

რეინტეგრაციის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრი პაატა ზაქარეიშვილი კატეგორიულად უარყოფს გავრცელებულ ინფორმაციას იმის თაობაზე, რომ ქართული მხარე აფხაზური და სამხრეთ ოსური ე.წ. პასპორტების აღიარებას აპირებს.



როგორც მან გუშინ „რია ნოვოსტის“ თბილისის ოფისში გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა, აღნიშნული განცხადება მას არასდროს გაუკეთებია და ექს-დეპუტატ პაატა დავითაიას მიერ მისთვის წაყენებული ბრალდება არარეალურია.

მისივე თქმით, გამორიცხული არ არის, რომ აფხაზური ე.წ. პასპორტების ცნობა მოხდეს და ამ „დოკუმენტების“ საფუძველზე აფხაზებს საქართველოს დანარჩენ ტერიტორიაზე გადაადგილების საშუალება მიეცეთ.

„აღიარება და ცნობა სხვადასხვა რამაა და მათ შორის დიდი განსხვავებაა“, – განაცხადა მან.

მედიანიუსი

# „ფილმ პრინტის“ მეექვსე ნომერი გამოცემულია

ეკა ირემაშვილი

ეროვნულმა კინოცენტრმა საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროში ჟურნალ „ფილმ პრინტ“-ის მეექვსე ნომრის პრეზენტაცია გამართა. ახალი ნომრის რედაქტორები არიან კინომცოდნე და რეჟისორი ირაკლი ჩხიკვაძე და დამოუკიდებელი ჟურნალისტი ირინე ჟორდანია.

— ეს ჟურნალი ქართულ კინემატოგრაფზე კვარტალში ერთხელ გამოდის და ყოველ ნომერზე მუშაობს რედაქტორთა ახალი ჯგუფი. ჟურნალის მიზანია, ქართული კინოკულტურის პოპულარიზაცია, თანამედროვე კინოპროცესების გაცნობა ფართო აუდიტორიისათვის, კინოსექტორში მოღვაწე ადამიანების ინფორმირება მათი კოლეგების მიღწევებისა და პროფესიული გეგმების შესახებ. გარდა ამისა, ჟურნალი საინტერესო იქნება სხვადასხვა სფეროში მოღვაწე მკითხველისთვისაც, რაც თავის მხრივ გამოიწვევს ზოგადი ინტერესის გაზრდას კინოს მიმართ. ეს ჟურნალი ვრცელდება უფასოდ ლიტერატურულ კაფეებსა და საზოგადოებრივი თავშეყრის სხვა ადგილებში, — ამბობს ეროვნული კინოცენტრის პიარ მენეჯერი ნინია ახვლედიანი.

„ფილმ პრინტის“ ახალ ნომერში აქცენტი გაკეთდა ქართულ თანამედროვე კინემატოგრაფსა და მის პრობლემატიკაზე, კერძოდ — 2012 წლის კინოპროექტებზე „თბილისი მას სითი“



(თბილისი ჩემი ქალაქია), „20 წელი 12 თვე“, „იასამნისფერი ალმანახი“, ასევე ჟურნალში მიმოხილულია ეროვნული კინოცენტრის 2012 წლის კონკურსებში გამარჯვებული მხატვრული ფილმების პროექტები.

— ჟურნალის ახალ ნომერში გაშუქებულია ბათუმის საერთაშორისო კინოფესტივალი, ასევე კანის კინოფესტივალის კრიტიკოსთა კვირეული თბილისში. ჟურნალში წაიკითხავთ გელა კანდელაკის და დიტო ცინცაძის ინტერვიუებს, გაეცნობით საინტერესო რეცენზიებს მოკლემეტრაჟიან ქართულ ფილმებზე და სტატიებს თანამედროვე ტექნოლოგიებზე. სპეცპროექტში კი ნახავთ თანამედროვე ქართველი მხატვრების მიერ შესრულებულ კინოაფიშებს, — ამბობს ნინია ახვლედიანი.

ეროვნული კინოცენტრის ხელმძღვანელის თამარ ტატიშვილის თქმით:

— ახალ ნომერში აქცენტი გაკეთდა თანამედროვე ქართულ კინემატოგრაფსა და მის პრობლემატიკაზე. ჟურნალის ახალ გამოცემაში მიმოხილულია ეროვნული კინოცენტრის 2012 წლის კონკურსებში გამარჯვებული პროექტები და კინოსამყაროში მიმდინარე მნიშვნელოვანი პროცესები. „ფილმ პრინტის“ ახალი ნომრის რედაქტორები ირაკლი ჩხიკვაძე და ირინე ჟორდანია არიან. ეს არის უკვე რიგით მეექვსე ნომერი. ჩემთვის, როგორც რიგითი მკითხველისთვის, სასიამოვნო იყო წამეკითხა, რამდენად დაბალანსებულია ყველაფერი და გამეგო, რამდენი პროექტი ხორციელდება სახელმწიფოს მხარდაჭერით და რამდენი — კერძო ინიციატივით. ამ ნომერშიც, ისევე, როგორც მის წინამორბედებში, საკმაოდ კარგი ინტერვიუებია.

რიგით მეექვსე „ფილმ პრინტის“ ერთ-ერთი რედაქტორის ირაკლი ჩხიკვაძის განცხადებით:

— ამ ჟურნალზე მუშაობა ძალიან საინტერესო იყო. აქცენტი ძირითადად გავაკეთეთ თანამედროვე კინოზე. როგორი გამოვიდა მთლიანობაში ჩვენი ნაშრომი, ამას მკითხველი შეგვიფასებს, თუმცა მგონია, რომ კინოთი დაინტერესებული მკითხველი უფრო დიდი ინტერესით გაეცნობა ჩვენს ჟურნალს.

ეროვნულმა კინოცენტრმა გაახმოვანა, რომ ორი ქართული პროექტი კოტბუსის ფესტივალზეა. ქართულ-ესპანური კოპროდუქცია „ჩაიკა“ სან სებასტიანის ფესტივალის კონკურსის შემდეგ გერმანიაში კოტბუსის კინოფესტივალზე გაემგზავრება, რომელიც 6-დან 11 ნოემბრის ჩათვლით გაიმართება. ფილმი 22-ე ფესტივალის სექციაში „გლობალ ისთ“ მოხვდა. მიგელ ანხელ ხიმენესის ნამუშევარს, რომლის პროდიუსერიც ზურა მაღალაშვილია, მიღებული აქვს ევრიმაჟის დაფინანსება.

ფილმის სიუჟეტი მოგვითხრობს გოგონას ისტორიას, რომელიც თევზსაჭერ გემზე ახალგაზრდა კაცთან ერთად იწყებს ხანგრძლივ მოგზაურობას. მამაკაცი მეზღვაურია, რომელიც სახლში, ყოფილი საბჭოთა კავშირის ცივ სტეპებში ბრუნდება. ფილმში მონაწილეობენ ბაჩი ლეჟავა, გიორგი გაბუნია, სალომე დემურია. ფილმი წარმოებულია შპს „კინოსკოპოკი“ (ესპანეთი), შპს „სინეტექი“ (საქართველო), მოგვიანებით კოპროდუქციას კოპროდიუსერებად რუსეთი („იბრუსი“) და საფრანგეთი („აევიკი“) შეუერთდა.

— კოტბუსის ფესტივალის „კონექტინგ კოტბუს“ აღმოსავლეთ-დასავლეთის კოპროდუქციის ბაზრობაზე სექციაში კოკო პიტჩ, რომელიც 8 და 9 ნოემბერს ჩატარდება, მოხვდა „სინეტეკის“ პროექტი „სხვების სახლი“, რომლის რეჟისორიც რუსუდან გლურჯიძეა, ხოლო პროდიუსერები რუსუდან გლურჯიძე და ზურა მაღალაშვილი არიან, სცენარის ავტორები — დავით ჩუბინიშვილი, რუსუდან გლურჯიძე. პროექტის თემაა უსახლკარო, ომგამოვლილი ადამიანები როგორ იბრძვიან გადარჩენისთვის და იდენტობის აღდგენისთვის. მოქმედება ხდება მიტოვებული სოფლის სახლში. მობინადრეებმა უნდა გადაწყვიტონ, რჩებიან თუ არა სახლში, რომელიც დამარცხებულებმა მიატოვეს, — ამბობს ეროვნული კინოცენტრის ხელმძღვანელი.

ეროვნულმა კინოცენტრმა საზოგადოებრივ მაუწყებელთან ერთად ერთობლივი პროექტის განხორციელების გადაწყვეტილება მიიღო.

— ნოემბრიდან, საზოგადოებრივი მაუწყებლის ეთერში, კვირაში ერთხელ, ბოლო წლებში გადაღებული წარმატებული ქართული ფილმები ინტენსიურად გავა. ფართო მაყურებელს საშუალება ექნება, ნახოს ეროვნული კინოცენტრის მიერ ბოლო 7 წლის მანძილზე მხარდაჭერილი მხატვრული და დოკუმენტური ფილმები. ეროვნული კინოცენტრის და საზოგადოებრივი მაუწყებლის ერთობლივი პროექტის მიზანია, საზოგადოებამ ნახოს და შეაფასოს თანამედროვე ქართული საავტორო კინო, რისი საშუალებაც კინოთეატრებში არც ისე ხშირად არის. ფილმის დაწყებამდე ეთერში გავა 15 წუთიანი ე.წ. ინტრო, რომელშიც წამყვანი მაყურებელს კონკრეტული ფილმის ავტორს გააცნობს რეჟისორს ან პროდიუსერს, შემდეგ კი ის თავად წარუდგენს საკუთარ ნამუშევარს მაყურებელს, — ამბობს თამარ ტატიშვილი.

# კონსერვატორიაში ბეთჰოვენის მესამე სიმფონია შესრულდება

ეკა ირემაშვილი

9 ნოემბერს თბილისის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის სიმფონიური ორკესტრი კონსერვატორიის დიდ დარბაზში კონცერტს გამართავს.

როგორც ოპერის თეატრის წარმომადგენელი ზურაბ ოიკაშვილი აცხადებს, კონცერტის პროგრამა მრავალფეროვანია, სადაც შესრულდება ლუდვიგ ვან ბეთჰოვენის მესამე სიმფონია, ვოლფგანგ ამადეუს მოცარტის 27-ე საფორტეპიანო კონცერტი და ფრედერიკ შოპენის კონცერტი №2 ფორტეპიანოსა და სიმფონიური ორკესტრისთვის. კონცერტს კი წარუძღვება დირიჟორი რევაზ ტაკიძე.

— ამ კონცერტზე სოლისტის ამპლუაში წარდგება ცნობილი ქართველი პიანისტი ანი ტაკიძე, რომელიც თბილისის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ცენტრალური სამუსიკო სკოლის კურსდამთავრებულია. მან განათლება პედაგოგ ლიანა ფირალიშვილის კლასში მიიღო, შემდეგ კი თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორია და ასპირანტურა დაასრულა პროფესორ ნანა ხუბუტიას კლასში. ანი ტაკიძე იყო დაადის სტიპენდიანტი და სწავლობდა მიუნჰენის უმაღლეს სკოლაში ფორტეპიანოს კლასში პროფესორ ფრანც მესინგერის ხელმძღვანელობით, კამერული ანსამბლის კლასში კი ჰელმუტ დოიჩთან. 2005 წელს გახდა მოსკოვის სვიატოსლავ რიხტერის საერთაშორისო კონკურსის ლაურეატი. ანი აქტიურ საკონცერტო მოღვაწეობას ეწევა როგორც სოლისტი და ანსამბლისტი, მონაწილეობს ისეთ ფესტივალებში, როგორებიცაა ოლეგ კაგანის სახელობის ფესტივალი კრეუტში გერმანიაში, გიდონ კრემერის კამერული მუსიკის ფესტივალი ლოკენჰაუზში ავსტრიაში, „შემოდგომის თბილისში“, თანამედროვე მუსიკის ფესტივალში თბილისში. ანიმ ჩაატარა მასტერკლასები კონსერვატორიაში დაადის პროგრამით და ჯაკარტის (ინდონეზია) კონსერვატორიაში. ის თანამშრომლობს ისეთ სიმფონიურ ორკესტრებთან როგორებიცაა ნიურნბერგის, მინჰენის, ტრიერის, მოსკოვის, დუბროვნიკის, თბილისის სიმფონიეტა, ასევე მუშაობს დირიჟორებთან ჰიროიუკი ივაკი, მარკ მასტი, ერი კლასი, იური კოჩნევი, რობერტ კანეტი, ნორმან ვიჯაჯა, ვახტანგ კახიძე, რევაზ ტაკიძე, დავით კინწურაშვილი. ასე რომ, საინტერესო პროგრამა და მუსიკოსთა მაღალი საშემსრულებლო დონე კონცერტის წარმატების საწინდარია. ეწვიეთ კონსერვატორიის დიდ დარბაზს და ისიამოვნეთ, — ამბობს ზურაბ ოიკაშვილი.




ფოთისა და ხობის მიტროპოლიტ გრიგოლის კურთხევით 2009 წლის ივლისიდან მიმდინარეობს ხობის მონასტრის უძველესი ტაძრის სარესტავრაციო-აღდგენითი სამუშაოები

თუ გსურთ, მიიღოთ მონაწილეობა მიმდინარე სამუშაოების განხორციელებაში, დარეკეთ ყველა მობილური ოპერატორიდან და ქალაქის ფიქსირებული ქსელებიდან ნომერზე: 0-901-900-900.

ზარის ღირებულება - 1 ლარი.

იცხოვრეთ მომავალისთვის.

უფალი გფარავდეთ ყველგან და ყოველთვის.




ცფ,ფურჯ ჰტრღბპბნტ,ბ5

ajsbcf lf [j,bc tgfhmbf7 c+y @!% )() $@%
[j,b7 cja8yj]b[tdb
qdsbcvij,kbc [fht,bc ltlfsf vjyfcnthb8
c8c8 3kb,thsb ,fyrbc4 [j,bc abkbfkb
,+r5 LBRTGE22
fyu8 N GE28LB 0122 1802 48686 000



sfy[bc xfcfhbw[fl itub'kbfs ufvjb.tyjs
cohfab uflf[lbc fgfhfnt,b5 b[bkts vtybeib
2 c[dflfc[df 2 cfmdtkvjmvtlj 2
[j,bc vjyfcnthb8

[J,BC QDSBCVIJ,KBC [FHT,BC
LTLFSF VJYFCNHBC OBYFV'QDFHB
BQEVTYBF FYF ~VECTKBFYB`



## უფყნ[ფლტ,ტ,ბ

● ოსტეოქონდროზის, ძლიერ დაქვეითებული სმენის, პროსტატიტის, ხშირი შარდვის, წითელი ქარის და სხვა დაავადებების გარანტირებული განკურნება წამლების და ოპერაციის გარეშე, ასაკის მიუხედავად, არასკეპტიკოსებისთვის. მიღება შეზღუდულია წინასწარი ჩაწერით. გადახდა განკურნების შემდეგ. ტრადიციული სამედიცინო საქმიანობის მართვის ცენტრთან არსებული საზოგადოების წევრი, სერთიფიცირებული და დამსახურებული სახალხო მკურნალი ლევან სეხნიაშვილი. ტელ: 599-978-546; 551-254-535.

● ძვალსახსართა პრობლემის მკურნალობა — ოსტეოპოროზი, ართრიტები, კოქსართროზი, დაზიანებული ხრტილის აღდგენა, ტკივილის სინდრომის მოხსნა, მკურნალობა მცენარეული საშუალებებით, 100%-იანი შედეგით. ტელ: 234-02-38; 558-15-63-33 ექიმი ქ-ნი ნინო.

● ქალბატონებო! დიდუბეში, აგლაძის 67-ში შეგიძლიათ ბამბის გაჩეჩა, საბნების განახლება. მოგემსახურებათ პროფესიონალი მკერავი. შემოგთავაზებთ ქსოვილების ფართო არჩევანს. ტელ: 235-15-96.

● იყიდება ან გირავდება საკუთარი სახლი, ფართით 106 კვ.სმ. გამოდგება საოფისედ, საცხოვრებლად, საწარმოდ მის: ნუცუბიძის ფერდობი 1 მ/რ,სახლი №5. ფასი შეთანხმებით. ტელ. 599-41-52-29; 568-65-10-48; 232-52-29; 231-48-72 ვაჟა.

● წონაში დაკლება 5-15 კგ, გასუქება 2-5 კგ. აგრეთვე ვმკურნალობ კუჭ-ნაწლავის პრობლემებს, გასტრიტს, კოლიტს, შეკრულობას, კუჭის წყლულს, უნებლიე შარდვას, პროსტატიტს, იმპოტენციას უკუჩვენების გარეშე, ამერიკული მცენარეული პროდუქციით, 100%-იანი გარანტიით. ტელ: 274-81-41, 571-33-01-61.

● იყიდება ძროხების ფერმა 16 სული, 12 ნამატით, ძროხებისა და მომვლელის კაპიტალური ბინით, მთელი წელი უზრუნველყოფილი საძოვრით. გლდანის ციხიდან 6 კმ-ში. ტელ: 591-409-131 ვარლამი.

● მხოლოდ მცენარეულ, ბუნებრივ მასლებზე დამზადებული თოდუების საგვარეულო წამლებით ვკურნავ კანის უამრავ დაავადებას: გამონაყარს (ჩირქოვანსაც), ნაოჭებს, ლაქებს, სებორეას, ეგზემას, სოკოს, მათ შორის ფრჩხილის სოკოს, დახეთქილ ქუსლებს, მაზოლებს, მეჭეჭებს, ქერტლს, ჰაიმორიტი იკურნება 10 დღეში, ვაჩერებ თმის ცვენას. ვკურნავ მასტიტს. თოდუების საგვარეულო წამლით გაგეწმინდებათ ორგანიზმი, ალაგდება ყველა ანთებითი პროცესი. შეგიძლიათ მომმართოთ გინეკოლოგიური პრობლემების მქონე ქალბატონებმაც. მის.: ოთარ ჭილაძის ქ.№166, №10 კორპუსის წინ და №1 კორპუსის უკან. 230 62 52; 599 16 10 82 ლამარა თოდუა.

● იყიდება! ნებისმიერი სახეობის და რაოდენობის წიწვოვანი და ფოთლოვან და დეკორატიული მცენარეების ნერგები. ფასი 5-დან 50 ლარამდე. გაგიფორმებთ დეკორატიულ კუთხეებს. ტელ: 236-28-78; 599-15-67-28.

● ფოტოსურათით მოგიხსნით: ალკოჰოლიზმს, აგრესიას, აკვიატებულ აზრებსა და ქმედებებს, აფორიაქებას, ეჭვიანობას, თვითმკვლელობის სურვილს, კოშმარულ სიზმრებს, მოუსვენარ ძილს, უიმედობას, ოჯახურ კონფლიქტებს, დაძაბულობას, დეპრესიას, ჩაკეტილობას. მის: წერეთლის 57, II სად, II სართული. ოფისი 7. მიღება 12-დან 15 სთ-მდე, გარდა შაბათ-კვირისა. ტელ: 599-498-423 ნანა ქიბროწაშვილი. შპს „იადიგარ დაუდის“ დირექტორი, გაგიფორმებთ ხელშეკრულებას.

● ცხადდება მიღება მასაჟისა და კოსმეტოლოგიის კურსებზე, დამთავრების შემდეგ გაიცემა სერთიფიკატი. ხელმძღვანელი ექიმი გულიკო ჩიკვილაძე. ტელ: 2-96-67-03; 595-35-64-13.

● მამაკაცებისათვის: იმპოტენცია, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, უნებლიე შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ტკივილი შარდვისას. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. 100%-იანი შედეგებით. ტელ: 558-96-89-15; 234-02-38 ექიმი, ქ-ნი მეგი.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სწრაფი გათავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნერვული სისტემის მოწესრიგება, ღვიძლის ფუნქციის აღდგენა. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. 100%-იანი შედეგით. ტელ: 558-96-89-15; 234-02-38 ექიმი, ქ-ნი მეგი.

● იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის, შარდვის პრობლემების (გახშირებული, შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ქავილი ენურიზი ბავშვებში და მოზრდილებში) მკურნალობა უნიკალური მცენარეული პრეპარატებით, 100%-იანი შედეგით. ტელ: 599-25-44-14 ან 234-02-38 ექიმი ქ-ნი მზია.

● ალკოჰოლიზმისგან სწრაფი განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნევროზების, შიშების, უძილობის, დეპრესიის მკურნალობა, ორგანიზმის გაწმენდა მცენარეული პროდუქციით, შედეგები 100%-იანია. ტელ: 599-25-44-14; 599-25-44-14 ექიმი ქ-ნი მზია.

● კუჭ-ნაწლავის პრობლემების: გასტრიტი (მწვ. და ქრო.), კოლიტი, ენტერიტი, ყაბზობა, დისბაქტერიოზი. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. ორგანიზმის გაწმენდა, იმუნიტეტის გაძლიერება. 100%-იანი შედეგით. ტელ: 599-96-44-94; 234-02-38 ექიმი ქ-ნი სალომე.

# პორტუ, მალაგა... ვინ იქნება შემდეგი

**ჩემპიონთა ლიგის ჯგუფური ეტაპის მეორე წრის პირველი ტურის პირველმა დღემ მეტნაკლებად სენსაციურად ჩაიარა. უკვე ცნობილი გახდა ის ორი გუნდი, რომელმაც პლეი-ოფში თამაში გაინაღდა, თუმცა ეს ისეთმა გუნდებმა მოახერხეს, რომელთაგანაც ამ ეტაპზე ყველაზე ნაკლებად ვარაუდობდნენ.**



### ა ჯგუფი

**პსჟ – დინამო (ზ) 4:0**

*1:0 ალექსი (16), 2:0 მატუიდი (61), 3:0 მენესი (65), 4:0 ოარო (80)*

**პსჟ:** სირიგუ, ჟალე, ალექსი, სილვა, მაქსველი, სისოკო (ვერატი 46), მატუიდი, რაბიო, ლავესი (პასტორე 68), იბრაჰიმოვიჩი, მენესი (ოარო 76)

**დინამო:** კელავა, ვრსალჟკო, პულიჩი, ვიდა, სიმუნიჩი (კოპი 62), პივარიჩი, ბროზოვიჩი, ადემი, სამირი, კოვაჩიჩი (ჰალილოვიჩი 85), რუკავინა (კალელო 73)

პარიზელებმა მორიგი გამარჯვება მოიპოვეს დიდი ანგარიშით, თუმცა მერვედფინალში თამაში ჯერ მაინც ვერ გაინაღდა. გამარჯვების სულისჩამდგმელი კი ზლატან იბრაჰიმოვიჩი გახდა, რომელმაც 4 საგოლე პასი მიითვალა და 2010 წელს ბენფიკელი კარლოს მარტინსის რეკორდული მაჩვენებელი გაიმეორა.

იბრაჰიმოვიჩმა გოლებით ოთხ სხვადასხვა ფეხბურთელს – ალექსს, მატუიდს, ოაროსა და მენესს გაატანინა.

**დინამო (კ) – პორტუ 0:0**

**დინამო:** კოვალი, ბეტაო, მიხალიკი, ხაჩერიდი, ტაივო, ვუკოიევიჩი (კრანჩარი 87), ველოზუ, იარმოლენკო, მილევსკი (არუნა 58), გუსევი, რუბენი (იდეიე 66)

**პორტუ:** ჰელტონი, დანილო, ოტამენდი, ბა, მანგალა, ლუჩო გონსალესი, დეფური (კასტრო 79), მოუტინიო, როდრიგესი (კლებერი 90), მარტინესი, ვარელა (აცუ 75)

კიევური მატჩი უგოლოდ დასრულდა, ამითი კი პორტუგალიელებმა იხეირეს, რომლებმაც პლეი ოფში თამაში 2 ტურით ადრე გაინაღდეს.

კიეველები კი, სავარაუდოდ, ევროპის ლიგაზე გადაინაცვლებენ.

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.პორტუ | 4 | 3 | 1 | 0 | 6:2 | 10 |
| 2.პსჟ | 4 | 3 | 0 | 1 | 10:2 | 9 |
| 3.დინამო (კ) | 4 | 1 | 1 | 2 | 5:7 | 4 |
| 4.დინამო (ზ) | 4 | 0 | 0 | 4 | 0:10 | 0 |

### ბ ჯგუფი

**შალკე – არსენალი 2:2**

*0:1 უოლკოტი (18), 0:2 ჟირუ (26), 1:2 ჰუნტელაარი (45), 2:2 ფარფანი (67)*

**შალკე:** უნერშტალი, უჩიდა (ჰოგერი 25, პაპადოპულოსი 66), ჰიოვედესი, მატიპი, ფუხსი, ჯონსი, ნოიშტადტერი, ფარფანი, ჰოლტბი (ბარნეტა 90), აფელაი, ჰუნტელაარი

**არსენალი:** მანონე, სანია, კოსილნი, მერტეზაკერი, ვერმაელენი, არტეტა, უილშირი, უოლკოტი, კასორლა (კოკელინი 90), პოდოლსკი (სანტოსი 90), ჟირუ

„შალკემ" ამ გუნდების პირველი მატჩი ლონდონში 2:0 მოიგო და უკვე 26-ე წუთისთვის ამავე ანგარიშით სტუმრად უკვე „არსენალი" იგებდა. თითქოს რევანშიც უნდა შემდგარიყო, მაგრამ უოლკოტისა და ჟირუს გოლებს პირველ ტაიმში ჰუნტელაარმა, შესვენების შემდეგ კი ფარფანმა უპასუხა და მატჩი ფრედ დასრულდა.

**ოლიმპიაკოსი – მონპელიე 3:1**

*1:0 მაჩადო (4), 1:1 ბელანდა (66პ), 2:1 გრეკო (80), 3:1 მიტროღლუ (82)*

**ოლიმპიაკოსი:** კეროლი, ტოროსიდისი, მანოლასი, სიოვასი, ჰოლებასი, მოდესტო (ფუსტერი 74), მანიატისი, აბდუნი, მაჩადო (ფეიშა 87), გრეკო, მიტროღლუ (ლიკოგიანისი 90)

**მონპელიე:** ჟურდრენი, ბოკალი, იანგა-მბივა, ჰილტონი (კონგრი 78), ბედიმო, საიჰი, მარვო, კაბელა (შაბრონიე 46), ბელანდა, მუნიე (ტინანი 62), კამარა

საინტერესო მატჩი შედგა პირეოსში და მასპინძლებმა ბოლოსკემ იმარჯვეს, რითიც შემდეგ ეტაპზე გასვლის შანსი გაიუმჯობესეს. საფრანგეთის ჩემპიონს კი გვარიანი ოფლის ღვრა დასჭირდება, რათა თუნდაც ევროპის ლიგაზე გადაინაცვლოს.

მასპინძლები მატჩის დროს გოლით დაწინაურდნენ, რომელიც 66-ე წუთზე ბელანდამ პენალტით გაქვითა. ბოლო 10 წუთში კი ჯერ გრეკომ, შემდეგ კი მიტროღლუმ „ოლიმპიაკოსს" მნიშვნელოვანი 3 ქულა მოუტანეს.

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.შალკე | 4 | 2 | 2 | 0 | 8:5 | 8 |
| 2.არსენალი | 4 | 2 | 1 | 1 | 7:6 | 7 |
| 3.ოლიმპიაკოსი | 4 | 2 | 0 | 2 | 7:7 | 6 |
| 4.მონპელიე | 4 | 0 | 1 | 3 | 5:9 | 1 |

### ც ჯგუფი

**მილანი – მალაგა 1:1**

*0:1 ელიზეუ (40), 1:1პატო (73)*

**მილანი:** აბიატი, აბატე (დე სილიო 6), ბონერა, მექსე, კონსტანტი, დე იონგი, მონტოლივო, ემანუელსონი (რობინიო 80), ბოიანი, ელ შაარავი (ბოატენგი 62), პატო

**მალაგა:** კაბალიერო, გამესი, დემიკელისი, ველიგტონი, სანჩესი, კამაჩო, იტურა (ტულალანი 74), ხოაკინი (ფერნანდესი 82), ისკო, ელიზეუ, სავიოლა (სანტა კრუსი 68)

ძალიან უჭირს „მილანს" იტალიურ გრანდ მალაგელებმა 4 ქულა აართვეს და თავი პლეი ოფში დაიგულეს. მილანელებს კი, გვარიანი ოფლის ღვრა მოუწევთ, რათა მერვედფინალში გააღწიონ. ამის თქმის საბაბს მათი თამაში გვაძლევს.

ანგარიში ანდალუსიელებმა გახსნეს – მე-40 წუთზე ისკოს პასით მეკარესთან პირისპირ გასულმა ელიზეუმ გაიტანა. ალეგრის გუნდს ქულა პატომ მოუტანა.

**ანდერლეხტი – ზენიტი 1:0**

*1:0 მბოკანი (17)*

**ანდერლეხტი:** პროტო, ჟილე, კუიატე, ნუიტნიკი, საფარი, ბილია, კლიესტანი, ბრუნო (იაკოვენკო 72), პრაეტი (კანუ 79), იოვანოვიჩი, მბოკანი

**ზენიტი:** მალაფეევი, ანიუკოვი, ჰუბოკანი, ლომბაერტსი (ალვეში 69), კრიშიტო, შიროკოვი, დენისოვი, ვიტსელი, ბისტროვი (კანუნიკოვი 77), კერჟაკოვი, სემაკი (დანი 46)

ორივე გუნდი მეორე ადგილიდან „მილანის" ჩაჩოჩებას ცდილობს, მაგრამ თუ ეს არ გამოუვიდათ, მაშინ ერთმანეთს ევროპის საგზურისთვის შეეცილებიან. ამიტომაც იყო ორივე გუნდი ცდილობდა მაქსიმალურად ელოთ ქულები, მაგრამ ეს უკეთ მასპინძლებს გამოუვიდათ, რომლებმაც მბოკანის ერთადერთი გოლით იმარჯვეს.

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.მალაგა | 4 | 3 | 1 | 0 | 8:1 | 10 |
| 2.მილანი | 4 | 1 | 2 | 1 | 4:4 | 5 |
| 3.ანდერლეხტი | 4 | 1 | 1 | 2 | 1:4 | 4 |
| 4.ზენიტი | 4 | 1 | 0 | 3 | 3:7 | 3 |

### დ ჯგუფი

**რეალი – დორტმუნდი 2:2**

*0:1 როისი (28), 1:1 პეპე (34), 1:2 არბელოა (45სკ), 2:2 იოზილი (89)*

**რეალი:** კასილიასი, რამოსი, ვარანი, პეპე, არბელოა (კაკა 77), ალონსო, მოდრიჩი (ესიენი 46), დი მარია, იოზილი, რონალდუ, იგუაინი (კალიეხონი 46)

**დორტმუნდი:** ვაიდენფელერი, პიშჩეკი, სუბოტიჩი, ჰუმელსი, შმელცერი, გიუნდოგანი (პერისიჩი 80), კელი, როისი (ბენდერი 74), გიოტცე (ლაიტნერი 90), გროსკროიტცი, ლევანდოვსკი

ეს მატჩი ცენტრალურად მიიჩნეოდა და მოლოდინიც გაამართლა. მასპინძლები, ცხადია, ფავორიტებად მიიჩნეოდნენ, თუმცა პირველმა ტაიმმა სტუმართა უპირატესობით ჩაიარა და „დორტმუნდი" შესვენებაზე უპირატესობით გავიდა.

გერმანელებმა ანგარიში 28-ე წუთზე გახსნეს, როდესაც ლევანდოვსკიმ მოედნის ცენტრში ბრძოლა მცველებს მოუგო, რამაც „რეალის" ზურგი მოაშიშვლა, ხოლო როისმა ამით ისარგებლა და ძლიერი დარტყმით გაიტანა.

მიუხედავად სტუმართა უპირატესობისა, „რეალმა" მალევე გაათანაბრა. 34-ე წუთზე, იოზილმა ჩააწოდა, პეპემ კი თავი შეაგება.

45-ე წუთზე, მასპინძელთა კარს სახიფათოდ გროსკროიტცმა შეუტია, ხოლო გიოტცესთან მებრძოლმა არბელოამ ბურთი საკუთარ კარში ჩაჭრა.

მე-2 ტაიმის დასაწყისშივე შეცვლაზე შესულმა კალიეხონმა კი გაიტანა, მაგრამ თამაშგარე მდგომარეობის დაფიქსირების გამო, გოლი არ ჩაუთვალეს.

მატჩის ბოლომდე, „რეალმა" რამდენიმე სახიფათო მომენტი შექმნა, თუმცა გამათანაბრებელი გოლი დასრულებამდე წუთით ადრე გაიტანა. იოზილმა საჯარიმო დარტყმა შეასრულა – მართალია, არცთუ ძლიერად, მაგრამ სტუმართა მეკარე შეცდა და მადრიდელებს ქულა აჩუქა.

**სიტი – აიაქსი 2:2**

*0:1 დე იონგი (10), 0:2 დე იონგი (17), 1:2 ტურე (22), 2:2 აგუერო (74)*

**სიტი:** ჰარტი, საბალეტა, კომპანი, ნასტასიჩი, კლიში, გარსია (ბალოტელი 46), ბერი (კოლაროვი 85), ნასრი, ტურე, აგუერო, ტევესი (ჯეკო 66)

**აიაქსი:** ვერმეერი, ვან რიინი, ალდერვაირელდი, მოიზანდერი, ბლინდი, დე იონგი, პოულსენი (ფიშერი 87), შონე (ენოჰი 77), ბოერიგტერი (სანა 90), ერიკსენი, ბაბელი

„სიტისთვის" ჩემპიონთა ლიგა კვლავ პრობლემატურ ტურნირად რჩება. „ქალაქელებმა" ვერც ამჯერად მოიგეს და ჯგუფის აუტსაიდერად შერაცხულ „აიაქსს" საშინაო მატჩი ვერ მოუგო. მეტიც, მე-17 წუთისთვის, სიმ დე იონგის დუბლით, „აიაქსი" უკვე 2:0 იგებდა.

ორივე გოლი სტანდარტულ სიტუაციებს მოჰყვა. მე-10 წუთზე, სტუმრებმა კუთხური მარჯვენა ფლანგიდან მოაწოდეს, ხოლო ამსტერდამელთა ნახევარმცველმა მანჩესტერელი მცველების უყურადღებობით ისარგებლა და ახლო მანძილიდან გაიტანა. შვიდ წუთში, „აიაქსმა" კუთხური უკვე მარცხენა ფლანგიდან მოაწოდა, დე იონგმა თავით ყველას დაასწრო.

ხუთ წუთში, კარისკენ ზურგით მდგომაა იაია ტურემ ბურთი მკერდით მიიღო და ეფექტური დარტყმით ლამაზი გოლი გაიტანა.

74-ე წუთზე საჰაერო ორთაბრძოლა ბალოტელიმ მოიგო, ხოლო იტალიელის პასით დასარტყმელ პოზიციაზე გასულმა აგუერომ ის გოლი გაიტანა, რომელმაც მის გუნდს ევროპის ლიგაზე გასვლის შანსები შეუნარჩუნა – 2:2.

მატჩის შემდეგ მთავარ მსაჯთან პრეტენზიები გამოთქვა „სიტის" მთავარმა მწვრთნელმა რობერტო მანჩინიმ, რომელსაც, შესაძლოა, ერთმატჩიანი დისკვალიფიკაცია მიუსაჯონ.

დაგიკონკრეტებთ, რომ მატჩის დასრულების შემდეგ, მანჩინი მოედანზე მთავარ არბიტრ პეტერ რასმუსენთან სასაუბრად შევიდა და დიდი უკმაყოფილება გამოხატა მსაჯობასთან დაკავშირებით.

იმასაც გეტყვით, რომ თამაშში მინიმუმ ორი საკამათო ეპიზოდი იყო: არჩათვლილი გოლი, რომელიც აგუერომ გაიტანა, და ბალოტელის წინააღმდეგ თამაშის წესის დარღვევისთვის არდანიშნული პენალტი.

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.დორტმუნდი | 4 | 2 | 2 | 0 | 6:4 | 8 |
| 2.რეალი | 4 | 2 | 1 | 1 | 10:7 | 7 |
| 3.აიაქსი | 4 | 1 | 1 | 2 | 6:8 | 4 |
| 4.სიტი | 4 | 0 | 2 | 2 | 6:9 | 2 |

## ტორესს ოქროს ბუცი" ახლა გადასცეს



ფერნანდო ტორესმა ევროპის 2012 წლის საფეხბურთო ჩემპიონატზე დამსახურებული „ოქროს ბუცი" ახლახან მიიღო. ამის შესახებ უეფას ოფიციალური ვებგვერდი იუწყება.

გეხსომებათ, რომ განვლილ ევროპირველობაზე ტორესმა 3 ბურთი გაიტანა, მათ შორის ერთი – ფინალში იტალიასთან. მსგავსი შედეგი უკრაინა-პოლონეთის მინდვრებზე კიდევ ხუთმა ფეხბურთელმა აჩვენა, მაგრამ მხოლოდ ტორესმა და გერმანელმა მარიო გომესმა გოლებთან ერთად თითო საგოლე პასი მიითვალეს. თუმცა, პირველი ადგილი 28 წლის ტორესს ერგო, რომელმაც ევროპის ჩემპიონატზე მოედანზე კონკურენტზე ნაკლები დრო დაჰყო. კერძოდ, ესპანელმა 189 წუთი ითამაშა, ხოლო გერმანელმა – 282.

## ლევან ყენია: საუკეთესო ფორმაში ჯერ კიდევ არ ვარ



საქართველოს ნაკრებისა და ლვოვის „კარპატის" ფეხბურთელი ლევან ყენია ბოლო ორი მატჩია მოედანს უგოლოდ არ ტოვებს. ჯერ იყო და ხარკოვის „მეტალისტს" უკრაინის თასზე გადამწყვეტი ბურთი გაუტანა და თავის გუნდი შემდეგ ეტაპზე გაიყვანა, შემდეგ კი უკრაინის პრემიერლიგაში მისმა გუნდმა 6:0 გაანადგურა „კრივბასი" ამ განადგურებას სათავე სწორედ ყენიამ დაუდო, როდესაც მე-7 წუთზე ანგარიში გახსნა. ჩვენებური შემდეგაც ძალიან აქტიური იყო და ორჯერ თანაგუნდელებსაც გაატანია.

ამის შემდეგ ურაინული ვებგვერდების ვერსიით მე-14 ტურის სიმბოლურ ნაკრებში მოხვდა.

– ლევან ყენიამ ზუსტი დარტყმით სათავე „კრივბასის" განადგურებას დაუდო. გარდა ამისა, ყენია თანაგუნდელებთან კარგი ურთიერთქმედებებით და მაღალი ეფექტურობით გამოირჩა, – წერია ვებგვერდებზე.

თავის მხრივ კომენტარი გააკეთა თავად ფეხბურთელმაც.

– ძალიან მახარებს ის ფაქტი, რომ ვცდილობთ სწრაფი პასებით თამაშს მივეჩვიოთ. მთავარი ის არის, რომ ამას შედეგი მოაქვს. ჩვენი მოწინააღმდეგე რატომღაც მოდუნებული მომეჩვენა. მიზეზი ნამდვილად არ ვიცი. ჩემი მხრიდან უტაქტობაც იქნება მათ შიდა საქმეებში ჩარევა. თანდათან ძველ ფორმას ვუბრუნდები, ამას ვგრძნობ. მართალია იმ ფორმამდე, როგორშიც გერმანიაში ვიყავი ბევრი მაკლია, მაგრამ ყველაფერს ვაკეთებ იმისთვის, რომ მოედანზე ბოლომდე დავიხარჯო. ვგრძნობ, რომ შემიძლია უკეთ ვითამაშო. მნიშვნელობა არ აქვს რა პოზიციაზე ვიქნები, – განაცხადა ყენიამ.

## შედეგები

**ფეხბურთი**

**ამხანაგური მატჩი**

ირანი-ტაჯიკეთი ........................ 6:1

**ევროპის ჩემპიონთა ლიგა**

სიტი-აიაქსი ................................ 2:2
რეალი-დორტმუნდი .................... 2:2
არსენალი-შალკე ........................ 2:2
ოლიმპიაკოსი-მონპელიე ............ 3:1
პსჟ-დინამო(ზ) ............................. 4:0
დინამო(კ)-პორტუ ....................... 0:0
მილანი-მალაგა ........................... 1:1
ანდერლეხტი-ზენიტი ................. 1:0

**ინგლისი. ჩემპიონლიგა**

ბარნლი-ლიდსი ........................... 1:0
ბირმინგემი-ბრისტოლი ............. 2:0
ბრაიტონი-პიტერბრო ................. 1:0
დერბი-ბარნსლი ......................... 2:0
ნოტინგემი-მიდლსბრო .............. 0:0
უოტფორდი-მილუოლი ............... 0:0
ჰადერსფილდი-ბლექბერნი ......... 2:1
ჰალი-ვულვზი ............................ 2:1
ჩარლტონი-კარდიფი ................. 5:4
შეფილდი-ბლექპული ................. 0:2
ბოლტონი-ლესტერი ................... 0:0
კრ.პალასი-იფსვიჩი ................... 5:0

**ჩეხეთი. თასი**

ტრშინეცი-ბოლესლავი .............. 1:1
უსტი-იაბლონეცი ....................... 1:7

**კალათბურთი**

**ნბა. რეგულარული სეზონი**

ოკლაჰომა-ტორონტო ........... 108:88
ჩიკაგო-ორლანდო ................. 99:93
დენვერი-დეტროიტი ............ 109:97

**ევროთასი**

ვიურცბურგი-აზოვმაში ......... 81:77
ვალენსია-ბანვისტორი .......... 88:78

**ჩოგბურთი**

**ატპ. ლონდონის ჰაიდი**

**შემაჯამებელი ტურნირი**

ფედერერი-ტიპსარევიჩი ....... 6:3;6:1
დელ პოტრო-ფერერი ....... 3:6;6:3;4:6

მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა

# თბილისი პრაღის დღეებს უმასპინძლებს

დასაწყისი მე-12 გვერდზე

ასახავს პრაღის ისტორიული ცენტრის 2000-ზე მეტ ობიექტს, რომელთაგანაც ნახევარი დღეს არ არსებობს. ჯერ კიდევ ქალაქის შუასაუკუნეობრივ ურბანიზაციას ასახავს სწორედ პრაღის ლანგვეილოვური მოდელების ფოტოგრაფიები. ასევე წარმოაჩენს ძველ სტარე მესტოს ებრაული გეტოს, მალა სტრანას პეტრშინს ფერდობის გარეშე, პრაღის სასახლეს და ჰრადჩანებს პოჰორჟელცეს, რომელიც ერთ-ერთი რაიონია პრაღაში და ახალი სამყაროს (ასევე რაიონს პრაღაში) ნაწილის გარეშე. გამოფენის ბოლო ნაწილში, თანამედროვე ფოტოების დახმარებით, წარმოგიდგენთ ჩეხეთის დედაქალაქის ისტორიულ ძეგლებს. პრაღის განუმეორებელ ატმოსფეროს ქმნიან საეკლესიო და საერო თვისებების მქონე ძვირფასი ისტორიული ობიექტები, რომელთაგანაც ყველაზე ძველი არის 1000-ზე მეტი ხნის.



რომანული, გოთიკური, ბაროკოს, სეცესის, კუბური და ფუნქციონალური ხანის პრაღა იზიდავს მნახველებს მთელი მსოფლიოდან. მის სილამაზეს, მიმზიდველობას და განუმეორებელ გენიას ვეცნობით ასევე დიდფორმატიან პანორამებში, რომლებიც წარმოადგენენ გამოფენის დომინანტურ ნაწილს. ეს ფოტოები შექმნა ცნობილმა ჩეხმა ფოტოგრაფმა პოლაკმა.

პრაღის დღეები თბილისში რამდენიმე კულტურულ ღონისძიებას აერთიანებს და იგი დაძმობილებული ქალაქების გაცვლითი პროგრამის ფარგლებში ხორციელდება.

– 13 ნოემბერს თბილისის ივანე სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის მცირე დარბაზში ახალგაზრდა ჩეხი პიანისტის ივო კაჰანეკის კონცერტი გაიმართება, რომელზეც დასწრება უფასოა. ახალგაზრდა ჩეხმა პიანისტმა ივო კაჰანეკმა თავის თაობაში სწრაფად მოიპოვა ერთ-ერთი საინტერესო, ყურადსაღები მუსიკოსის სახელი. ცნობილია ფართოდ გამოხატული გამით და განსაკუთრებული ვირტუოზული უნარით, რომელსაც იყენებს თავის რეპერტუარში, ბაროკოდან მოყოლებული, თანამედროვე მუსიკამდე. 2004 წელს გახდა აბსოლუტური გამარჯვებული საერთაშორისო კონკურსისა „პრაღის გაზაფხული“, მანამდე ბევრ ცნობილ კონკურსში, მოიპოვა შეფასება ჩვენთან და საზღვარგარეთ – ბარსელონაში, ავსტრიაში. ბონში ბეთჰოვენფესტის ფესტივალისა და პრაღის გაზაფხულის ფესტივალზე წარმატებული დებიუტების შემდეგ მან მოიპოვა მოწვევა ბიბისის სიმფონიური ორკესტრისაგან ბიბისი რომს ლონდონის „როიალ ალბერთ ჰოლში“ ფესტივალზე გამოსასვლელად, სადაც ხუთი წლის წინ ირჟი ბელოჰლავკას დირიჟორობით ჩაატარა საფორტეპიანო კონცერტი. ამ საღამოს პირდაპირ ეთერში წარმოადგენდა ბიბისის ტელევიზია, რადიო და რადიოსადგური ვლტავა. ეს კრიტიკულად შეფასებული დებიუტი ამჟამად გვთავაზობს პრესტიჟულ გამოცემას „დოიჩე გრამაფონ“, როგორც დიგიტალური დაუნლოადი. გარდა ამისა, ივო კაჰანეკი მუდმივად თანამშრომლობს ჩეხეთის ფილარმონიასთან, ბიბისი სკოტი სიმფონიურ ორკესტრთან, კოლინი ნად რინემის ვი დი ერ ორკესტრთან, დედაქალაქ პრაღის სიმფონიურ ორკესტრთან, – ამბობს მერიის წარმომადგენელი.

კლასიკური მუსიკის კონცერტისა და ფოტოგამოფენის პარალელურად, თბილისში 14 და 15 ნოემბერს პრაღის კამერული ბალეტი წარმოადგენს ორ სპექტაკლს, რომელსაც შოთა რუსთაველის სახელმწიფო აკადემიური თეატრი უმასპინძლებს.

– პრაღის კამერული ბალეტი არის უდიდესი ჩეხური დამოუკიდებელი პროფესიონალური ცეკვის ანსამბლი, რომლის ჩამოყალიბება ითვლის 60 წელს XX საუკუნეში. მის ჩამოყალიბებას სათავეში ედგნენ ლუბოშ ოგოუნი, პაველ შმოკი და ვლადიმირ ვაშუტი, რომლებმაც 1964 წელს ჩამოაყალიბეს სტუდია „ბალეტი პრაღა“. ეს დასი 1975 წლიდან ცნობილია, როგორც პრაღის კამერული ბალეტის სახელწოდებით. „ბალეტ პრაღას“ ჩამოყალიბებაზე საწყისი იდეა ეკუთვნის ქორეოგრაფ პაველ შმოკს. ამ ანსამბლის წარმოშობა ნიშნავდა დიდ გარდატეხას მაშინდელი ჩეხოსლოვაკიის ბალეტის განვითარებაში. მის რეპერტუარში იყო პაველ შმოკის, ამასთან ერთად, სტუმრად მყოფი ჩეხი და საზღვარგარეთელი ქორეოგრაფების ქორეოგრაფია. თითქმის ნახევარი საუკუნის განმავლობაში წარმატებული საქმიანობითა და შემოქმედებით, ანსამბლმა გაიარა მიზანდასახული და წარმატებული განვითარება და გახდა ჩეხეთის რესპუბლიკისა და დედაქალაქ პრაღის ცეკვის ხელოვნების წარჩინებული წარმომადგენელი საზღვარგარეთ – ისრალი, ლივანი, ინდოეთი, ჩინეთი, ავსტრალია, კუბა, ტაივანი, გერმანია, ლუქსემბურგი, ტაილანდი და მოიპოვა რიგი საუკეთესო შეფასებებისა. დასს მიღებული აქვს ჩეხეთის სალიტერატურო ფონდის ჯილდო საუკეთესო ქორეოგრაფიისთვის, ჯილდოები განსაკუთრებული სასცენო შესრულებისათვის, ჩეხეთის რესპუბლიკის საცეკვაო დასის ჯილდოები და სხვა მნიშვნელოვანი აღიარებები, – აცხადებს ნინო სულაძე.

პრაღის კვირეულის დასასრულს თბილისელ მაყურებელს ვოსა თეატრი თავის სანახაობას შესთავაზებს.

– ვოსა თეატრი წარმოიშვა სიტუაციაზე რეაგირების აუცილებლობის გამო, რამეთუ ჩეხეთის რესპუბლიკას აკლია თეატრალური ანსამბლი, რომელიც მიზნობრივად დაკავდებოდა ქუჩის თეატრის ფენომენით, ინტენსიურად იფიქრებდა საზოგადოებრივ გარემოზე, როგორც მაყურებელთა დიდ დარბაზზე და მოინდომებდა აემოძრავებინა პოეზია და ქუჩის თეატრის შესაძლებლობანი იმ ზღვარზე მაღლა, რომელსაც ჩვენ ჩეხეთში, აგრეთვე დანარჩენ ევროპაში მიჩვეულნი ვართ. ქუჩის თეატრის პროექტებზე თხუთმეტი წლის მუშაობის შემდეგ ჩვენ დარწმუნებულნი ვართ, რომ აღმოვაჩინეთ ჩვენი ინდივიდუალურობა და ერთდროულად მაყურებლის განსაკუთრებულად მიმზიდველი გზა წარმოდგენისკენ. ვოსა თეატრის პროექტზე მუშაობისას დიდი გარდატეხა იყო 2010 წელი, როცა ჩვენი საზრუნავი გახდა პარათეატრალური მოღვაწეობა შანხაის მსოფლიო გამოფენის ექსპო 2010-ის ფარგლებში, დავიწყეთ ინტენსიური მუშაობა მაღალი ოცნების დადგმაზე – ინსცენირებაზე, რომელმაც შანხაის შემდგომ მოიპოვა უდიდესი წარმატებები სამოცი განმეორებითი წარმოდგენისას. ვოსა თეატრი აერთიანებს ქუჩის თეატრის და ახალი ცირკის პოეზიას. ორიგინალური მოძრავი მექანიზმები, ჟონგლიორობა, ფაიერშოუ არის საშუალება და არა მიზანი, – ნათქვამია ვოსა თეატრის წარმომადგენელთა განცხადებაში.

როგორც **ნინო სულაძე** აცხადებს:

– ეს არ არის ყოველწლიური ღონისძიება, რომელიც პრაღას ეძღვნება. უფრო სწორად, შეიძლება იყოს ყოველწლიური ღონისძიება, მაგრამ სხვადასხვა ქალაქების კულტურა იქნება წარმოდგენილი. ჩვენ ყველა დაძმობილებულ და დამეგობრებულ ქალაქთან აქტიურად ვთანამშრომლობთ. საერთოდ დაძმობილების პრინციპი ძირითადად, როგორც წესი, აგებულია ჯერ კულტურულ ურთიერთობებზე და მერე უკვე ეკონომიკურ და სხვა მნიშვნელოვან საკითხებზე.

***– ხშირად ატარებთ მსგავს ღონისძიებებს?***

– რა თქმა უნდა. ხშირად არის გაცვლითი პროგრამები, რომ თბილისი წარმოადგენს ხოლმე სხვა ქალაქებში თავის კულტურას და მერე ანალოგიურად ის ქალაქი ჩამოდის ჩვენთან. გასულ წელს გვქონდა თბილისის დღეები კრაკოვში და შემდეგ უკვე თბილისში ჩატარდა კრაკოვის დღეები.

***– რა პრინციპით აწყობთ ამ ღონისძიებებს?***

– არსებობს ჩარჩო-ხელშეკრულებები, რომლებშიც კულტურული ურთიერთობების ასეთი ფორმატი – გაცვლითი ღონისძიებებია ჩადებული და მასში ორივე ქალაქის მერიები მონაწილეობენ. როცა ერთი ქალაქი ჩამოდის, მერე უკვე სავიზიტო პასუხი არის ხოლმე და მეორე ქალაქი სტუმრობს დაძმობილებულ ქალაქს.

***– თბილისი იყო უკვე პრაღაში?***

– არა, თბილისი ჯერ არ ყოფილა პრაღაში, ჯერ ჩვენ ვართ პრაღის მასპინძლები.

***– თბილისი როდის ჩავა პრაღაში?***

– თუ ყველაფერი კარგად იქნება, მომავალ წელს ჩავალთ პრაღაში. როგორც წესი, ეს ყველაფერი ერთი წლის ინტერვალით ხდება ხოლმე.

***– ამ პროექტის ფარგლებში კიდევ ვინ გვსტუმრობდა?***

– ჩვენ ბევრი დაძმობილებული ქალაქი გვყავს. მათ შორის არის ზაარბრუკენი, ნანტი, ლუბლიანა, ინსბრუკი, ატლანტა, პალერმო, ბრისტოლი, ბილბაო, კიევი, ასტანა, ვილნიუსი და ამ ქალაქების რიცხვი სულ უფრო იზრდება. სამომავლოდ დაძმობილებული ქალაქების მოწვევა იმაზეა დამოკიდებული, რომელი ქალაქის დელეგაცია ჩამოვა თბილისში, რადგან მერე ამას მოყვება ხოლმე წინადადება, რომ მოხდეს გაცვლითი კულტურული ღონისძიებების ჩატარება. წინასწარ დაგეგმილი არ გვაქვს, რომელი ქალაქი ჩამოვა. რადგან პრაღა ჩამოდის, სავარაუდოდ ალბათ თბილისიც ჩავა პრაღაში საპასუხო კულტურული პროგრამით.

***– როგორ არჩევთ, ვინ წარადგენს ქართულ კულტურას დაძმობილებულ ქალაქებში?***

– როგორც წესი, დაძმობილებულ ქალაქს ვთავაზობთ რამდენიმე ტიპის ღონისძიებას, ზოგადად ჩარჩო ირჩევა, რომელშიც გაერთიანებულია ფოლკლორი, საბალეტო ხელოვნება, კლასიკური მუსიკა, საოპერო მუსიკა, რომ მაქსიმალურად მრავალფეროვანი პროგრამა წარვადგინოთ, რა თქმა უნდა, ამ ჩამონათვალიდან ყველაფრის განხორციელება შეუძლებელია, მაგრამ არანაკლებ მნიშვნელოვანია, მათთვის უფრო რა არის პრიორიტეტული. პრაღას ჰქონდა წინადადება, რომ ჯაზმენები ჩამოეყვანათ, მაგრამ ვინაიდან ამ პერიოდში თბილისის ჯაზფესტივალი ტარდება, შევთავაზეთ, რომ სჯობს დავტოვოთ ამ ჩამონათვალში საბალეტო წარმოდგენა და დაგვიჯერეს. როგორც წესი, ასეთი ტიპის მოლაპარაკებები დგება ხოლმე. მნიშვნელოვანი ის არის, რომ ყველა ღონისძიება უფასოა, ყველასთვის ხელმისაწვდომი და თავისუფალი. რამდენადაც ვიცი, არაჩვეულებრივი საბალეტო სპექტაკლი ჩამოაქვთ, რომელსაც ორი დღის განმავლობაში რუსთაველის თეატრში იცეკვებენ.

# მალხაზ კუხაშვილი ნამუშევრებს ისტორიის მუზეუმში გამოფენს

ეკა ირემაშვილი

8 ნოემბერს საქართველოს ეროვნული მუზეუმი თბილისის ისტორიის მუზეუმში ცნობილი ქართველი მხატვრის მალხაზ კუხაშვილის საიუბილეო გამოფენას წარმოადგენს.

როგორც ეროვნული მუზეუმის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის წარმომადგენელი ანა ვერულაშვილი აცხადებს, გამოფენაზე წარმოდგენილი იქნება საქართველოს დამსახურებული მხატვრის, გრაფიკოსის, სატელევიზიო მხატვრის, წიგნის გრაფიკოსისა და პედაგოგის მალხაზ კუხაშვილის ნამუშევრები, რომლებიც შექმნილია სხვადასხვა პერიოდში.

– მალხაზ კუხაშვილი საქართველოს სახელმწიფო ტელევიზიაში 32 წელი მოღვაწეობდა და გაიარა შემოქმედებითი გზა მხატვარ-გრაფიკოსიდან მთავარ მხატვრამდე. იგი მუშაობდა სატელევიზიო ფილმების დამდგმელ მხატვრად, ხოლო 1972 წლიდან ის პედაგოგია ჯერ სამხატვრო აკადემიაში, შემდეგ კინოსახელოსნოში, პარალელურად სახელმწიფო უნივერსიტეტში და თეატრისა და კინოს უნივერსიტეტში, სადაც ამჟამად კინოსა და თეატრის მხატვრობას ასწავლის. მან იმუშავა 50-ზე მეტ სატელევიზიო თუ მხატვრულ ფილმზე, რომლებიც მაყურებელს კარგად ახსოვს. მათ შორისაა „შნო“, „არასერიოზული კაცი“, „ლეონარდო“, „გზა“, სატელევიზიო სერიალებზე „ყავა და ლუდი“ და „ყოჩაღები“. ამჟამად მუშაობს მხატვრულ-დოკუმენტურ პროექტზე, „გააგრძელე საქართველოს ისტორია“. მისი ნამუშევრების პერსონალური გამოფენები მოეწყო თბილისში, მოსკოვში, ტალინსა და ლოს ანჟელესში, – ამბობს ანა ვერულაშვილი.

თბილისის ისტორიის მუზეუმში მალხაზ კუხაშვილის ნამუშევრების გამოფენა 20 ნოემბრამდე გაგრძელდება.

საერთაშორისო

# დიდი ბრიტანეთი სირიის ამბოხებულებთან მოლაპარაკებებს დაიწყებს

დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრმა დევიდ კემერონმა განაცხადა, რომ მისი მთავრობა სირიის ამბოხებულებთან მოლაპარაკებებს გამართავდა. მოლაპარაკებების მთავარი მიზანი სირიის ოპოზიციის ასადის რეჟიმის წინააღმდეგ გაერთიანებაა. ეს განცხადება კემერონმა იორდანიაში ვიზიტისას გააკეთა.

კემერნომა ასევე განაცხადა, რომ მოლაპარაკებები არ ეხება ამბოხებულებისთვის იარაღის მიწოდებას ან რაიმე სამხედრო დამხარების გაწევას. მან დაამატა, რომ ბრიტანეთის მთავრობა სირიის ოპოზიციასთან მოლაპარაკებებში მწვავედ დააყენებს ადამიანის უფლებების საკითხს და ასევე ჰუმანიტარული დახმარებებისთვის კორიდორების შექმნის პრობლემების საკითხზეც იმსჯელებენ.

თავის მხრივ, რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრი სერგეი ლავროვი შეეცადა ახლოაღმოსავლეთის რეგიონში მოგზაურობისას, სირიაში სიტუაციის დასარეგულირებლად ისლამური ფაქტორი აემოქმედებინა. იგი უკვე შეხვდა ეგვიპტისა და იორდანიის სახელმწიფო წარმომადგენლებს. რამდენიმე დღეში რუსეთის პირველი დიპლომატი საუდიის არაბეთსაც ეწვევა.

„30 ივნისს ჟენევაში შეხვედრის ყველა მონაწილე შევთანხმდით, რომ ყველა ღონეს ვიხმარდით, რათა მეორე მხარე დაგვერწმუნებინა. ბრძოლა შეეწყვიტა. რუსეთი ამას აკეთებს. ზოგიერთი ქვეყნები ისევ განაგრძობენ სირიის ოპოზციიის მხარდაჭერას და მოუწოდებენ მას ბოლომდე ბრძოლას. ბუნებრივია, ძალთა ასეთი განლაგებისას, სისხლისღვრა ვერ შეწყდება“,-განაცხადა ლავროვმა ეგვიპტეში გამოსვლისას.

ლავროვის განცხადებით, მაშინ როცა დასავლეთი ბაშარ ასადის რეჟიმის დამხობას უწყობს ხელს, იმედად მხოლოდ ახლო აღმოსავლეთის ქვეყნები რჩება.

ამ ფონზე, სირიის ეროვნულმა საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება შემადგენლობაში 13 ახალი ოპოზიციუ-



რი დაჯგუფება მიიღოს. ელოდებიან, რომ დოჰაში მიმდინარე ფორუმზე „სირიის უმაღლესი ორგანოს“ ჩამოყალიბება მოხდება. ორგანოს კი სირიელი ხალხის „კანონიერ წარმომადგენლად“ გამოაცხადებენ.

დოჰაში შეკრებილი სირიელი ოპოზიციონერების ნაწილი აცხადებს, რომ მთავრობის შექმნა ქვეყნის საზღვრებს გარეთ არ უნდა მოხდეს. „გარდამავალი ხელისუფლება არ შეიძლება დევნილობაში ჩამოყალიბდეს. მან ქვეყანაში უნდა იმოქმედოს, რათა იცოდეს რა სჭირდება ხალხს. მისი ფორმირება ქვეყნის ტერიტორიაზე უნდა მოხდეს და დაცული უნდა იქნეს სირიის ხელისუფლების ძალების თავდასხმისგან“, – აცხადებს ოპოზციიის ერთ-ერთი ლიდერი აბდულბასეტ სეიდი.

„სირიის მეგობარი“ ქვეყნები მზად არის ახლადშექმნილი ორგანო ბაშარ ასადის რეჟიმის ალტერნატივად სცნოს.

**მოამზადა გერა მამულაშვილმა**



## h3xცeჯ3ლბ ,

**შვეულად:** 1. სინათლის ნაწილაკი, კვანტი; 2. ესპანური წესით დამზადებული ღორის ლორი; 3. კინოცენტრი ინდოეთში; 4. ტვირთის შესანახი სათავსო გემზე; 6. თანამედროვე მრავალადგილიანი სამგზავრო თვითმფრინავი; 8. სქელი ტყავისებრი ფოთლების მქონე ოთახის დეკორატიული მცენარე; 11. სომალის დედაქალაქი; 12. თოკზე მოსიარულე ჯამბაზი; 16. აღმოსავლური ტკბილეული; 17. შიკრიკი, ამბის მომტანი; 18. ტყის დიდი გარეული ხარი.

**თარაზულად:** 1. უძველესი ქართული ცეკვა, რომელიც ახალი წლის პირველ დღეს სრულდებოდა; 5. შოკოლადის ხე; 7. ცხენოსნობის ერთ-ერთი სახეობა; 9. ფრინველთა კვერცხების შემსწავლელი დისციპლინა; 10. მსუბუქი, აივნიანი ხის სახლი ინდოეთში; 13. საზაფხულო ფეხსაცმელი; 14. გეომეტრიული ფიგურა; 15. წმინდა ქალაქი ირანში; 19. საღამოს სადილი; 20. გასუფთავებული ნატეხი შაქარი; 21. „ფორმულა-1“-ში მონაწილე ავტომრბოლელთა გუნდი; 22. ბადმინტონის სათამაშო ბურთი.

**შეადგინა თ.გოგინაშვილმა**

## ობყფ ყჯვცჰიბ ეფვჯმeც.ყც,ეაბ h3xცeჯ3ლც,ბც გფცეცც,ბ5

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. „მაკბეტი“; 2. სიმინდი; 3. ჰინდიკუში; 4. სირაჯი; 5. ორლანი; 9. ვარნა; 10. სტაპელი; 14. ციკლოტრონი; 15. ჯარაექიმი; 16. ენგური; 19. ბოჭორმა; 20. შაპიტო; 21. ატლასი.

**თარაზულად:** 6. პარფიუმერია; 7. კოლიბრი; 8. „იბერია“; 11. მარჯანი; 12. ოდეტა; 13. გურმანი; 17. გარიბალდი; 18. კანდელაკი; 22. თაფლუჭი; 23. რეტორტა; 24. ომნიბუსი; 25. პიკადორი.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. ფიესტა; 2. ბეკინა; 3. სახარება; 4. არმაზი; 6. ტოპონიმი; 8. არტეკი; 11. ხამანწკა; 12. ვოლიერი; 16. ფრაზა; 17. ხომლი; 18. პეპსი.

**თარაზულად:** 1. ფლებიტი; 5. სკოტი; 7. ლახვარი; 9. სტაიერი; 10. ბაჯაღლო; 13. კამბალა; 14. ზარზმა; 15. „კოდა“; 19. ქირურგი; 20. ხოზაფინი; 21. წალენჯიხა; 22. ნამუსი.

# ბარაკ ობამა მეორე ვადით აშშ-ის პრეზიდენტი გახდა

აშშ-ის პრეზიდენტი ბარაკ ობამა მომავალი ოთხი წლის განმავლობაში კვლავ აშშ-ის პრეზიდენტი იქნება. საპრეზიდენტო არჩევნების ამ დროისათვის არსებული შედეგების მიხედვით, ობამამ ამომრჩეველთა კოლეგიის 538-წევრიდან 303-ის მხარდაჭერა მიიღო, მიტ რომნიმ კი – 203.

აშშ-ში არჩევნები ორსაფეხურიანია. ყოველი შტატის ამომჩეველი ირჩევს ამომჩეველთა კოლეგიის წევრებს. ყოველი შტატიდან კოლეგიის წევრების რაოდენობა დამოკიდებულია მოსახლეობის რაოდენობაზე. 270 კოლეგიის წევრის მხარდაჭერილი კანდიდატი ხდება ქვეყნის პრეზიდენტი.

ობამამ გამარჯვება მოიპოვა საკვანძო შტატებში: ოჰაიოში, კალიფორნიაში, ვისკონსინში, ვაშინგტონში, ნიუ-ჰემპშირში, ჰავაიში.

ბარაკ ობამამ ტვიტერსა და ფეისბუკზე უკვე გადაიხადა მადლობა საკუთარ ამომრჩევლებს.

„ეს არის თქვენი დამსახურება. მადლობა თქვენ. კიდევ ოთხი წელი", – წერს ბარაკ ობამა.

ობამას სასარგებლოდ, მიშვნელოვანი ფაქტორი გახდა პარასკევს გამოქვეყნებული სტატისტიკა დასაქმებულთა რაოდენობის ზრდის შესახებ, პრეზიდენტის რეაგირება ქარიშხალ „სენდის" შედეგების აღმოფხვრასა და ასევე ნიუ-იორკის მერის მაიკლ ბლუმბერგის ღიად გამოხატული მხარდაჭერა. რაც შეეხება კონგრესის არჩევნებს, რომელიც საპრეზიდენტო არჩევნების პარალელურად მიმდინარეობდა, იქ რესპუბლიკელებმა და დემოკრატებმა არსებულ პოზიციაზე დარჩენა შეძლეს. წინასწარი მონაცემებით, რესპუბლიკური პარტია წარმომადგენლობით პალატაში უმრავლესობით რჩება, სენატში კი კვლავინდებურად დემოკრატები დომინირებენ.

ჩიკაგოში გამარჯვების აღსანიშნავად აშშ-ის აწ უკვე 45-ე პრეზიდენტმა ბარაქ ობამამ საზეიმო სიტყვა წარმოთქვა, რომელშიც მოსახლეობას არსებული მძიმე მდგომარეობიდან თავის დაღწევას დაპირდა. მისი თქმით, ქვეყნის წინსვლისათვის საჭიროა კომპრომისები და შეთანხმებული მუშაობა, რის გამოც მან მზადყოფნა გამოთქვა უშუალოდ ეთანამშრომლა როგორც დემოკრატებთან, ასევე რესპუბლიკელებთან.

„ამ ღამით თქვენ ხმა მიეცით ქმედებებს, და არა უბრალოდ პოლიტიკას, როგორც ეს ჩვეულებრივ ხდება. თქვენ იმისთვის აგვირჩიეთ, რომ ჩვენს სამსახურზე კი არა, თქვენს სამსახურზე ვიზრუნოთ. მომავალ კვირეებსა და თვეებში ვაპირებ მჭიდროდ ვითანამშრომლო ორივე პარტიის წარმომადგენლებთან, რათა ერთად დავძლიოთ ჩვენს წინაშე მდგარი გამოწვევები. დეფიციტის შემცირება, საგადასახადო კოდექსის რეფორმირება, საემიგრაციო სისტემის



გაუმჯობესება, საზღვარგარეთულ ნავთობზე დამოკიდებულებიდან თავის დაღწევა... საქმე ბევრი გვაქვს", – განაცხადა ობამამ მის მშობლიურ ქალაქ ჩიკაგოში გამართულ კონფერენციაზე, სადაც მან არჩევნებში გამარჯვება საკუთარ ამომრჩეველთან ერთად იზეიმა.

საინტერესოა, რომ ობამას პოსტზე დარჩენით მეტად კმაყოფილნი დარჩნენ ისეთი სახელმწიფოების მეთაურები, რომელნიც ამერიკის შეერთებული შტატების რადიკალურ სტრატეგიულ მოწინააღმდეგეებად ითვლებიან. მაგალითად, ვენესუელას პრეზიდენტი უგო ჩავესი დიდი ხანია არ მალავს, რომ ის, მით რომნისგან განსხვავებით, ობამას მიმართ სიმპატიით არის განწყობილი. ჩავესმა ობამას „კარგი ბიჭი" უწოდა და აღნიშნა, რომ ობამას პრეზიდენტობას მიესალმება, მიუხედავად იმისა, რომ ის ამერიკის შეერთებული შტატების „აგრესიულ-იმპერიალისტურ პოლიტიკას აგრძელებს".

პრეზიდენტობის რესპუბლიკელმა კანდიდატმა მიტ რომნიმ საპრეზიდენტო არჩევნებში დამარცხება აღიარა და ბარაკ ობამას გამარჯვება მიულოცა.

„ამერიკის წინაშე ძალიან ბევრი სერიოზული ამოცანა დგას და პრეზიდენტს ქვეყნის მმართვაში წარმატებებს ვუსურვებ", – განაცხადა რომნის პრეზიდენტთან სატელეფონო საუბრის შემდეგ.

ვლადიმერ პუტინის პრესმდივნის დიმიტრი პესკოვის განცხადებით, „კრემლმა საკმაოდ პოზიტიურად მიიღო საპრეზიდენტო არჩევნებში ბარაკ ობამას გამარჯვება".

ვლადიმერ პუტინმა მილოცვა ამერიკის ხელმეორედ არჩეულ პრეზიდენტს უკვე გაუგზავნა.

„ჩვენ იმედს გამოვთქვამთ, რომ ამერიკისა და რუსეთის ორმხრივი ურთიერთობების პოზიტიური დაწყება საერთაშორისო უსაფრთხოებისა და სტაბულურობის საქმეში მსოფლიო არენაზე, კიდევ უფრო გაღრმავდება და სრულყოფილებას მიაღწევს",-ნათქვამია პუტინის მილოცვაში.

პესკოვის განცხადებით, პუტინმა ობამა „გასაგებ და პროგნიზირებად" პოლიტიკოსად დაასახელა და იმედი გამოთქვა, რომ რუსეთს და ამერიკას შორის „ნორმალური ურთიერთობები" გაგრძელდება. რუსეთის პრეზიდენტი ობამას ტელეფონის საშუალებით გამარჯვებას, უახლოეს დღეებში მიულოცავს.

ისრაელის პრემიერ-მინისტრმა ბენიამინ ნეთანიაჰუმ აშშ-ის პრეზიდენტ ბარაკ ობამას არჩევნებში გამარჯვება მიულოცა, – იუწყება „ბიბისი". წყაროს ცნობით, მან ობამას „თანაალიანსელი" უწოდა.

„ისრაელსა და აშშ-ს შორის სტარტეგიული ალიანსი ძლიერია, როგორც არასდროს. მე გავაგრძელებ ობამასთან მუშაობას იმ ინტერესების უზრუნველსაყოფად, რომელსაც ისრაელის მოქალაქეებისათვის სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს", – აღნიშნა ბენიამინ ნეთანიაჰუმ მისალოც მიმართვაში.

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის დიპლომატიური უწყების ცნობით, ბარაკ ობამას ხელმეორედ გაპრეზიდენტება ჩინეთის ამჟამინდელმა ლიდერმა ჰუ ძინტაომაც მიულოცა.

„ჩინეთის ხელმძღვანელმა ჰუ ძინტაომ და ქვეყნის პრემიერმინისტმა ვენ ძიაბაომ ამერიკის პრეზიდენტს ხელახლად არჩევასთან დაკავშირებით მისალოცი ტელეგრამები გაუგზავნეს",-განუცხადა ჟურნალისტებს ქვეყნის საგარეო საქმეთა სამინისტროს ოფიციალურმა წარმომადგენელმა ლუნ ლეიმ.

„ბი-ბი-სი" ვრცელ სტატიას უძღვნის თუ როგორ აისახება ობამას მეორე ვადით არჩევა მსოფლიოზე:

ახლო აღმოსავლეთი-სირიის არსებული კონფლიქტი მეზობელ ქვეყნებზეც ვრცელდება; მეორე ვადით არჩეულმა ობამამ, შესაძლოა, სირიელი ამბოხებულების უფრო მეტად დახმარებას დაუჭიროს მხარი.

აუცილებლად გადასაჭრელ საკითხებს შორის, ირანის ბირთვული პროგრამა შედის. თუ, მომავალი ზაფხულისათვის ამერიკა და მისი მოკავშირეები კიდევ იფიქრებენ, რომ ეს ქვეყანა ბირთვული პროგრამის შექმნაზე მუშაობს, ობამას მოუწევს გადაწყვეტა დაარტყან თუ არა ირანის ბირთვულ ობიექტებს, ან ისრაელს ომის დასაწყებად მწვანე შუქი აუნთოს.

ევროპა-გამოკითხვები ყოველთვის აჩვენებდა, რომ ევროპა ობამას უფრო უჭერდა მხარს, ვიდრე მასაჩუსეტსის ყოფილ გუბენატორს მით რომნის. როგორც ვარაუდობენ, ობამას ხელახლა გამარჯვებით ურთიერთობებში რაიმე მნიშვნელოვანი ცვლილება არ მოხდება.

ჩინეთი-ორ დღეში ჩინეთი ახალი ლიდერის დანიშვნას გეგმავს. როგორც ვაშინგტონში ზოგიერთი ოფიციალური პირი აღნიშნავს, მომავალ პერდიოდში ამერიკა ჩინეთის ზრდის შეჩერებას შეეცდება.

ავღანეთი-ამ დროისათვის მთავარ საკითხს წარმოადგენს რამდენად სწრაფად დაბუნდებიან ამ ქვეყანაში დარჩენილი ამერიკელი სამხედროები სამშობლოში და რამდენი ჯარისკაცი დარჩება ავღანეთში 2014 წლის შემდეგ.

რუსეთი-რუსეთმა ბარაკ ობამას გაპრეზიდენტების შესახებ ცნობა „ფრთხილი ოპტიმიზმით" მიიღო. მოსკოვში ფიქრობენ, რომ ობამას კარგად იცნობენ-ამ ადამიანთან უკვე ოთხი წელი იმუშავეს და პირველ რიგში სწორედ ამ ადამიანის პრეზიდენტობას უკავშირება ორი ქვეყნის ურთიერთობებში ე.წ „გადატვირთვის" პოლიტიკა.

როგორც ცნობილია, ვაშინგტონი სერიოზული შეშფოთებით უყურებს რუსეთში ადამიანის უფლებების ირგვლივ არსებულ მდგომარეობას. თავის მხრივ, რუსეთის დიდ შეშფოთებას ევროპაში რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვითი სისტემების განლაგება იწვევს. ასევე, რადიკალურად განსხვავდება ამ ორი ქვეყნის მიდგომა სირიის კონფლიქტთან დაკავშირებითაც.

ბარაკ ჰუსეინ ობამა დაიბადა 1961 წლის 4 აგვისტოს – აშშ-ის პრეზიდენტად აირჩიეს 2008 წელს. უფლებამოსილების განხორციელებას შეუდგა 2009 წლის 20 იანვრიდან.

ყოფილი უმცროსი სენატორი ილინოისიდან და 2008 წლის საპრეზიდენტო არჩევნებში წამყვანი კანდიდატი დემოკრატთა ნომინაციით.

პირველი აფროამერიკელი პრეზიდენტი აშშ-ის ისტორიაში; ასევე აშშ-ის სენატის ისტორიის განყოფილების თანახმად ის მეხუთე აფრიკელი-ამერიკელი სენატორია აშშ-ის ისტორიაში, მესამე, რომელიც სახალხოდ აირჩა, და ერთადერთი აფრიკელი-ამერიკელი, რომელიც 2008 წლისთვის მსახურობდა სენატში.

ობამა ჰონოლულუში დაიბადა კენიელი მამისა და ამერიკელი დედის ოჯახში. ადრეული ცხოვრების დიდი ნაწილი აშშ-ის შტატ ჰავაიზე გაატარა. ექვსიდან ათ წლამდე ჯაკარტაში, ინდონეზია, ცხოვრობდა დედასთან და ინდონეზიელ მამინაცვალთან ერთად. კოლუმბიის უნივერსიტეტისა და ჰარვარდის იურიდიული სკოლის კურსდამთავრებული ობამა მუშაობდა საზოგადოებრივ ორგანიზატორად, უნივერსიტეტის ლექტორად და სამოქალაქო უფლებების ადვოკატად, სანამ ილინოისის სენატში არჩევნებში მიიღებდა მონაწილეობას, სადაც 1997-2004 წლებში მსახურობდა. 2000 წელს წარმომადგენელთა პალატაში ადგილის მოსაპოვებლად წარუმატებელი კამპანიის შემდეგ, ის 2003 წელს აშშ-ის სენატის ადგილისთვის კამპანიას იწყებს.

მომდევნო წელს, ჯერ კიდევ ილინოისის შტატის კანონმდებელი, ობამა სიტყვით გამოდის ივლისის დემოკრატიულ ეროვნულ კონვენციაზე. 2004 წლის ნოემბერში ხმების 70%-ით არჩეულ იქნა აშშ-ის სენატში.

1992 წელს დაოჯახდა და ორი ქალიშვილი ჰყავს. დაწერილი აქვს ორი წიგნი-ბესტსელერი: მისი ახალგაზრდობის მემუარი „ოცნებები მამაჩემისგან" და „იმედის გამბედაობა", პირადი კომენტარი აშშ-ის პოლიტიკაზე.

## ცფვუქჱდბფჳჲ უფყნ[ფლტ,ტ,ბ

შპს კანისა და ვენსნეულებათა სამეცნიერო-კვლევითი ეროვნული ცენტრი ღრმა მწუხარებით ვიუწყებით, რომ გარდაიცვალა ინსტიტუტის ყოფილი თანამშრომელი, ღვაწლმოსილი, დიდებული ქალბატონი

**ნათელა ვალერიანეს ასული ჩაჩანიძე**

დაკრძალვა: ხუთშაბათს, 8 ნოემბერს.
მისამართი: საჩხერის რაიონის სოფელი ჯალაუთა.

შპს კანისა და ვენსნეულებათა სამეცნიერო-კვლევითი ეროვნული ცენტრის თანამშრომლები თანავუგრძნობთ ჰიდროკოლონოთერაპიის კაბინეტის ხელმძღვანელს ნინო გულუას მეუღლის

**ზაზა ალექსის ძე არქანიას**

გარდაცვალების გამო.
დაკრძალვა: შაბათს, 10 ნოემბერს, 15 საათზე.
მისამართი: ქალაქი ზუგდიდი, მედეას ქუჩა №11.



გარდაიცვალა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ქიმიური და ბიოლოგიური ტექნოლოგიების დეპარტამენტის პროფესორი

**ცისანა გოგუაძე**

ც.გოგუაძე საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის ქიმიური ტექნოლოგიის ფაკულტეტის წარჩინებით დამთავრების შემდეგ სამუშაოდ დატოვებული იყო ამავე ინსტიტუტში.

1963 წელს მან დაიცვა დისერტაცია ქ.მოსკოვის დ.მენდელეევის სახელობის ქიმიურ ტექნოლოგიურ ინსტიტუტში და სიცოცხლის უკანასკნელ დღემდე მუშაობდა საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში.

პროფესორი ც.გოგუაძე იყო ღრმად განსწავლული, ერუდირებული და მაღალკვალიფიციური ლექტორი. განუზომელია მისი ღვაწლი ორგანულ ნივთიერებათა

ტექნოლოგიის კათედრის ჩამოყალიბებასა და განვითარებაში. მის სახელს უკავშირდება

ორგანულ ნივთიერებათა, პლასტმასების, ქიმიური და ბიოსამედიცინო პოლიმერების

ტექნოლოგიების სპეციალობების ჩამოყალიბება და ამ მიმართულებით სპეციალისტთა მომზადება. მისი ხელმძღვანელობით მომზადდა არაერთი მეცნიერებათა კანდიდატი, მაგისტრი და დოქტორი.

ღვაწლმოსილი პედაგოგი და მეცნიერი არის რამდენიმე მონოგრაფიის, სასწავლო მეთოდურ მითითებათა და მაღალ რეიტინგულ ჟურნალებში გამოქვეყნებული ათეულობით სამეცნიერო შრომის ავტორი.

იგი სასწავლო სამეცნიერო მოღვაწეობასთან ერთად აქტიურ საზოგადოებრივ საქმიანობას ეწეოდა. მრავალი წლის განმავლობაში იყო კათედრის გამგისა და დეკანის მოადგილე, სტუ-ს ქალთა ასოციაციის ერთ-ერთი დამფუძნებელი.

წავიდა ჩვენგან უაღრესად კეთილშობილი, შეუბღალავი სახელის, მაღალი ზნეობისა და მორალური პრინციპების მქონე პიროვნება, რომელმაც სახელოვნად განვლო დიდი და საინტერესო ცხოვრებისეული გზა.

ღმერთმა ნათელში ამყოფოს მისი სული.

*საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი*
*ქიმიური ტექნოლოგიისა და მეტალურგიის ფაკულტეტი*
*სტუ-ს ქალთა ასოციაცია*

ცფვუქჱდბფჳჲ უფყნ[ფლტ,ტ,ბ ჲბბქტ,ფ ჯდტქლქჱ7
რდბპბს უფპლჳ7 !@-ლფყ !& ცფჩსფჳლჱბ

## ჩინეთში ხელისუფლების გადაბარებისათვის ემზადებიან

დასაწყისი მე-12 გვერდზე

მიერ-მინისტრის პოსტებს. ში ძინპინი სავარაუდოდ მომავალი წლიდან ქვეყნის პრეზიდენტის ამპლუასაც შეითავსებს. ჩინურ მედიაში ასევე სპეკულირებენ იმის თაობაზე, რომ ხვალიდან პოლიტბიუროს მუდმივი კომიტეტის წევრების სავალდებულო რიცხვი 9-დან 7-მდე შემცირდება. ჩინეთში პარტიის ახალი კომიტეტისგან რეფორმისტულ პოლიტიკასა და დანარჩენი სამყაროს მიმართ მეტ გახსნილობას მოელიან, თავად ში ძინპინი კი აცხადებს, რომ მისი ხელმძღვანელობით ჩინეთი ეროვნული განახლების გზას დაადგება.

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა, მსოფლიოს ყველაზე ხალხმრავალი ქვეყანა 1.3 მილიარდზე მეტი მოსახლით. ქვეყანაში არის ერთპარტიული სისტემა და მმართველობას ახორციელებს ჩინეთის კომუნისტური პარტია. ჩინეთის იურისდიქცია ვრცელდება 22 პროვინციაზე, ხუთ ავტონომიურ რეგიონზე, ოთხ პირდაპირ კონტროლირებად მუნიციპალიტეტზე, (პეკინი, ტიანძინი, შანხაი და ჩუნცინი) და ორ მაღალი ავტონომიის მქონე სპეციალურ ადმინისტრაციულ რეგიონზე (ჰონგკონგი და მაკაო).

*მოამზადა გერა მამულაშვილმა*

## TV პროგრამა

**ხუთშაბათი 8 ნოემბერი**

**7.30** "ჩვენი დილა". **09.00, 10.00, 12.00, 14.00, 16.00, 19.00, 20.00, 02.20** მოამბე. **11.00** "სამოთხის ვაშლები". **12.45** "პირადი ექიმი". მარი მალაზონია. **13.30** "დღეს ორის ნახევარზე". **15.00** სოციალური აზრი. **15.30** მულტსერიალი "პაპირუსი". **17.00** დოკ.ფ. "100 უდიდესი აღმოჩენა". **18.00** სერ. **"პეპე და მეგობრები"**. **19.05** სერ. **"ღირსება და პატივი"**. **21.00** სერ. **"საიდუმლო აგენტები"**. **22.00** "დიალოგი დ.პაიჭაძესთან". **23.00** ტოკ-შოუ "არენა". **00.00** მხ.ფ. **"უკანასკნელი სამურაი"** (ტ. კრუზი) (ტიტ.) **02.40** მხ.ფ. **"ჰაზარდელი დიუკები"** (ტიტ.)

**08.00, 00.00** მოამბე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე). **09.00, 12.00, 15.00, 17.00, 20.00, 23.00** ბრიფინგის დრო. **11.00** დოკ.ფ. "ბრძოლები ჩვენს წელთაღრიცხვამდე". **3** ს. **14.00** დოკ.ფ. "სიცოცხლე ადამიანის შემდეგ". **10** ს. **16.00** დოკ.ფ. "რომი, იმპერიის აღმავლობა და დაცემა". **7** ს. **19.00** დოკ.ფ. "სიცოცხლე ადამიანის შემდეგ". **11** ს. **22.00** თავისუფალი ტრიბუნა. **01.00** მხ.ფ. **"პატარა ბავშვები"**. (კ. უინსლეტი)

**08.00** ან.ფ. "ტიმონი და პუმბა". **09.00** სერ.**"ცხელი ძაღლი"**. **5**-სერ. **10.00** სერ. **"იღბლიანი მოახლე"**. **11.00** სერ. **"უკვდავი ამბავი"**. **12.00** სერ. **"მემკვიდრეები"**. **13.00** სერ. **"გაქცევა"**. **14.00** სერ. **"თვალი არ მომაცილო"**. **15.00** მხ.ფ. **"მარტო სახლში-2"**. **17.00** სერ. **"მოჯადოებული"**. **18.00** სერ. **"მეწამული ცა"**. **19.00** სერ. **"სახიფათო ვნება"**. **20.00** ქ.სერ. **"ყავა და ლუდი"**. **21.00** სერ. **"მემკვიდრეები"**. **22.00** ქ.სერ. **"ცხელი ძაღლი-2"**. **6**-სერ. **23.00** "იმედის" ტალღა. **00.00** სერ. **"შერკინება"**. **01.00** მხ.ფ. **"კერკეთი კაკალი"** (ბ. უილისი) **02.40** "რემონტი". **03.15** მხ.ფ. **"ტიმფა"** (ს. სანდრელი) **05.00** მხ.ფ. **"კეთილი მეჯემსი"**. **06.30** მუსიკა.

**07.30** დილამშვიდობისა საქართველო. **10.00** სერ. **"ქალის მსხვერპლი"**. **11.00** სერ.**"ეჭვი და სიყვარული"**. **12.00, 15.00, 18.00, 20.00, 21.00** კურიერი **12.30** სხვა ამბები. **13.00** შუა დღე. **15.30** კომედი შოუ. **17.00** სერ. **"ვნების უფსკრული"** **18.45** სერ. **"მგზნებარე გული"** **19.50, 20.05** სერ. **"ღირსება და ამბიცია"** **22.00** პროფილი. **01.00** მხ. ფ. **03.00** კურიერის დაიჯესტი.

**08.00** ან.ფ. "ლეგენდა სუ-ლინგზე". **08.55** სერ. **"მისი სულის მუსიკა"** **09.45, 12.00, 15.00, 17.00** ტვ-მარკეტი **10.00** მხ. ფ. **12.15** სერ. **"დიელი&პასკო"** **13.00** მხ.ფ. **15.15** პულსი. **15.45** დოკ.ფ. "ტაიმსლოტი-მეგეზინი". **17.10** სერ. **"ტაქსის მძღოლი"** **18.00** მხ.ფ. **20.00** სერ. **"ტყუპები"** **21.00** სერ. **"გაუხსნელი საქმე"** **22.00** მხ.ფ. **00.40** მხ.ფ.

06.00 შვიდგზის ლოცვა. 06.05 საეკლესიო კალენდარი. 06.10 ჩვენ ვუკრავთ კლასიკას. 06.30 შემეცნებით - დოკუმენტური ფილმი "ველური ბუნება". 06.55 მხ.ფ. "ათოვდა ზამთრის ბაღებს" I ნაწ. 08.00 დილის ლოცვა. 08.20 სახარება. 08.30 ჩვენი ფონდი. 08.55 შვიდგზის ლოცვა. 09.00 საეკლესიო კალენდარი. 08.30 დილის პროგრამა "განთიადი". 10.00 ერთსულოვნების ვერნისაჟი. 10.05 ისტორიის დღიური. 10.10 სიახლენი. 10.35 ლექსით ქებათა ქება. 10.40 მოკ.ფ. "ცოტნე დადიანი". 11.20 ჩვენი ტრაპეზი. 11.30 გზა, რომლითაც ვიარე. 11.55 შვიდგზის ლოცვა. 12.00 საეკლესიო კალენდარი. 12.05 ამინდი. 12.10 ისტორიის დღიური. 12.15 მხ.ფ. "ჟუჟუნას მზითევი" . 13.35 კონცერტი - ანდრე რიე. 14.55 შვიდგზის ლოცვა. 15.00 საეკლესიო კალენდარი. 15.05 ერთი ნივთის ისტორია. 15.10 მოგზაურობა ბარტ ვულფთან ერთად. 15.35 შემეცნებით - დოკუმენტური ფილმი "ველური ბუნება". 16.00 მხ.ფ. "ფატიმა". 17.55 შვიდგზის ლოცვა. 18.00 საეკლესიო კალენდარი. 18.05 ერთსულოვნების ვერნისაჟი. 18.10 ჩვენ ვუკრავთ კლასიკას. 18.25 დიდ ხარ შენ, უფალო. 18.40 ძველი აღთქმის განმარტებანი. 18.53 ერთი ნივთის ისტორია. 18.55 ისტორიის დღიური. 19.00 სიახლენი. 19.20 მხ.ფ. "მწვერვალი". 20.40 ძილი ნებისა. 20.55 შვიდგზის ლოცვა. 21.00 პატრიარქის ქადაგება. 21.03 ლექსით ქებათა ქება. 21.05 ერთსულოვნების სალონი. 22.00 სიახლენი. 22.25 უკეთ გავიცნოთ ჩვენი შვილები. 22.55 ერთი ნივთის ისტორია. 23.00 საღამოს ლოცვა. 23.15 უკეთ გავიცნოთ ჩვენი შვილები (გაგრძელება). 23.55 შვიდგზის ლოცვა. 00.00 საეკლესიო კალენდარი. 00.05 სიახლენი. 00.25 ისტორიის დღიური. 00.30 მხ.ფ. "ათოვდა ზამთრის ბაღებს" II ნაწ. 02.30 სიახლენი.

მაესტრო **07.00** ახალი ამბების კოლაჟი. **07.30, 08.20, 10.30, 12.30, 13.30, 14.30, 15.30, 16.30, 18.40, 06.30** უცხოეთის ამბები. **07.55, 10.55, 11.55, 12.55, 13.55, 14.55, 15.55, 16.55, 18.55, 06.55** უკომენტაროდ. ამინდი. **08.00, 09.00, 10.00. 11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00, 16.00, 17.00, 18.00, 19.00, 20.00, 21.00, 00.00. 02.00, 05.00, 06.00** ახალი ამბები. **08.30. 09.15** შალვა რამიშვილის დილა. **11.20, 22.00, 02.30** ყოველდღიური აბები. **11.35** მულტ.ს. "ბანანის რესპუბლიკა". **11.50, 14.50, 18.50** კვირის აზრები. **17.10, 05.30** თოქ-შოუ "პირდაპირი საუბარი". **19.05, 01.15** თოქ-შოუ "სუბიექტური აზრი". **20.05, 02.50** თოქ-შოუ "არგუმენტები". **22.20, 03.30** თოქ-შოუ "პოლიტმეტრი". **23.45, 04.45** აკრედიტაციის გარეშე. **00.20** სტუდენტური თოქ-შოუ "ფაკულტეტი".

ghjuhfvt,b b,tzlt,f
cffutynj 3byajpfdhbc4
yt,fhsdbs

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


**ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი**

8 noemberi

აშშ დოლარი — 1,6589
ევრო —2,1221
ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 2,5779
რუსული რუბლი — 0,0512

**აღმოსავლეთ საქართველო:** დღისით ცვალებადი მოღრუბლულობა, ღამით წვიმა, დღისით — 20–21, ღამით — 15–17.
**დასავლეთ საქართველო:** დღისით ცვალებადი მოღრუბლულობა, ღამით წვიმა, დღისით — 21–23, ღამით — 16–17
**სამხრეთ საქართველო:** დღისით ცვალებადი მოღრუბლულობა, ღამით წვიმა, დღისით — 16–17, ღამით — 7–8

**ამინდის პროგნოზი 8 ნოემბრისთვის**





## 7 ნოემბრიდან

„ახალ თაობასთან“ ერთად




**წმინდანთა ცხოვრება**

**ტომი 1**

**ფასი გაზეთთან ერთად 5 ლარი**

## 5 noembridan

**ახალ თაობასთან“**

ერთად

hxtekb mfhsekb pqfght,b

**ტომი 2**

**ფასი გაზეთთან ერთად 3 ლარი**


## ·ღტჯფვ უფბსღფჯბცობყცს=

**მშვენიერი დღეა**

fcnhjgjhjuyjpb

* ყჯტვ,პბცსღბც

**ვერძი** — ფული გაქვთ, პრობლემები არ გაწუხებთ. **კურო** — ის საქმე აკეთეთ, რაც მოგწონთ. **ტყუპები** — ახალი საქმე გაამართლებს, ფულს იშოვით. **კირჩხიბი** — არავის ენდოთ, საკუთარი თავის გარდა. **ლომი** — თქვენი საქმე წინ მიდის, ყველაფერი კარგად იქნება. **ქალწული** — საღამო მშვენიერი იქნება, სასიამოვნო ამბები გელით. **სასწორი** — ახალ პროფესიას დაეუფლებით, გამოგადგებათ. **ღრიანკალი** — მოაწყვეთ განტვირთვის დღე, მიიღეთ ხილი და ბოსტნეული. **მშვილდოსანი** — ახალი პერსპექტივები გადაგეშლებათ, ფულიც გექნებათ. **თხის რქა** — სიკეთე გიფასდებათ, ბედი გწყალობთ. **მერწყული** — ცხოვრებას ახლებურად უყურებთ, ეს საინტერესოა. **თევზები** — გაერთეთ და დაისვენეთ, გადაღლილი ხართ.

უბცეპღტ,ს ,ტცყბტპ ცქტს=

## hპჯცღჯპცბ ფ

**შვეულად:** 1. მაიმუნის ერთ-ერთი სახეობა; 2. მსხლის მოყვანილობის, ზეთით მდიდარი ნაყოფის მქონე სუბტროპიკული მცენარე; 3. საერთაშორისო კომპიუტერული საინფორმაციო ქსელი; 4. საკანონმდებლო ორგანოს ზედა პალატა აშშ-ში; 5. იტალიის ფეხბურთელთა გუნდი; 9. მოკლებეწვიანი, პატარა, დეკორატიული ჯიშის ძაღლი; 10. ქართული კონიაკი; 14. ამერიკელი ზანგების სასულიერო ჰიმნი; 15. ქუჩის ტელეფონ-ავტომატი; 16. ქართველი პოლიტიკოსი მამაკაცი; 19. ქცევაში, ლაპარაკში გამოხატული დიდი წარმოდგენა საკუთარ თავზე; 20. მუზეუმი რომში; 21. გემით ტვირთის გადაზიდვის საფასური.

**თარაზულად:** 6. ქართველი პოეტი, რუსთაველის პრემიის ლაურეატი; 7. პარიზის ძველი სახელწოდება; 8. იაპონური ციფრული, ლოგიკური თავსატეხი; 11. შტატი აშშ-ში; 12. ბალეტ „ჟიზელი“-ს მუსიკის ავტორი; 13. მზის ღვთაება ბერძნულ მითოლოგიაში; 17. ცურვის ერთ-ერთი სტილი; 18. მხარე გერმანიაში; 22. ოპერა „დაისი“-ს პერსონაჟი; 23. იტალიელი მოდელიორი; 24. სპირტიანი სასმელების მწარმოებელი შვედური ფირმა; 25. ფილტრიანი პაპიროსი.

*შეადგინა თ.კოპალეიშვილმა*



## საქართველო ადგილს არ იცვლის



ფიფა კოკა-კოლას მიერ გამოქვეყნებულ ნოემბრის რეიტინგში საქართველოს ეროვნული ნაკრების პოზიცია გასულ თვესთან შედარებით იგივე დარჩა — თემურ ქეცბაიას შეგირდები კვლავაც 65-ე ადგილზე იმყოფებიან.

რეიტინგის სათავეში ისევ ესპანეთის ნაკრებია, მეორე ადგილზე გერმანელები იმყოფებიან, ხოლო მესამეზე — არგენტინელები, რომლებმაც მეოთხე პოზიცია პორტუგალიელებს გაუცვალეს. ათეულში კიდევ რამდენიმე ცვლილებაა: იტალიამ გაუსწრო ინგლისსა და ჰოლანდია, ერთი პოზიციით წინ წაიწია კოლუმბიამაც, ხოლო ურუგვაი და საბერძნეთი, ხორვატებმა და რუსებმა ჩაანაცვლეს.

2014 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ ეტაპზე ჩვენი ჯგუფის მეტოქეთაგან 5 ადგილით დაიხია საფრანგეთმა და მე-18 ადგილი უკავია, სამი პოზიცია დაკარგა ფინეთმა და 91-ეა, ხოლო ბელარუსმა 13 ადგილით წინსვლა განიცადა და 74-ე პოზიციაზე მოკალათდა.

**საუკეთესო ათეული ასე გამოიყურება:**

1.ესპანეთი – 1564 ქულა; 2.გერმანია – 1421; 3.არგენტინა – 1349; 4.პორტუგალია – 1178; 5.იტალია – 1169; 6.ინგლისი – 1167; 7.ჰოლანდია – 1128; 8.კოლუმბია – 1110; 9. რუსეთი – 1084; 10.ხორვატია – 1078.

მ. ქ.

## ჩინეთში ხელისუფლების გადაბარებისათვის ემზადებიან

ხვალ პეკინში კომუნისტური პარტიის მეთვრამეტე კონგრესი გაიმართება, სადაც 2000-მდე დელეგატი ცენტრალურ კომიტეტს აირჩევს, ცენტრალური კომიტეტი კი თავის მხრივ, ერთი კვირის შემდეგ



პოლიტბიუროს მუდმივი კომიტეტის შემადგენლობას დააკომპლექტებს. მუდმივი კომიტეტი ქვეყნის უმაღლესი და ერთპიროვნული მმართველი ორგანოა, რომლის შემადგენლობაში ამჟამად ცხრა ადამიანი შედის, რომელთაგანაც სავარაუდოდ ხვალ თანამდებობას 7 მათგანი დატოვებს, მათ შორის გენერალური მდივანი და პრეზიდენტი ჰუ ძინტაო და პრემიერი ვენ ჯიაბაო. დარჩენილი 2 წევრი, ში ძინპინი და ლი ქეიანი კი ერთი კვირის შემდეგ ქვეყნის ახალი ლიდერები გახდებიან, დაიკავებენ რა პარტიის თავმჯდომარისა და პრე-

გაგრძელება მე-10 გვერდზე

## თბილისი პრაღის დღეებს უმასპინძლებს

ეკა ირემაშვილი

13-დან 20 ნოემბრის ჩათვლით თბილისში პრაღის დღეები გაიმართება, რომელიც სხვადასხვა კულტურულ ღონისძიებებს მოიცავს. როგორც დედაქალაქის მერიაში განმარტავენ, ამ კვირეულის ეგიდით წარმოდგენილი იქნება გამოფენა, საბალეტო სპექტაკლი და კლასიკური მუსიკის საღამო.

როგორც მერიის წარმომადგენელმა ნინო სულაძემ განაცხადა:








– პრაღის დღეები თბილისში 13 ნოემბერს საქართველოს ფოლკლორის ცენტრის გალერეაში გაიხსნება ფოტოგამოფენით „პანორამული პრაღა“, რომელიც გააცნობს სტუმარ დამთვალიერებელს სახეცვლილებებს იმ ქალაქისას, რომელიც არის ქვეყნის დედაქალაქი 1000 წელზე მეტი ხნის განმავლობაში და მნიშვნელოვანი როლი ითამაშა ჩეხეთის ისტორიაში, შუასაუკუნეებიდან მოყოლებული დღემდე. გამოფენაზე წარმოდგენილია ცნობილი მხატვრისა და ილუსტრატორის ვაცლავ იანსის გრაფიკული ნაწარმოებები, რომლებიც ასახავს ისტორიული ადგილის განუმეორებელ ხიბლს, თავისი პერიოდის ატრიბუტებით. იგი პრაღაში მოღვაწეობდა 1895-1899 წლებში, სწორედ იმ პერიოდში, როცა იწყებოდა ისტორიული ცენტრის – ებრაელთა ქალაქის აღდგენა, იქმნებოდა ქალაქის ზოგიერთი ქუჩის ახალი ურბანული სტრუქტურა, იმ პერიოდის კოლორიტში ხვდებოდა გამორჩეული საზოგადოებრივი ქცევა, ჩაცმა და XIX საუკუნის ბოლოსა და XX საუკუნის დასაწყისის საზოგადოებრივი ცხოვრება. გამოფენის ცენტრალური ობიექტია ცნობილი ლანგვეილოვური მოდელების ასლები, რომლებიც განთავსებულია დედაქალაქ პრაღის მუზეუმის მთავარ შენობაში. პრაღის ლანგვეილოვური მოდელი არის ქაღალდის მოდელი პრაღის ისტორიული ცენტრისა, რომელიც შექმნა 1826-1837 წლებში უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის თანამშრომელმა ანტონინ ლანგველმა და საზომში 1:480

გაგრძელება მე-10 გვერდზე